



the  
**FORUM**

ფორუმი

---

#1 მაისი  
MAY 2016



02 რედაქტორის სვეტი  
03 ჩვენი გვერდი  
04 ანალიტიკა  
• ღია ჩლაჩიძე - ცხინვალი: ვირტუალური რეალობა  
10 საერთაშორისო ჩართულობა  
• ინტერვიუ საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის ხელმძღვანელთან  
15 ცხინვალი  
• თემურ ცხურბათი - პარლამენტარიზმის 25 წელი  
17 ინტერვიუ  
• პაატა ზაქარეიშვილი: აფხაზურ მოსახლეობაში ქართული პასპორტებისადმი ინტერესი იზრდება  
22 კონფლიქტის ზონა  
• ნითელუბანი  
26 სამოქალაქო აქტივობა  
• კავკასიური სახლი  
• ICCN  
33 ფოტორეპორტაჟი  
• ოლიკო ცისკარიშვილი - შიშს შეჩვეული გმირები  
• გიორგი ჩუბინიძე - დევნილობის 25 წელი  
39 რეგიონი  
• დიმიტრი ყაულაშვილი - მთიანი ყარაბაღის მოლაპარაკებები შედეგის გარეშე  
• ცენტრალიზაცია და კოსოვოს კონფლიქტი  
49 აკადემიური წრეები  
• ჯემალ გახოკიძე: აფხაზებმა უნდა ისარგებლონ განსაკუთრებული პრივილეგიებით  
• ბეჟან ხორავა: აფხაზეთი საქართველოს ორგანული ნაწილია  
60 ბლოგი  
• გურანდა ბურსულაია - თანამემამულე და არა დევნილი  
• მამუკა ცუხიშვილი - პერევი  
• სალომე სვადაგიანი - რატომ არის რუსეთი ცუდი მეზობელი  
68 მწერლობა  
• ტამერლან თადტაევი  
72 პოეზია  
• ციციინო ბაბუციძე

02 Editor's Column  
03 Our Page  
04 Analytics  
• Lia Chlachidze - Tkhinvali: The Virtual Reality  
10 International Involvement  
• Interview With The Head of The European Union Monitoring Mission in Georgia  
15 Tskhinvali  
• Temur Tskhurbati - 25 Years of Parliamentarism  
17 Interview  
• Paata Zakareishvili: Growing Interest to Georgian Passports in Abkhazian Population  
22 Conflict Zone  
• Tsitelubani  
26 Civil Activity  
• Caucasian House  
• ICCN  
33 Photo-Report  
• Oliko Tsiskarishvili - The Heroes Used to Fear  
• Giorgi Chubinidze - 25 Years of Displacement  
39 Region  
• Dimitri Kaulashvili - Nagorno-Karabakh Negotiations without Results  
• Centralization and the Kosovo Conflict  
49 Academic Societies  
• Jemal Gakhokidze: Abkhazians Must Enjoy Special Privileges  
• Bezhan Khorava: Abkhazia is an Organic Part of Georgia  
60 Blog  
• Guranda Bursulaia - Fellow Citizen and not an IDP  
• Mamuka Tsukhishvili - Perevi  
• Salome Khvadagiani - Why Russia is a Bad Neighbor  
68 Prose  
• Tamerlan Tadaev  
72 Poetry  
• Tsitsino Babutsidze

რედაქტორი ვახო შამუგია  
სარედაქციო საბჭო: თემურ არბოლიშვილი, ზურაბ ბენდიანიშვილი, გიორგი სტეფნაძე, თემურ ცხურბათი, ვახო შამუგია, მალხაზ მიქელაძე  
ქართული ტექსტების რედაქტორი მამუკა ცუხიშვილი  
ინგლისური ტექსტების მთარგმნელ-რედაქტორი გიორგი რუხაძე  
ფოტოგრაფები: ოლიკო ცისკარიშვილი, გიორგი ჩუბინიძე, თომა სუხაშვილი  
ადმინისტრატორი ლალი ომიადე  
დიზაინერი-დამაკაბადონებელი ხათუნა მესხიშვილი  
გამომცემელი „სამოქალაქო ფორუმი მშვიდობისათვის“

EDITOR Vakho Shamugia  
EDITORIAL BOARD: Temur Arbolishvili, Zurab Bendianishvili, Giorgi Stepnadze, Temur Tskhurbati, Vakho Shamugia, Malkhaz Mikeladze  
EDITOR OF GEORGIAN TEXTS Mamuka Tsukhishvili  
TRANSLATOR-EDITOR OF ENGLISH TEXTS Giorgi Rukhadze  
PHOTOGRAPHERS: Oliko Tsiskarishvili, Giorgi Chubinidze, Thoma Sukhashvili  
ADMINISTRATOR Lali Omiadze  
DESIGNER Khatuna Meskhishvili  
PUBLISHED BY THE CIVIL FORUM FOR PEACE

ჟურნალი ვრცელდება უფასოდ. რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია.  
Magazine is circulated free-of-charge. Republishing materials without consent from the editorial office is prohibited.



პირველი ნომერი ჟურნალისა, რომელსაც თქვენ ეს ესაა უნდა გაეცნოთ, შეიქმნა იმ ხალხის ერთობლივი ძალისხმევით, რომლებიც არსებულმა რეალობამ ე.წ. „საზღვრის“ სხვადასხვა მხარეს მოაქცია. აქ გვერდგვერდ არის ქართველი და ოსი ჟურნალისტების სტატიები, ახალგაზრდა ბლოგერების პოსტები და მწერალთა შემოქმედება. მკითხველს აქვს უნიკალური შანსი, პირველწყაროდან გაიგოს ის, თუ რა ხდება დღეს ცხინვალის რეგიონში და როგორია ცხოვრება მავთულხლართების ორივე მხარეს.

ჟურნალში თქვენ იხილავთ საინტერესო ანალიტიკურ სტატიებს, ინტერვიუებს ექსპერტებთან და სახელმწიფო თანამდებობის პირებთან, აკადემიური წრეებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ასევე გაეცნობით სამოქალაქო სექტორის ჩართულობას მხარეებს შორის ნდობის აღდგენის პროცესში და იმ შედეგებს, რასაც მათ მიაღწიეს. შეხედავთ არსებულ რეალობას მათი გადმოსახედიდან. კონფლიქტის ზონაში გადაღებული ფოტორეპორტაჟებით შეგიძლიათ შეიგრძნოთ ის საშინელი კვალი, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომმა დაგვიტოვა. ომის ექო იგრძნობა იმ მასალებში, რომელსაც ოსი და ქართველი ავტორები გვთავაზობენ. ეს გასაგებიც არის, რადგანაც იმ სისხლიანმა დღეებმა მათ თვალწინ ჩაიარა და სულებში საშინელი იარები დაუტოვა, რომლის მოშუშებაც შეუძლებელია.

გვინდა განსაკუთრებით აღვნიშნოთ ის, რომ ამ ნომერში გამოქვეყნებულია ნიჭიერი ახალგაზრდების საინტერესო მასალები ჩვენს ძირითად თემაზე. The Forum თავის გვერდებს დამწყებ მკვლევარებსა და შემოქმედ ადამიანებს დიდი სიამოვნებით მომავალშიც დაუთმობს.

დარწმუნებული ვართ, რომ ჟურნალის გაცნობის შემდეგ, თქვენ უფრო მეტად ინფორმირებულნი გახდებით ქართულ-ოსურ-აფხაზურ საზოგადოებებში მიმდინარე პროცესებზე.

გვინდა ჩვენს ჟურნალსა და მის მკითხველს ხანგრძლივი და საინტერესო ურთიერთობა ვუსურვო. ■

პატივისცემით,  
ვახო შამუგია

The first issue of the magazine that you are about to get acquainted with has been created by joint efforts of those who have been left on different sides of the so called “border” by the current reality. Here you can together see the articles by Georgian and Ossetian journalists, posts by young bloggers and literary works. Our readers have the unique chance to know firsthand about today’s situation in Tskhinvali region and about life on both sides of the barbed-wire fence.

In the magazine, readers will find interesting analytical articles, interviews with experts and State authorities, representatives of academic society and of international organizations. Readers will learn about the civil society involvement in the confidence building process between the sides and about the results they have already achieved; and see the existing reality from their viewpoint. Photo-reports made in the conflict zone will let our readers feel the terrible traces that have been left by August 2008 war. The war echoes from the articles written by Ossetian and Georgian authors, which is understandable as those bloody days have directly affected them and have left horrible wounds on their souls; the wounds that can never be healed.

We would like to note that the given issue includes interesting materials on main topics by talented young authors. The Forum will offer its pages to beginner researchers and writers with great pleasure in future too.

We are confident that your awareness of the processes underway in Georgian-Ossetian-Abkhazian societies will be raised after reading our magazine.

I would like to wish The Forum and its readers the long-term and interesting communication. ■

Sincerely,  
Vakho Shamugia



სამოქალაქო ფორუმი მშვიდობისათვის 2007 წელს დაფუძნდა კონფლიქტის მხარეების მონაწილეობით და დღემდე საკმაოდ რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე გზა განვლო. აღნიშნულ პერიოდში 40-მდე პროექტი განვახორციელეთ, ჩატარდა მრავალი საინტერესო ღონისძიება, ჩამოყალიბდა სამშვიდობო დიალოგის არაერთი ფორმატი. განეულია საკმაოდ მძიმე და შრომატევადი სამუშაო. ყოველივე ამაში 250-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა ქართული, ოსური და აფხაზური მხრიდან.

ორგანიზაციის მთავარი მიზანია სწორედ კონფლიქტით გაყოფილ საზოგადოებებს შორის კომუნიკაციების დამყარება და ნდობის აღდგენა. ეს მრავალკომპონენტური და ხანგრძლივი პროცესია, რაშიც ჩვენი მოკრძალებული წვლილის შეტანას ვცდილობთ.

ერთ-ერთი კომპონენტი, რომელიც ხელს შეუწყობს ნდობის აღდგენის პროცესში ინფორმირებულობის გაზრდას კონფლიქტით გაყოფილ საზოგადოებებში არსებული განწყობების შესახებ, არის წარმოდგენილი ჟურნალი The Forum. ჩვენმა გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ დაბალანსებული და ობიექტური ინფორმაციის გავრცელება, დიდწილად განაპირობებს სანდოობის გაზრდას კონფლიქტის მხარეებს შორის თანამშრომლობისა და დიალოგის პროცესში.

ჟურნალში გამოქვეყნებული იქნება ქართველი, ოსი და აფხაზი ავტორების მიერ წარმოდგენილი, როგორც საინფორმაციო, ისე ანალიტიკური შინაარსის მასალები, ინტერვიუები და ფოტორეპორტაჟები. აქტიურად ვითანამშრომლებთ უცხოელ კოლეგებთან, მათ შორის, ჩვენს პარტნიორებთან აშშ-დან, ევროპიდან და კავკასიის რეგიონიდან. შევეცდებით, მკითხველს მივანდოთ დეტალური ინფორმაცია ბალკანეთის, კვიპროსის, სამხრეთ კავკასიისა და სხვა რეგიონული კონფლიქტების შესახებ.

ჩვენი ავტორები იქნებიან ჟურნალისტები, სამოქალაქო საზოგადოების წევრები, საექსპერტო და აკადემიური წრეების წარმომადგენლები.

ჟურნალის სარედაქციო პოლიტიკა მთლიანად ორიენტირებულია კონფლიქტების მშვიდობიანი გზებით მოგვარების რესურსების წარმოჩენაზე და მზად ვართ, ვითანამშრომლოთ ნებისმიერ ადამიანთან და ინსტიტუციასთან, რომელიც ამ კუთხით შემოგვთავაზებს საინტერესო ინიციატივებს.

The Forum-ის გამოცემა დაგეგმილია ყოველკვარტალურად და გავრცელება უფასოდ. ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული ჟურნალი დააკმაყოფილებს მკითხველის ინტერესს და შეიქმნება რეალური სივრცე სამშვიდობო პროცესების გასაშუქებლად. ■

**პატივისცემით, თემურ არბოლიშვილი**  
სამოქალაქო ფორუმის თავმჯდომარე



The Civil Forum for Peace was founded in 2007 by participation of conflicting sides and has already gone through very complicated road, full of obstacles and barriers. During the aforementioned period we have implemented up to 40 projects, have organized numerous interesting events and have formed several formats of peace talks. Very hard work has been conducted. Over 250 individuals from Georgian, Ossetian and Abkhazian sides have participated in all these processes.

The main goal of the Organization is promotion of active communication and support to confidence building process between the conflict-divided communities. This is a very complex and long-term process, which we attempt to contribute to as much as we can.

One of the components which can promote raising awareness of the conflict-divided communities within the confidence building process is the presented The Forum Magazine. Experience has shown that circulation of balanced and unbiased information highly conditions the level of confidence in the process of cooperation and dialogue between the conflicting sides.

The Forum will feature both informational and analytical materials, interviews and photo-reports submitted by Georgian, Abkhazian and Ossetian authors. We will actively cooperate with foreign colleagues, including partners from the USA, Europe and the Caucasus region. We will attempt to provide to our readers detail information about the conflicts in the Balkans, Cyprus, South Caucasus and other regions.

Our featured authors will be journalists, civil society members, experts and academicians.

Editorial policy of the magazine is fully oriented at revealing resources for peaceful resolution of conflicts and we are ready to cooperate with every person and institution which will propose interesting initiatives in the aforementioned direction.

The Forum will be published quarterly and will be circulated free-of-charge. We hope that The Forum will of high interest for readers and will act as the real space for covering peacebuilding processes. ■

**Sincerely, Temur Arbolishvili**  
**Chairman, The Civil Forum for Peace**

ლია ჩლაჩიძე, ანალიტიკოსი  
ცხინვალის ვირტუალური რეალობა

Lia Chlachidze, Analyst  
TKHINVALI: THE VIRTUAL REALITY



სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებული ეთნოკონფლიქტები პერიოდულად საკმაოდ მწვავედ შეგვახსენებს ხოლმე თავს და გვაჩვენებს, რომ მომხდარი ტრაგედიის უპირველესი მსხვერპლი ადამიანია, რომლის ცხოვრებას დაღს ასვამს არა მხოლოდ უშუალოდ კონფლიქტისას მიღებული ტრავმა, არამედ ის ძალები, რომლებიც პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული სფეროების მონოპოლიზებით, ნებისმიერი ჩვენგანისთვის სათუთ გრძობებზე აპელირებით ცდილობენ არსებული რეალობის შენიღბვას და მოსახლეობის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაზე კონტროლის დამყარებას. ამის ერთ-ერთ ყველაზე ნათელ მაგალითს წარმოადგენს მტკიცეული წარსულის, დეპრესიული აწმყოსა და მუქი ფერების მომავლის მქონე ცხინვალის რეგიონი. სწორედ ამიტომაც, წინამდებარე სტატიაში ჩვენ შევეცადეთ ეთნოსებს შორის არსებული პოლიტიკური გაუცხოების და ვინწონაციონალისტური სენტიმენტების, შეიარაღებული დაპირისპირებით გამოწვეული ხიდრატეხილობის და სხვა მსგავსი პრობლემის განხილვის ნაცვლად, ყურადღება დაგვეთმო იმ ზოგადი ყოფითი პრობლემებისთვის, რომელიც საერთოა ნებისმიერისთვის, ვინც იზიარებს ელემენტარულ ადამიანურ ფასეულობებს, განსაკუთრებით კი ცხინვალის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის იმ უდიდესი ნაწილისთვის, რომელიც უშუალოდ აწყდება ყველა ამ პრობლემას.

საგულისხმოა, რომ 2004 წლამდე, ცხინვალის რეგიონი, ეკონომიკური თვალსაზრისით ახერხებდა დამოუკიდებელ რეჟიმში არსებობას, რასაც უზრუნველყოფდა რეგიონის სატრანზიტო ფუნქცია საქართველოსა და რუსეთს შორის. 2004-2006 წლებში, პირდაპირი ტრანზიტის შეწყვეტის მიუხედავად, რეგიონი მაინც აგრძელებდა აღნიშნული ფუნქციის შესრულებას, თუმცა გადაამწყვეტი მნიშვნელობა იქონია 2006 წელს რუსეთის მიერ დაწესებულმა ემბარგომ ქართულ პროდუქციაზე და 2008 წლის ომმა, რითაც ცხინვალის რეგიონი მოექცა ფაქტობრივ იზოლაციაში და მთლიანად დამოკიდებული აღმოჩნდა რუსეთიდან გამოყოფილ ფინანსურ დახმარებაზე.

ცხინვალის რეგიონში, ისევე როგორც სხვაგან, მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს ხშირად უკავშირდებიან ადგილობრივ ბიუროკრატიულ აპარატში გამეფებულ კორუფციას. შექმნილი სურათი შესაძლოა მართლაც არ ტოვებს სხვა ალტერნატივების განხილვის შესაძლებლობას, თუმცა, ჩვენს ხელთ არსებულ ფაქტებსა და რაოდენობრივ მონაცემებზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ, ცხინვალის რეგიონის ეკონომიკური კოლაფსი შეუძლებელია განპირობებული იყოს მხოლოდ ლოკალური ფაქტორებით და ადგილობრივ (იგულისხმება ცხინვალის) ადმინისტრაციულ აპარატში დასაქმებულ ჩინოვნიკთა თავგასულობით.

ამ მხრივ, შთაბეჭდილების შესაქმნელად ყველაზე მნიშვნელოვანია

Ethnic conflicts existing in the South Caucasus periodically remind of themselves quite acutely and show that the primary victim of all the happened tragedies is a human, whose life is plagued with not only the trauma received during the conflict itself, but also by the forces which try to disguise the existing reality and to have control over the daily life of population by monopolizing political, economic, social and cultural spheres and appealing to the tender feelings of each of us. One of the clearest examples of the aforementioned is Tskhinvali region with its painful past, depressive present and dark future. Due to that, in the presented article, instead of discussing the broken bridges and other similar problems caused by current political estrangement and by narrow nationalistic sentiments and armed conflict, we have decided to focus on the general everyday social problems, which are universal for anyone who shares elementary human values and especially for the absolute majority of Tskhinvali region population which directly faces those problems.

It is noteworthy that until 2004, Tskhinvali region managed to be economically independent, which was reasoned by its transit function between Georgia and Russia. During 2004-2006, despite the suspension of direct transit, the region continued with the given function, although the Russian embargo on Georgian products imposed in 2006 and the 2008 put an end to the process and Tskhinvali region appeared in actual isolation and became completely dependent on the financial assistance allocated by Russia.

Just like everywhere else, in Tskhinvali region also the grave social and economic problems are blamed on the corruption ruling the local bureaucratic structures. The existing situation may actually not be allowing to consider other alternative reasons, although, the facts and data we have, give the basis to claim that the economic collapse in Tskhinvali region cannot be solely reasoned by local factors and the corruption of authorities working in the local (Tskhinvali) administrative structures.

In order to understand the given situation it is necessary to analyze the expenditures and distribution of material assistance allocated by Russia to Tskhinvali region, by

რუსეთიდან ცხინვალის რეგიონისთვის გამოყოფილი მატერიალური დახმარების ხარჯვისა და განაწილების ანალიზი, მათ შორის, რეგიონში არსებული დემოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებითაც. კერძოდ, როგორც ცნობილია 2008-2011 წლებში ცხინვალის რეგიონისთვის გამოყოფილი რუსული დოტაციის ოდენობა შეადგენდა 43 მლრდ. რუბლს (forbes.ru-ს მონაცემებით მითითებულ პერიოდში, ცხინვალის რეგიონის დახმარებლად, დაახლოებით 30 მლრდ. რუბლი გამოყო რუსეთის ფედერალურმა ბიუჯეტმა, 2 მლრდ. - ქ. მოსკოვის მთავრობამ, 10 მლრდ. - კომპანია „გაზპრომმა“ და კიდევ 1 მლრდ. რუბლი შეაგროვა სპეცფუნდმა. იმ პერიოდში არსებულ ვალუტის კურსს თუ გავითვალისწინებთ, საუბარია დაახლოებით 1.43 მლრდ. აშშ დოლარზე).

თანხის უზარმაზარმა მოცულობამ და ამ თანხის „ხარჯვის“, უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვი - „გაფლანგვის“ შედეგად მიღებულმა ნულოვანმა ეკონომიკურმა ეფექტმა, აიძულა კრემლი გადაეხედა თავისი ფინანსური პოლიტიკისთვის რეგიონში. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე, 2012 წელს მოხდა „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის საინვესტიციო პროგრამის“ ინიცირება, რომლის პირველადი პროექტის თანახმად 2014 წლისთვის რეგიონი უნდა გადასულიყო ავტონომიური განვითარების რეჟიმზე, თუმცა დღემდე სრულ დოტაციაზე არსებობს (2016 წლის ბიუჯეტის 92.2% შეადგენს მოსკოვიდან გადმორიცხულ ფინანსებს).

არანაკლებ შთამბეჭდავია ბოლო წლებში რუსეთის მიერ გამოყოფილი ფინანსური დახმარებაც.

ცხრილი 1. რუსეთის მიერ ცხინვალის რეგიონისთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარება 2012-2016 წლებში (ვალუტის კურსის გათვალისწინებით).

წელი Year	დახმარების მოცულობა (მლნ. რუბლი) Amount of assistance (million rubles)	დახმარების მოცულობა (მლნ. აშშ დოლარი) Amount of assistance (million USD)
2012	5 486	182.896
2013	4 302	143.416
2014	5 614	170.150
2015	6 600	94.285
2016	8 202	124.242

ზემოთაღნიშნული ცხრილის თანახმად, 2012-2016 წლებში, რუსული ფინანსური დახმარების მოცულობამ შეადგინა 30.204 მლრდ. რუბლი (დაახლოებით 715 მლნ. აშშ დოლარი), რაც საერთო ჯამში (2008 წლიდან დღემდე) აღწევს 73 მლრდ. რუბლს (იმ პერიოდში არსებული საშუალო კურსის გათვალისწინებით 2.147 მლრდ. აშშ დოლარი). ნებისმიერი ჩვენთაგანისთვის გასაგებია, რომ ეს კოლოსალური მასშტაბების თანხაა 36 000-იანი რეგიონისთვის. ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით გამოდის, რომ რეგიონის თითოეული მაცხოვრებლისთვის (ხაზს ვუსვამ - არა ოჯახისთვის, არამედ თითოეული სულისთვის) 8

consideration of current demographic data. Namely, it is known that Russian subsidies allocated to Tskhinvali during 2008-2011 was 43 billion rubles (forbes.ru reported that during the given period Tskhinvali region received approximately 30 billion rubles from Russian Federal budget, 2 billion rubles from Moscow Government, 10 billion rubles from Gazprom Company and another 1 billion rubles from the Special Fund. If consider the then exchange rate, the sum amounts to approximately 1.43 billion USD).

The zero economic effect resulted from the given enormous amount and from the “spending” or to be more precise from the “embezzlement” of it forced Kremlin to reconsider its financial policy in the region. As result, Moscow initiated the South Ossetia Republic Social-Economic Development Support Program, based on the first project of which the region should have changed to autonomous development regime, although, Tskhinvali region still enjoys the full subsidization (92.2% of the total 2016 budget come on funds transferred from Moscow).

Financial assistance received from Russia during last several years is also quite impressive.

Table 1. Financial assistance allocated by Russia to Tskhinvali region during 2012-2016

The given table shows that during 2012-2016 the volume of Russian financial assistance was 30,204 billion rubles (approximately 715 million USD), which in total (from 2008 until present) amounted to 73 billion rubles (according to the average exchange rate – 2.147 billion USD). It is more than clear that it is a colossal amount of money for the region with the population of 36,000. If we calculate per capita, it appears

ნლის განმავლობაში, ყოველწლიურად გამოყოფილი იყო დაახლოებით 7 500 აშშ დოლარი. ნებისმიერი საერთაშორისო რეიტინგის მიხედვით, ყოველივე ეს ავტომატურად აქცევდა რიგით ოსს საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე მოქალაქედ, რომელსაც ხარისხიანი მკურნალობის, ნორმალური განათლების და პერიოდულად საზღვარგარეთ დასვენების შესაძლებლობა ექნებოდა, თუმცა ვიპოვით კი ისეთ ადამიანს, რომელიც იტყვის რომ მას წელიწადში 7 500 აშშ დოლარს აძლევენ?

რეალურად მსგავსი მასშტაბის ფინანსური რესურსების გაფლანგვა აღემატება ცხინვალის რეგიონის ადგილობრივ თანამდებობის პირთა შესაძლებლობებს. ნათელია, რომ არსებული მექანიზმი, უპირველეს ყოვლისა, ხელს აძლევს მოსკოვში არსებულ წრეებს, რომლებიც სხვადასხვა კორუფციული სქემების გამოყენებით, იქვე, ადგილზე იტაცებენ ცხინვალის რეგიონისთვის გამოყოფილ ფულად სახსრებს, რის შედეგადაც რეგიონში ასათვისებელი ფინანსების რაოდენობა მკვეთრად კლებულობს. უფრო გასაგებ ენაზე რომ ვთქვათ, გამოყოფილი თანხის უდიდესი ნაწილი მოსკოვიდან ცხინვალში საერთოდ არ ჩადის. ამასთან, მსგავსი ფინანსური ბერკეტების გამოყენებით, შესაძლებელი ხდება ცხინვალის რეგიონის მმართველი გუნდის ცალკეული წარმომადგენლების წვრილმან კორუფციულ გარიგებებში ჩართვა და შესაბამისად მათი კონტროლი.

ცხრილში მოყვანილი უზარმაზარი თანხები ცხადყოფს, რომ, ოფიციალური მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, ცხინვალის რეგიონი უკვე აყვავებულია და ცხოვრების დონით უთანაბრდება ევროპის რეგიონებს. თუმცა, ოფიციალური დოკუმენტაციის ნაკლებად სანდოობაზე მიუთითებს რუსული დაფინანსებით ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ნიმუშიც. კერძოდ, სტატისტიკური მონაცემებით, რუსული დაფინანსების დიდი ნაწილი გამოყოფილია რეგიონის დასახლებული პუნქტების საავტომობილო გზების შეკეთებაზე, რაც ქმნის აქტიური სამუშაოების მიმდინარეობის შთაბეჭდილებას. რეალურად კი, საგზაო სამუშაოების შესასრულებლად გამოყოფილი თანხები ძირითადად იხარჯება რუსული სამხედრო ბაზების დისლოკაციის ადგილების მიმდებარე გზების სარემონტოდ. აღნიშნული წარმომადგენს რეგიონის მიმართ კრემლის ცინიკური დამოკიდებულების თვალსაჩინო ილუსტრაციას, რომელიც ხასიათდება ადგილობრივი ოსური მოსახლეობის ინტერესების სრული უგულვებეყოფით.

ფონდის „სტრატეგიული კვლევების ცენტრი - რეგიონი“ მიერ 2013 წელს შემუშავებულ იქნა ცხინვალის რეგიონის განვითარების სტრატეგია, რომელიც მოიცავს პერიოდს 2030 წლამდე. დოკუმენტის

that for each resident of Tskhinvali region (again, not per household, but per capita) have been allocated 7,500 USD per year... every year, during 8 years. Any international rating would say that every ordinary Ossetian should be a citizen with high revenue, having the possibility of receiving high-quality medical care, normal education and spending vacations abroad; although, would one be able to find a citizen who would say that they are being given 7,500 USD per year?

It is apparent that embezzlement of such financial resources would be impossible for the local authorities in Tskhinvali region. Clearly, the main existing mechanism primarily works for the benefit of Moscow authorities, who use different corruptive schemes and misappropriate amounts allocated to Tskhinvali region already in Russia; as result the amounts to be used up to Tskhinvali sharply decrease. To be more precise, major part of the allocated amounts do not come from Moscow to Tskhinvali at all. In addition, usage of such financial levers makes it possible to involve certain representatives of Tskhinvali governing group in minor corruptive deals and as result to have complete control over them.



The mentioned enormous amounts show that if we consider official data, Tskhinvali region is already flourishing and has already reached the level of development of European countries; although, the low credibility of official documentation is once more confirmed by the example of implementation of infrastructural projects by means of Russian funding. Namely, by statistical data, large part of Russian funding is allocated for the reparation of roads in the villages of the region, which creates the impression of active reconstruction works being

თანახმად, ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ჰიდროენერგეტიკული რესურსების ათვისების საკითხს. 2013 წლიდან დღემდე ცხინვალის რეგიონის ეკონომიკური განვითარების პროექტებში (ფურცელზე) ყოველწლიურად ხვდება ჰესების მშენებლობის საკითხი - მაგალითისთვის: 2015 წლის მონაცემებით საუბარია „500-500 მლნ. რუბლის ღირებულების 4 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე, რომელთა მეშვეობით უნდა განხორციელდეს ელექტროენერჯის ექსპორტი რუსეთის ფედერაციაში (ანუ ცხინვალის დენით უნდა ამარაგებდეს რუსეთს...), რაც უზრუნველყოფს დამატებითი, სტაბილური შემოსავლის წყაროს“ თუმცა ძალიან საეჭვოა, რომ ეს პროექტი განხორციელდეს, ან განხორციელების შემთხვევაში რაიმე სახის შემოსავალი მოუტანოს ცხინვალის რეგიონის ეკონომიკას. საქმე იმაშია, რომ კავკასიონის ქედის მდინარეები ხასიათდებიან სეზონურობით - ზამთრის თვეებში, როდესაც განსაკუთრებით მაღალია მოთხოვნა ელექტროენერჯიაზე, მათზე ამენებული ჰესების წარმადობა დაბალია, ხოლო გაზაფხულის უხვწყლიანობის პერიოდში, პოტენციური გასაღების ბაზრებზე ელექტროენერჯის იმპორტის საჭიროება კლებულობს. ამასთან, მსხვილგაბარიტიანი ჰესების მშენებლობა აუცილებლად გამოიწვევს ფართო ტერიტორიის დატბორვას და შექმნის ეკოლოგიური კატასტროფის საშიშროებას. აღნიშნულს ემატება ისიც, რომ მშენებლობის პროექტის რეალიზების შემთხვევაში სათუთა კონსტრუქციაზე განეული ხარჯების დაფარვაც კი, რის გამოც სერიოზული ინვესტორები თავს იკავებენ მსგავსი ტიპის საეჭვო პროექტში საკუთარი ფულის დაბანდებაზე. ეს არის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, რის გამოც ადგილობრივი ჩინოვნიკების მრავალი ცდის მიუხედავად, დღემდე ვერ მოხერხდა ინვესტორის მოზიდვა რეგიონის ჰიდროენერგეტიკული რესურსების ასათვისებლად.

იმავე სტრატეგიის მიხედვით, ეკონომიკისთვის ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადგილობრივი სოფლის მეურნეობის განვითარებას, თუმცა ვითარება აქაც არანაკლებ საგანგაშოა - რეგიონის ეკონომიკის უპერსპექტივობის გათვალისწინებით, ნებისმიერი მოცულობის ინვესტიცია სრული კრახისთვისაა განწირული. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს სოფელ ხეთაგუროვოს ფერმერული მეურნეობის აშენებისთვის დახარჯული 240 მლნ. რუბლი, რომელიც მიღწეული შედეგების მიხედვით (არც ერთი შემოსული ინვესტორი), შესაძლოა გადაკვალიფიცირდეს როგორც საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივი გამოყენება. დარგში არსებულ კატასტროფულ ვითარებაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ რეგიონში აღრიცხული 1 268 000 ძირი ვაშლის ხის მიუხედავად, ქ. ცხინვალში ვაშლის იმპორტი ხორციელდება ჩრდილოეთ ოს-



underway. In reality, the funds allocated for roads are mainly spent for reparation of roads surrounding the Russian military bases dislocated in the region. The aforementioned is the clear demonstration of cynical attitude of Kremlin towards the region, which is characterized with complete neglecting of the interests of local Ossetian population.

In 2013, the Strategic Research Center – Region worked out the Tskhinvali region development strategy till the year 2030. According to the document, in support to the development of the economy, special attention must be paid to the issue of usage of hydroelectric resources available in the region. Since 2013 until present, the issue of the construction of hydropower stations is included in the projects for economic development of Tskhinvali region every year – for example: the 2015 documents read about “the construction of 4 hydropower stations each worth 500 million rubles, which must result in an export of electricity to Russian Federation (or Tskhinvali supplies power to Russia...), which will become the serious source of additional income. However, it is doubtful that this project will be implemented or even if it will be that it will bring any benefit to Tskhinvali economy. The fact is that the Caucasian mountain range rivers are seasonal – output of hydropower stations constructed on them is very low in winter (when there is the highest demand for electricity) and during summer high water period, the demand for electricity decreases at potential markets. In addition, construction of large hydropower stations means flooding of large territories, which will create the threat of ecological catastrophe. It is also a fact that serious investors refrain from allocating their funds for such doubtful projects, as it is unlikely that even the expenses for the construction of the stations would be compensated later. This is one of the main reasons of why despite the numerous attempts by local authorities; it has not been possible to attract investors to the sphere of utilization of hydropower resources of the region.

According to the same strategy, development of local agriculture is also of significance for the economy; although, the situation is just as alarming in this field too – considering the lack of perspective of the economy of the region, any type of investment is doomed for failure. The good example of this are the 240 million rubles spent for the construction of the farm in Khetagurov village, which, based on the results achieved (not



ეთიდან. ეს ძირითადად განპირობებულია იმით, რომ რუსული ბიუროკრატია ყურადღებას აქცევს მხოლოდ ფურცელზე გამოსახულ მონაცემებს და ნაკლებად ინტერესდება ადგილზე რეალურად არსებული ვითარებით, რომელიც უმეტეს შემთხვევაში სავალალოა.

ცხადია, რომ ცხინვალის რეგიონში არსებული უმძიმესი ეკონომიკური ვითარება, შესაბამის გავლენას ახდენს სოციალურ გარემოზეც და სახეზეა რეგრესი ნებისმიერი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროდუქტისა. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ჯანდაცვის სფერო, სადაც დასაქმებული 305 ექიმის და ასეულობით მედპერსონალის შრომითი ანაზღაურება მესამე სამყაროს ქვეყნების დონეზეა, რაც აფერხებს როგორც პროფესიული განვითარების, ისე კანონის ფარგლებში მუშაობის მოტივაციას. ამიტომაც, ოფიციალურ დოკუმენტებში აღწერილი შთამბეჭდავი სტატისტიკური მონაცემების მიღმა, ჯანდაცვის სფეროში გამეფებულია კორუფცია და ექიმთა დაბალკვალიფიციურობით გამომწვეული სიკვდილიანობის მატება. გარდა ამისა, სკოლებსა და საბავშვო ბაღებში ჩატარებული კვლევის მიხედვით, გამოიკვეთა მომავალი თაობისთვის საგანგაშო ვითარება ჯანმრთელობის კუთხით. კერძოდ, კვლევის თანახმად, მოზარდებში გავრცელებულია კუჭ-ნაწლავის ტრაქტისა და საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებები (სხვა დაავადებათა ჩამონათვალში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ფსიქიური და ქცევის აშლილობა), რასაც უპირველეს ყოვლისა განაპირობებს უხარისხო საკვებისა და ჯანდაცვის უეფექტო სისტემის კომბინაცია. ვითარებას ამძაფრებს უკანასკნელ პერიოდში ონკოლოგიურ დაავადებათა შემთხვევების მკვეთრი მატებაც, რადგან მოსახლეობას ხელი არ მიუწვდება პრევენციულ-პროფილაქტიკურ სამედიცინო სერვისებზე. გამომდინარე აქედან, რეგიონში დარღვეულია ადამიანის ერთ-ერთი უმთავრესი - ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების მიღების უფლება, რაც წარმოქმნის სხვა, მასთან მიზეზ-შედეგობრივ კავშირში მყოფ პრობლემებს.

არსებული საჭირობორტო საკითხებიდან ერთ-ერთი ყველაზე



a single investor joining in), can be qualified as unreasonable budget expenditure. Another indication of the catastrophic situation in the field is the fact that despite the existence of 1 268 000 apple trees in the region, apples are being imported to Tskhinvali City from North Ossetia. This is mainly conditioned by the fact that Russian bureaucracy pays attention only to the data on paper and focuses less on the real situation in the region, which, in most of the cases is deplorable.

It is apparent that the grave economic situation in Tskhinvali region affects the social environment and results in the regression of all the vitally important spheres. The situation is particularly important in the healthcare sphere. Salaries of 305 doctors and hundreds of medical personnel employed in healthcare sphere are at the level of the third world countries (average salary of a doctor is 14,137 rubles or 214 USD; salaries of medical personnel are far lower). This hampers the motivation for professional development and the desire to work legally. Due to that, despite the impressive statistical data represented in official documents, there is very high corruption in healthcare sphere and increase of mortality due to low qualification of doctors. Aside from that, the research conducted in schools and kindergartens has outlined the alarming situation in view of health condition of the future generation. Namely, the research has shown serious spread of gastrointestinal diseases among juveniles (among other spread diseases are psychological and behavior disorders). All this is primarily reasoned by the combination of low-quality catering and ineffective healthcare system. The situation is further exacerbated by the increase of the cases of oncologic diseases, as local population have no access to preventive medical services. Considering all the aforementioned, one of fundamental human rights – right to quality medical services is violated in the region, which causes other, related serious problems.

One of the most acute from existing problems is the demographic situation, which can be analyzed from two different angles. On one hand, negative demographic processes promote the sustaining of negative economic tendencies and on the other hand, the so called “drain of brains” makes implementation of important economic

მნიშვნელოვანი დემოგრაფიული საკითხია, რომელსაც შესაძლოა ორი კუთხიდან მივუდგეთ. ერთის მხრივ, უარყოფითი დემოგრაფიული პროცესები ხელს უწყობს ნეგატიური ეკონომიკური ტენდენციის შენარჩუნებას, ხოლო მეორეს მხრივ, ე.წ. „ტვინების გადინება“ შეუძლებელს ხდის ცხინვალის რეგიონში მნიშვნელოვანი ეკონომიკური ან პოლიტიკური რეფორმების განხორციელების შესაძლებლობას. აღნიშნულ ტენდენციას ადასტურებს სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც რუსეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დანებსებულეებში ცხინვალის რეგიონის მოსახლეობისთვის გამოყოფილ ადგილებზე (დაახლოებით 80 კვოტა წელიწადში) ნასული ოსი სტუდენტები, როგორც წესი უკან აღარ ბრუნდებიან, რაც ხელს უწყობს რეგიონში არსებული განათლების დაბალი დონის და მისი თანმდევი უარყოფითი ეფექტების შენარჩუნებას.

გარდა ამისა, დემოგრაფიის თვალსაზრისით მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს შობადობა-სიკვდილიანობის სტატისტიკა, რომელიც მკვეთრად უარყოფითია - 2009-2014 წლებში ცხინვალის რეგიონში დაიბადა 1 700 და გარდაიცვალა 3 000 ადამიანი, ხოლო 2015 წლის ოფიციალური მონაცემების მიხედვით, დაბადებულთა და გარდაცვლილთა თანაფარდობა თითქმის პროპორციულია (560 დაბადებული და 523 გარდაცვლილი). თუმცა, ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს სტატისტიკით მანიპულაციასთან, რადგან 560 ახალშობილიდან, 260 დაიბადა ცხინვალის რეგიონის ფარგლებს გარეთ (ფაქტობრივად, სტატისტიკის გასამყარებლად, რუსეთის ფედერაციაში დაბადებული ბავშვები მიათვალეს ადგილობრივ ნამატს). ბუნებრივია, რომ დემოგრაფიული ვითარების პოზიტიურ ჭრილში წარმოსაჩენად რეალური სტატისტიკური მონაცემების შენიღბვა ბადებს კითხვას, ღირს თუ არა არსებული სოციალური პოლიტიკის გაგრძელება, როდესაც მისი ერთადერთი ხელშესახები შედეგი მხოლოდ უძველესი ოსური სოფლების დაცლა და ცხინვალის რეგიონის გაუკაცრიელებაა?

აღწერილი ვითარების ანალიზი ცხადყოფს, რომ ცხინვალის რეგიონში შექმნილია ვირტუალური რეალობა, როდესაც საბჭოთა ბიუროკრატის „ბრწყინვალე“ ტრადიციების „გათვალისწინებით“, ფურცელზე უზარმაზარი თანხები იხარჯება მოსახლეობის კეთილდღეობისთვის, თუმცა სინამდვილეში ყველაფერი უკვალოდ ქრება ეკონომიკის „შავ ხვრელში“.

და ბოლოს, დავძენთ, რომ ცხინვალის რეგიონის პრობლემები აღნიშნულით არ ამოიწურება და რელობა მოითხოვს ადგილობრივი მოსახლეობისთვის საჭირობო სხვა მრავალი თემა განვიხილოთ. გამომდინარე იქიდან, რომ მოცემული სტატიის ფორმატი არ გვაძლევს საშუალებას მეტი ინფორმაცია გავაშუქოთ, იმედს ვიტოვებთ, რომ მოგვიანებით მოგვეცემა არსებული პრობლემების უფრო საფუძვლიანად (მეტი კონკრეტიკით) განხილვის შესაძლებლობაც. ■

and political reforms in Tskhinvali region impossible. The aforementioned tendency is confirmed by the statistics according to which Ossetian students studying in Russian higher education institutions based on quotas allocated to Tskhinvali region population (approximately 80 quotas per year) do not return, which results in low education level in the region and sustainment of accompanying negative effects.

Aside from that, the birth-mortality statistics is also a significant problem in view of demography. The given sta-



istics is highly negative – 1,700 have been born and 3,000 have deceased in Tskhinvali region during 2009-2014 and in 2015, according to official data, the numbers of the newborns and of the deceased is almost proportional (560 born and 523 deceased). Still, it has to be noted that here we see manipulation with statistics as from the 560 newborns, 260 have been born outside of Tskhinvali region (in fact, for improving the statistics, they have included children born in Russian Federation to the Tskhinvali region data). Naturally, forging of real statistical data for representing the demographic situation in a positive context creates the question about the advisability of continuation of the current social policy as long as the only real result of it are the abandoned ancient Ossetian villages and rapid depopulation of Tskhinvali region.

Analysis of the described situation clearly shows that the virtual reality has been created in Tskhinvali region; while “by consideration” of the “brilliant” traditions of Soviet bureaucracy enormous amounts of money are being spent for the wellbeing of population on the paper, in reality everything disappears in the “economic black hole”. It is noteworthy that the aforementioned is not the only problem for Tskhinvali region residents and it is necessary to further discuss numerous other problems that local population faces. Due to the fact that format of the given article does not allow more detail research, we hope that in future there will be the opportunity to more comprehensively discuss all the existing problems. ■

ინტერვიუ საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის (EUMM) ხელმძღვანელთან ბატონ კესტუტის იანკაუსკასთან (Kęstutis Jankauskas) “სამოქალაქო ფორუმში მშვიდობისათვის” მიერ გამოცემული ჟურნალის The Forum პირველი ნომრისთვის.

Interview with the Head of the European Union Monitoring Mission (EUMM) in Georgia Ambassador Kęstutis Jankauskas for first issue of the Civil Forum for Peace magazine The Forum.

## **რას წარმოადგენს EUMM-ის მისიის მანდატი საქართველოში და რომელ სფეროებში და ტერიტორიებზე მოქმედებს ის?**

ევროპის კავშირის მონიტორინგის მისია შეუიარაღებელი სამოქალაქო სადამკვირვებლო მისიაა, რომელშიც მონაწილეობენ მონიტორები ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან. EUMM საქართველოში 2008 წლის სექტემბერში ჩამოვიდა, მას შემდეგ რაც ევროკავშირის მედიაციის შედეგად ხელი მოეწერა ექვსპუნქტიანი შეთანხმებას, რომელმაც წერტილი დაუსვა აგვისტოს ომს. ჩვენი მანდატი, რომელიც მას შემდეგ არ შეცვლილა, მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და ოთხი ძირითადი ამოცანის გადასაწყვეტად მუშაობს:

- ხელს ვუწყობთ მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტაბილურობის შენარჩუნებას, შეიარაღებული შეტაკებების განახლების პრევენციის მიზნით;
- ხელს ვუწყობთ ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის (ABL) ორივე მხარეს მცხოვრებ მოსახლეობას, განაახლონ უსაფრთხო და ნორმალური პირობებში ცხოვრება;
- აქტიურად ვუწყობთ ხელს მხარეებს შორის ნდობის აღდგენის პროცესს;
- ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს და სტრუქტურებს ვანვდით ზუსტ და ფაქტობრივ ინფორმაციას საქართველოში კონფლიქტთან დაკავშირებული სიტუაციის შესახებ.

## **შეგიძლიათ, მოგვანოვოთ გარკვეული სტატისტიკური ინფორმაცია, თუ რა სახის ინციდენტები ხდება ე.წ. „საზღვარზე“ და „ბუფერულ ზონაში“? რა სახის რეაგირებას ახდენს და რა მექანიზმებით ხელმძღვანელობს EUMM ასეთი ინციდენტების წარმოშობისას?**

გამყოფმა ხაზმა და შემდგომმა „ბორდერიზაციამ“ დაყო ადგილობრივი თემები, სოფლები, ოჯახები და ადამიანები, რომლებიც მანამდე საერთო სამეზობლოებში ცხოვრობდნენ. შედეგად, მეტად შეიზღუდა თავისუფლად გადაადგილების უფლება; ზოგიერთ შემთხვევაში კი - შეუძლებელიც გახდა. გამოყოფა ხაზთან ჯერ კიდევ მცხოვრები ადამიანები ყოველდღიურად მრავალ სირთულეს აწყდებიან სასოფლო-სამეურნეო მიწების დამუშავებისას, მორწყვისას, საქონლის საძოვარზე გაყვანისას, ადგილობრივად ვაჭრობისას, სამედიცინო დახმარების მიღებისას, სასაფლაოებზე და წმინდა ადგილებში გასვლისას, ერთმანეთთან სტუმრად მისვლისას. ეს ყველაფერი თანაბრად ეხება აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან გამოყოფილ ხაზზე მცხოვრებ ადამიანებს და მათ, ვინც თბილისში მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ცხოვრობს.



## **What is the mandate of the EUMM mission in Georgia and which areas and territories it covers?**

The European Union Monitoring Mission is an unarmed civilian monitoring mission manned by monitors from EU Member States. EUMM arrived in Georgia in September 2008, following the EU-mediated Six Point Agreement which ended the August war. Our mandate, which has remained unchanged since then, is valid throughout all of Georgia and covers four specific tasks:

- We contribute to the short- and long term stability to prevent return to hostilities;
- We support the process of enabling people living on both sides of the Administrative Boundary Lines (ABL) to resume safe and normal life;
- We actively contribute to building confidence among the conflict parties;
- We provide EU Member States and institutions with accurate factual information on the conflict related situation in Georgia.

## **Can you provide us with some statistics of what kind of accidents happens on so called “border” and in buffer zones. What are the reactions and mechanisms used by EUMM during these accidents?**

The ABLs and subsequent “borderisation” has divided many local communities, villages, families and people who used to live in common neighbourhoods. It has made freedom of movement very difficult, sometimes even impossible. People who continue to live close to ABLs encounter a variety of difficulties in their daily lives – during cultivation of agriculture land, irrigation, herding livestock, local trade, medical cases, visiting graveyards and holy places, visiting each other and their neighbours. It equally applies to people living on both sides of the ABLs in Abkhazia, South Ossetia and Tbilisi administered territory.

Sometimes people are not sure where the line runs, so they are afraid to cultivate their fields, orchards or herd livestock. Sometimes they are told to stop cultivating land

ადამიანებმა ხშირად არ იციან, თუ სად გადის გამყოფი ხაზი და ამიტომ ემინათ საკუთარი მიწის, ბალ-ბოსტნების დამუშავება ან საქონლის საძოვრად გაყვანა. ზოგჯერ მათ უკრძალავენ იმ მიწების დამუშავებას, რომლებზეც ისინი და მათი ოჯახები ადრე მუშაობდნენ. როდესაც ისინი გადაკვეთენ „საზღვარს“, ხშირ შემთხვევაში მათ, როგორც წესი, აკავებენ. გასულ 2015 წელს, EUMM-მა დააფიქსირა დაკავების 492 ფაქტი. შესაძლოა ასეთი ინციდენტების რაოდენობა მეტიც იყო, რადგან ინფორმაციას მათ შესახებ ყოველთვის არ გვანდებოდა.

ხდება ასევე სხვა სახის ინციდენტებიც - საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტები, საგარაუდო სროლები, ბალახის ხანძრები, ინფრასტრუქტურის დაზიანება ან აუფეთქებელი ნაღმების აღმოჩენა და ა.შ. ზოგ შემთხვევაში ინციდენტები ინვესტორთა გამყოფ ხაზთან საპროტესტო შეკრებების და დემონსტრაციების ჩატარებას, სადაც წარმოდგენილი არიან ხოლმე შეიარაღებული ძალოვანი სტრუქტურები.

რას აკეთებს ასეთ დროს მისია? პირველ რიგში, ჩვენ ვახდენთ გამყოფ ხაზზე პატრულირებას და ვურთიერთობთ ადგილობრივ თემებთან და მონაწილე მხარეებთან. ჩვენი იქ ყოფნა ზოგჯერ ხელს უწყობს ინციდენტების თავიდან აცილებას, ამალღებს ევროკავშირის შიგნით ინფორმირებულობის ზრდას და ადრეულ გაფრთხილებას ნებისმიერ დროს და ნებისმიერ დონეზე. მეორე რიგში, ჩვენ ვამუშავებთ ე.წ. ცხელ ხაზს, რომელიც საშუალებას აძლევს გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მოქმედ უსაფრთხოების სტრუქტურებს, გაცვალონ ინფორმაცია 24 საათის და წელიწადში 365 დღის განმავლობაში. როდესაც რაღაც ხდება, ჩვენ სწრაფად ვაგზავნით სპეციალურ პატრულს ადგილზე, რათა დავაზუსტოთ არსებული სიტუაცია. ზოგიერთ შემთხვევაში ვახდენთ გამყოფ ხაზზე უსაფრთხოების აქტორებს შორის შეხვედრების ფასილიტაციას გამოსავლის პოვნის მიზნით. შემდგომ, როგორც წესი, ეს ინციდენტები განიხილება IPRM-ის (ინციდენტების პრევენციისა და ადრეული რეაგირების მექანიზმი / Incident Prevention and Response Mechanism) ფარგლებში ჩატარებული ყოველთვიური შეხვედრებისას.

**ინციდენტების წარმოშობისას გაქვთ თუ არა კომუნიკაცია აფხაზეთის და [სამხრეთ] ოსეთის მხარეებთან? თუ კი, კონკრეტულად ვისთან?**

დიახ, გვაქვს მათთან კომუნიკაცია. ზემოთ ნახსენები ცხელი ხაზის მექანიზმი, რომელსაც ფასილიტაციას EUMM უწევს, ერთმანეთთან აკავშირებს თბილისში, სოხუმსა და ცხინვალში მოქმედ სპეციალურ ცხელ ხაზებს. ჩვენი დახმარებით მათ საშუალება აქვთ გაცვალონ ინფორმაცია, გაუგზავნონ ერთმანეთს მესიჯები, დასვან კითხვები და დააზუსტონ დეტალები. მისი ბუნებიდან გამომდინარე და ყველა ჩართული მხარის მზაობის გათვალისწინებით ცხელი ხაზი მეტად ეფექტური მექანიზმია გამყოფ ხაზზე წარმოშობილ ინციდენტებზე რეაგირებისთვის. 2015 წელს ცხელი ხაზი 1100-ზე მეტჯერ ამოქმედდა.

თუკი ინციდენტის დარეგულირება ცხელი ხაზის მეშვეობით შეუძლებელია, ან თუ საჭიროა დამატებითი დისკუსიები, შესაძლებელია ასეთი საკითხების IPRM ფორმატის შეხვედრებზე დაყენება. ერგნეთში, სამხრეთ ოსეთთან გამყოფ ხაზზე ასეთი შეხვედრები ყოველთვიურად იმართება EUMM-ის და ეუთოს ფასილიტაციით და ყველა ადგილობრივი უსაფრთხოების აქ-

plots that they and their families have worked previously. If they cross the line, often unintentionally, they are usually detained. Last year, 2015, EUMM registered 492 detention cases. There may be even more, since we are not always informed.

There is variety of other incidents – air space violations, alleged shootings, grass fires, damage to infrastructure, detection of mines or unexploded ammunition, etc. Sometimes accidents lead to gatherings and demonstrations very close to the ABL, where armed security actors are present.

What does the Mission do? First of all, we patrol along the ABLs, engaging with communities and stakeholders. Our presence sometimes helps to avoid incidents and provides situational awareness and early warning at all times and at all levels within EU. Secondly, we maintain a so called Hotline which enables us and security actors on both sides of the ABL to exchange information around the clock – 24 hours a day, 365 days a year. When something happens we quickly dispatch a special patrol to the spot to verify the situation. Sometimes we facilitate meetings on the ABL between security actors and try to find solutions. Then these incidents are usually discussed at IPRM (Incident Prevention and Response Mechanism) meetings every month.

***In case of accidents do you have communication with Abkhazian and [South] Ossetian sides? If yes with whom?***

Yes, we do communicate. The Hotline mechanism mentioned above and facilitated by the EUMM connects specially designated Hotline Holders in Tbilisi, Sukhumi and Tskhinvali. With our assistance they can exchange information, pass messages, ask questions, clarify details. Because of its nature and the stand-by readiness of all parties involved, the Hotline has proved to be an extremely efficient mechanism to handle ABL-related incidents. In 2015, the Hotline was activated more than 1,100 times.

If an incident cannot be solved though the Hotline or needs follow-up discussions face-to-, it can be raised during the Incident Prevention & Response Mechanism (IPRM) meetings. In Ergneti, on the ABL to South Ossetia, these meetings take place every month and are facilitated by EUMM and OSCE representatives with all local security actors around the table. In Abkhazia we have just restarted the IPRM at the end of May 2016 after four years of disruption. The IPRM meetings in Gali are chaired by UN with EUMM's participation. I hope that the IPRM meetings in Gali will now also start taking place monthly. These meetings, launched in early 2009 are meant specifically to discuss the incidents and try to prevent them.

Last but not least – the Head of Mission reports on the

ტორების მონაწილეობით. აფხაზეთში ცოტა ხნის წინ განვაცხადეთ IPRM, 2016 წლის მაისში, ოთხწლიანი შეჩერების შემდეგ. გალში ჩატარებულ IPRM-ის შეხვედრებს თავმჯდომარეობს გაერო, EUMM-ის მონაწილეობით. იმედი მაქვს IPRM-ის ფარგლებში შეხვედრები გალშიც ყოველთვიურ რეჟიმში გადავა. 2009 წლის დასაწყისში დაწყებული ეს შეხვედრები სპეციალურად ინციდენტების განსახილველად და მათი პრევენციის მიზნით არის დაგეგმილი.

ასევე, მისიის ხელმძღვანელი ანგარიშს აბარებს უსაფრთხოების სიტუაციის შესახებ ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებისას, რომლებიც ყოველწლიურად იმართება და ასევე ბრიუსელში მოქმედ ევროკავშირის სხვადასხვა სტრუქტურებს.

**მიმდინარეობს თუ არა მოლაპარაკებები აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მხარეებთან EUMM-ის მანდატის ამ ტერიტორიებზე გაფართოების საკითხზე?**

2008 წელს ევროკავშირის მიერ შექმნილი მისიის მანდატი საკმარისად ფართოა. თუმცა, ჩვენ ვერ ჩავდივართ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. მოლაპარაკებები მიმდინარეობს, თუმცა სასურველ შედეგს ვერ-ჯერობით ვერ მივაღწიეთ.

ჩვენ ვაგრძელებთ პატრულირებას იმ ტერიტორიებზე სადაც შესვლა შეგვიძლია, განსაკუთრებით გამყოფი ხაზის გასწვრივ. ადგილობრივები აცხადებენ, რომ თავს უფრო უსაფრთხოდ გრძობენ, როდესაც ახლომასლო EUMM ხედავენ. დარწმუნებული ვარ, გამყოფი ხაზის მეორე მხარის მოსახლეობაც იგივე აზრის იქნებოდა. ჩვენ საერთაშორისო შეუიარაღებელი სამოქალაქო მონიტორინგის მისია ვართ, რომელიც საოპერაციო მიუკერძოებლობის პრინციპით მუშაობს. ჩვენ არავისთვის საფრთხეს არ წარმოვადგენთ და დარწმუნებული ვარ, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთიც მოიგებდა ჩვენი იქ ყოფნით ობიექტური მონიტორინგის განხორციელების შედეგად.

**თქვენი აზრით, რამდენად ეფექტური და სიტუაციასთან შესაბამისია თქვენი მანდატი სამშვიდობო პროცესში?**

დიახ, ჩემი აზრით ჩვენი მანდატი დღევანდელი სიტუაციის სრულად ადეკვატურია. ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები რეგულარულად ამოწმებენ და აფასებენ მანდატს და შესაბამისად ხდება მისიის მისადაგება არსებულ სიტუაციასთან.

გასულ წელს განხორციელდა გარკვეული რეფორმები მისიაში, რამაც ჩვენი მონიტორინგი უფრო მოქნილი და ეფექტური გახადა. ჩამოვყალიბეთ ანალიტიკური, საანგარიშო და სავლელ გასვლების დეპარტამენტი, რამაც საშუალება მოგვცა უკეთესად შევკრიბოთ ინფორმაცია და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს და სტრუქტურებს უკეთესი ანგარიშები გავუზავნოთ. ეს ევროკავშირის ესმარება უკეთესად ინფორმირებული გადაწყვეტილებები მიიღოს. ჩვენ ასევე გამოგვიყვეს სპეციალური ფონდი, რომელსაც ეწოდება „ნდობის აღდგენის მექანიზმი“ ან „საპროექტო უჯრედი“, რომლის მეშვეობითაც მხარს ვუჭერთ გამყოფი ხაზის გასწვრივ აქტივობებს, დიალოგს და ურთიერთგაგებას.

ამა წლის აპრილში ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა განაცხადეს ე.წ. სტრატეგიული მისიის გადახედვა, რომლის პროცესშიც მოხდა მისიის ამოცანების და მანდატის დღეს არსებული უსაფრთხოების გარემოს შესაბამისი ხელახალი შეფასება. მათი დასკვნით მისია „ჯანსაღი და მიზნის შესაფერისია“ და რეკომენდებულია EUMM-ის მანდატის გაგრძელება კიდევ ორი წლით, 2018 წლის დეკემბრამდე. ჩვენ ასევე გამოგვეყო დამატებითი ტექნიკური

security situation on the ground at the Geneva International Discussions, which take place four times a year, and at all times to the EU structures in Brussels.

***If there are communication and negotiation with Abkhazian and [South] Ossetian sides to enlarge the mandate of EUMM in those territories?***

The Mission mandate given by EU in 2008 is wide enough. However, we do not have access to Abkhazia and South Ossetia. Discussions take place but so far they did not produce a desirable result.

We keep patrolling the areas where we do have access, especially along the ABLs. Local people there say that they feel safer when they see the EUMM, when they know that there is an international presence. I'm sure that people on the other side would feel the same way. We are an international unarmed civilian monitoring mission exercising operational impartiality. We are not of any danger to anybody, and I'm sure that Abkhazia and South Ossetia would benefit from our presence and objective monitoring as well.

***Do you think that your mandate is effective and adequate in peace building process?***

Yes, I think that our mandate is fully adequate under the current circumstances. It is being examined and evaluated by EU Member States regularly, and the Mission set-up is being adjusted as necessary.

Last year the Mission went through some reforms which enabled us to make our monitoring more flexible and reactive. We have established an Analytical, Reporting and Outreach Department enabling us to better fuse the information received from a variety of sources and to provide EU Member States and Institutions with better reports. It helps EU to take better informed policy decisions. We were also given a special fund called the Confidence Building Facility or Project Cell enabling us to support cross-ABL outreach, dialogue and understanding.

In April this year EU Member States conducted a so called Strategic Mission Review where they re-examined Mission tasks and mandate in the current security environment. They concluded that Mission is “healthy and fit for purpose” and recommended extending the EUMM mandate for additional two years until December 2018. We were as well given additional technical and analytical tools.

Having said that, we will constantly monitor and adjust if needed. This is a dynamic process and we have to be flexible and adapt. If we do not keep pedalling the bike, we will eventually fall down.

Needless to say, we coordinate very closely within EU-Family – the European Union Special Representative (EUSR) for the South Caucasus and the crisis

და ანალიტიკური ინსტრუმენტები.

შედეგად, ჩვენ ვაგრძელებთ მუდმივ მონიტორინგს და ვეცდებით საჭიროების შესაბამისად მოვახდინოთ ადაპტაცია. ეს დინამიური პროცესია და ჩვენც მოქნილები უნდა ვიყოთ. თუკი არ გავაგრძელებთ პედლების ტრიალს ველოსიპედზე, აუცილებლად დავეცემით.

რა თქმა უნდა, ჩვენ მჭიდრო კოორდინაციას ვახდენთ ევროკავშირის ოჯახთან (EU-Family) - ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენლობასთან სამხრეთ კავკასიაში და ევროკავშირის დელეგაციასთან საქართველოში, რაც გვეხმარება ჩვენი საქმიანობის უფრო თანმიმდევრულად და სიღრმისეულად განხორციელებაში.

**რას ფიქრობთ სოფელ ხურჩაში მომხდარი ბოლო ინციდენტის შესახებ, რომლის შედეგადაც საქართველოს მოქალაქე ცეცხლსასროლი იარაღით იქნა მოკლული აფხაზი მესაზღვრის მიერ?**

ჩვენ დავგმეთ ეს ტრაგიკული ინციდენტი, როდესაც აფხაზეთის შეიარაღებულმა პირებმა გადმოკვეთეს ადმინისტრაციული გამოყოფილი ხაზი ნაბაკევი-ხურჩას გამშვებ პუნქტზე და ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლეს უიარაღო ადამიანი. ეს ერთ-ერთი, თუ არა ყველაზე სერიოზული ინციდენტი, რაც 2008 წლის შემდეგ მოხდა.

ჩვენ გავააქტიურეთ ცხელი ხაზი ინციდენტის შემდეგ და დაუყოვნებლივ აფხაზეთისა და რუსეთის უსაფრთხოების სტრუქტურებს. აქტიური მონაწილეობა მივიღეთ IPRM-ის საგანგებო შეხვედრაში, რომელიც 27 მაისს გაიმართა გალში, ზუსტად ამ ინციდენტის განსახილველად. მჯერა, რომ კონკრეტული შედეგები მალე იქნება და დამნაშავე შესაბამისად დაისჯება. ასეთი სახის ინციდენტები კონფლიქტის ტრაგიკული გადმონაშთებია და ყველაფერი უნდა გაკეთდეს მათი თავიდან ასაცილებლად. თუმცა, ასეთი ინციდენტები საშუალებას გვაძლევს, რომ სწორი დასკვნები გამოვიტანოთ.



ჩვენმა მისიამ დაარწმუნა ყველა მხარე, რომ მზადაა ინფორმაციის გაცვლის ფასილიტაციისთვის, რათა დახმარება გაენიოს გამოძიებას.

**რა უნდა გაკეთდეს საქართველოს მხრიდან ასეთი სახის ინციდენტების თავიდან ასაცილებლად, რათა საქართველოს მოქალაქეებმა თავი უსაფრთხოდ იგრძნონ?**

EUMM-ის წარმომადგენლები ხურჩაში ინციდენტიდან მცირე ხანში ჩავიდნენ. ჩვენ ამ ტერიტორიაზე რეგულარულ პატრულირებას ვახორციელებთ, მაგრამ ახლა უკვე გავზარდეთ ჩვენი წარმომადგენლობა აფხაზეთთან ადმინისტრაციული გამოყოფილი ხაზის გასწვრივ მდებარე კონტროლირებად სასაზღვრო წერტილებში, გორში და მცხეთაში მომუშავე ჩვენი სავიწრო ოფიცრების დახმარებით. ჩვენი მიზანია ადგილობრივების ყოველდღიური ცხოვრება ნორმალურ პირობებში დაბრუნდეს და თავიდან ავიცილოთ დაძაბულობა. ღრმად მჯერა, რომ ეს ყველას ინტერესებშია.

ჩვენ ასევე შევამჩნიეთ ქართული პოლიციის მხრიდან პატრულირების გააქტიურება. გვაქვს ინფორმაცია, რომ საქართველოს სამთავრობო სტრუქტურებში მიმდინარეობს შიდა კონსულტაციები შემდგომი ნაბიჯების შესახებ. პროცესს ყურადღებით ვაკვირდებით, შეთანხმებული ტექნიკური მეგობრანდუმიის შესაბამისად.

in Georgia and the EU Delegation to Georgia which helps all of us making our work more consistent and comprehensive.

**What do you think about the last accident, which happened in the village of Khurcha and Georgian citizen was shot by so called Abkhazian border guard?**

We have condemned this tragic incident where armed security actors from the Abkhaz side crossed the ABL at the Nabakevi-Khurcha Crossing Point and carried out the fatal shooting of an unarmed man. This is one of, if not the most, serious incident since 2008.

We have activated the Hotline after the incident and liaised with Abkhaz and Russian security actors. We have actively participated in the emergency IPRM meeting in Gali on 27 May, devoted to this particular incident. Materials were shared at that meeting to assist the ongoing Abkhaz investigation. I believe that it will produce concrete results very soon, and that the

perpetrator will be brought to justice. Incidents like that are tragic reminders of the conflict and everything should be done to avoid them. However, they also offer opportunities to move forward, and I very much hope that right conclusions will be made this time.

The Mission has assured all parties involved that it stands ready to facilitate further exchange of information to help the investigation.

**What could be done from Georgian side to prevent such kind of accidents, that Georgian citizens can feel secure?**

The EUMM were on the spot in Khurcha shortly after the incident. We regularly patrol there, but now we have increased our presence along the ABL with Abkhazia at controlled crossing points with the help of monitors from our Gori and Mtskheta Field Offices. We want the local life there to return to normal as soon as possible and to avoid tensions. I believe this is in

ხაზი მინდა გავუსვა IPRM-ის ფორმატში შეხვედრების მნიშვნელობას. ეს კონფლიქტის პრევენციის მექანიზმია, რომელიც დისკუსიის და ინციდენტების პრევენციის შესაძლებლობას იძლევა. აფხაზეთის შემთხვევაში ეს უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტი ოთხი წლის განმავლობაში არ გამოყენებულა. ჩვენს ხელთ არსებული ყველა რესურსი უნდა გამოვიყენოთ ამ მექანიზმის ეფექტურად მუშაობისთვის. ჩემი აზრით, ეს ხელს შეუწყობს ძალიან ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის გასწვრივ უსაფრთხოების უზრუნველყოფას და პროგნოზირების შესაძლებლობას.

**რა სახის კომუნიკაცია გაქვთ სამშვიდობო და ნდობის აღდგენის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან? არის თუ არა ეს თანამშრომლობა და კომუნიკაცია სასარგებლო და ეფექტური და გვეხმარება თუ არა ის თქვენს საქმიანობაში EUMM-ის მანდატის ფარგლებში?**

რეგიონში სამშვიდობო და ნდობის აღდგენის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო და სამოქალაქო ორგანიზაციები მეტად მნიშვნელოვან და მძიმე სამუშაოს ასრულებენ, რომელიც გამინუნალია ადგილობრივი მოსახლეობის სასარგებლოდ. ჩვენ ვართ ღია დიალოგისა და თანამშრომლობისთვის ყველასთან, ვისაც ერთობლივი მუშაობის სურვილი აქვს გამყოფი ხაზის ორივე მხრიდან. ზოგიერთ მათგანთან უკვე გვაქვს დიდი ხნის თანამშრომლობის და კომუნიკაციის გამოცდილება. ეს ორგანიზაციები ჩვენთვის ღირებული და სოლიდური პარტნიორები არიან. რეგულარულად ვანყოფთ დისკუსიებს მათთან ერთად მრგვალი მაგიდის ფორმატში, სადაც ერთმანეთს ვუზიარებთ იდეებსა და გამოცდილებას. ისინი გვეხმარებიან უკეთ გავიგოთ ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებები; ზოგჯერ ისინი ბუნებრივი პარტნიორები არიან „ნდობის აღდგენის მექანიზმის“ მიერ მხარდაჭერილი პროექტების განხორციელებისას. ჩვენი მისიის თანამშრომლები მონაწილეობას იღებენ სამოქალაქო საზოგადოების მიერ ორგანიზებულ ვორკშოპებში, კონფერენციებში და სხვა სახის ღონისძიებებში.

რაც შეეხება საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, ჩვენ მჭიდროდ ვმუშაობთ ეუთოს-თან და გაეროსთან და არა მხოლოდ IPRM-ის შეხვედრების ფორმატში.

**რას ურჩევდით საქართველოს ხელისუფლებას და საქართველოში და ოკუპირებულ ტერიტორიებზე ნდობის აღდგენის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს?**

ჩვენ გვაკისრია მონიტორინგის და არა მრჩევლის მისია. რაც საქართველოში მუშაობის 8 წლის განმავლობაში დავინახეთ არის ის, რომ ხალხმა და ხელისუფლებამ კარგად იცის რა არის გასაკეთებელი და სიტუაციასაც კარგად უმკლავდებიან. კონფლიქტის მოგვარებას დრო და მოთმინება სჭირდება, თავშეკავება და ამავე დროს გამძლეობა, თანმიმდევრულობა და მოქნილობა - ერთდროულად. პროცესებში ჩართვა რთულია, მაგრამ აბსოლუტურად აუცილებელი და ჩვენც მზად ვართ მხარი დაუჭიროთ ყველა იმ ინიციატივას, რომელიც მიმართული იქნება გამყოფი ხაზის გასწვრივ დიალოგისა და ურთიერთგაგების გააქტიურებისაკენ. ჩვენ გვაგაგრძელებთ ამ პროცესების მხარდაჭერას ჩვენი პროფესიონალური მიდგომით და მიუკერძოებელი და ობიექტური მონიტორინგის მეშვეობით, ანგარიშგებით და ნდობის აღდგენის ხელშეწყობით. ■

everybody's interest.

We have also noticed increased patrolling from the Georgian Police. We understand that Georgian institutions are undergoing internal consultations about further measures. We keep following the issue closely pursuant to the Technical Memoranda we have agreed.

I would like to stress the importance of the IPRM meetings here. It is a conflict prevention mechanism designed to allow discussion and prevent incidents. In case of Abkhazia this important tool was not used for over four years. We should all do everything in our power to make that mechanism work. I believe it can help to create more predictability and security along the very busy ABLs.

**What kind of communication do you have with the organizations working on peace and confidence building issues. If this communication is useful and effective and help you in your work within the EUMM mandate?**

NGOs and Civil Society Organizations working on peace and confidence building in the regions do a very important and hard work for the benefit of local people. We are open and ready for dialogue and cooperation with all those who want to work together, on both sides of the ABL. With some of them we have long standing cooperation and communication. They are our valuable and solid partners.

We are regularly organising roundtable discussions with them where we all can share ideas and experience. They help us to better understand the need of locals, sometimes they are natural partners for implementation of projects supported by our Confidence Building Facility. Our mission staff members participate in different workshops, conferences and other events organized by Civil Society Organizations.

As to cooperation with International Organisations, we work closely with the OSCE and the UN, not least in relation to the IPRM meetings.

**What would you advise to the Georgian government and NGOs working with confidence building issues in Georgia and at its occupied territories?**

We are a monitoring, not an advisory mission. In what we have seen in almost 8 years of our work in Georgia, the people and government know what to do, and they handle the situation well. Conflict resolution requires time and patience, listening and understanding, restraint but also stamina, consistency and flexibility at the same time. Engagement is difficult, but absolutely needed, and we stand ready to support all efforts to reach out across the lines to bring more dialogue and understanding. We will continue to contribute with our professional attitude and impartial objective monitoring, reporting and confidence building. ■

**თემურ ცხურბათი, ჟურნალისტი  
პარლამენტარიზმის 25 წელი სამხრეთ ოსეთში**  
**Temur Tskhurbati, Journalist**  
**25 YEARS OF PARLIAMENTARISM IN SOUTH OSSETIA**



“პადდზახადონ ნიხას” (Паддзахадон Ныхас) - ერთი პერიოდი ასე უწოდებდნენ სამხრეთ ოსეთის პარლამენტს. გარე მფარველების გულის მოსაგებად, ოპორტუნისტებმა ეს სახელწოდება გააუქმეს. ჩემი აზრით, სრულიად უსაფუძვლოდ, რადგან „ნიხასის“ ინსტიტუტი ოსეთში საუკუნეების განმავლობაში არსებობდა და თავისი არსით ის სწორედ პარლამენტს წარმოადგენდა. პირველი სიტყვა „სახელმწიფოს“ ნიშნავს, რადგან „ნიხასები“ არსებობდა სოფლებშიც და ხეობებშიც კი. ეს სახელწოდება სრულიად საზოგადოებრივია.

რაც იყო, იყო; ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. სამხრეთ ოსეთის პარლამენტი უკვე 25 წელს ითვლის. საკმაოდ სერიოზული პერიოდი, რაც აღინიშნა კიდევ საზეიმო შეკრებით, რომელზეც მონაწილეები იყვნენ სამთავრობო დელეგაციები ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან, რომლებმაც უკვე აღიარეს სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. მათ შორის იყო რუსეთი, ჩრდილოეთ ოსეთი, აფხაზეთი, ყარაბაღი, დნესტრისპირეთი და დონბასის ორივე რესპუბლიკა. 25 წლის იუბილე დაემთხვა მეექვსე მონვევის პარლამენტის მუშაობის პერიოდს, რომელმაც ორგანიზება გაუკეთა აღნიშნულ ღონისძიებას. საზეიმო შეკრება სტანდარტული წესით წარიმართა - მილოცვებით და საზეიმო სიტყვით გამოსვლების თანხლებით. ორიგინალური, ალბათ მხოლოდ ის იყო, რომ შეკრების თავყრილობა მიჰყავდა არა რომელიმე მოქმედ პარლამენტარს, არამედ ტარზან კოკოევს, რომელიც თანამდებობრივად არანაირად არ იყო დაკავშირებული მიმდინარე ღონისძიებასთან; ის სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შტაბის უფროსია. ჩავთვალოთ, რომ ეს მისი მჭერმეტყველების და დეპუტატყოფილობის აღიარება იყო.

შეძლებისდაგვარად შევაჯამოთ პარლამენტის მიერ განვლილი გზა. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკისთვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები მიღებული იქნა პირველი მონვევის პარლამენტის მიერ და ის სამართლიანად ითვლება დანარჩენი მონვევის პარლამენტებს შორის ყველაზე ქმედუნარიანად და მცოდნედ. პირველი მონვევის პარლამენტის წევრობა გმირობის ტოლფასი იყო, რადგან არავინ იცოდა თუ როგორ წარიმართებოდა რესპუბლიკის შემდგომი ბედი; სამხრეთ ოსეთი დამოკიდებული იყო გარე ძალებზე, რომლებიც ნებისმიერი გზით შეიძლებოდა წარმართულიყო და დეპუტატის მანდატი შესაძლოა ციხის საკნის საშვიც კი გამხდარიყო. იყვნენ დეპუტატები, რომლებმაც „ინგლისურად წასვლა“ არჩიეს, დამშვიდობების გარეშე. საჭირო გახდა დამატებითი არჩევნების ჩატარება, რადგან პარლამენტის მუშაობისთვის საჭირო ქვორუმი არ იკრიბებოდა. ვფიქრობ, ხმამაღლა უნდა ითქვას, რომ ასეთ დეპუტატებს შორის ედუარდ კოკოითიც იყო - რომელიც დამატებითი არჩევნების შემდეგ პარლამენტის მუშაობაში ჩართული არავის უნახავს. ამის მიუხედავად, ის სამხრეთ ოსეთის მეორე პრეზიდენტი გახდა, საკმაოდ დემოკრატიულად და ლეგიტიმურად არჩევნების მოგების შედეგად.

დავუბრუნდეთ პირველ პარლამენტს. მაშინდელ დეპუტატებს დღევანდელ პირობებთან შედარებით ბევრად უარეს სიტუაციაში უწევდათ მუშაობა. საპარლამენტო სესიებზე მიდიოდნენ ფეხით, თუ ქალაქის საზ-

Paddzakhadon Nikhas (Паддзахадон Ныхас) – this is how South Ossetian parliament was called for some time. To please the foreign patrons, opportunists abolished that name. I think in vein, as the institute of “nikhas” existed in Ossetia for centuries and inherently it was nothing but parliament. The first word (paddzakhadon) means state, as there used to be village, ravine and national (Ossetian) nikhases.

Anyway, those are the stories of days gone by. The newest South Ossetian parliament has already counted 25 years. It is a serious period of time, which was marked with solemn assembly by invitation of governmental delegations from former USSR countries that have recognized the independence of South Ossetia. Among those countries were Russia, North Ossetia, Abkhazia, Karabakh, Pridnestroye and both Donbass republics. The 25th anniversary came on the sixth convocation of parliament, which was organizer of the celebration. The solemn assembly was conducted in a standard form; with congratulations and solemn speeches. Original probably was the fact that the assembly was led by not somebody from the acting MEPs, but by Tarzan Kokoev, who did not have any positional affiliation with the action; he was the Chief of Staff of the MIA of South Ossetian Republic at that moment. We may assume that it was a tribute to his eloquence and his pas as an MEP.

Let us summarize the path already left behind by parliament. The momentous decisions for the Republic of South Ossetia were made by the first parliament and it is rightly considered as the most efficient and competent from all the convocations. Membership of the first parliament was equal to a heroic deed, as nobody at that time knew what the future fate of the republic would be; the very small Republic of South Ossetia depended on outside powers, which could have changed direction any time and an MEP mandate could have turned into a pass to prison cells.

There were MEPs who preferred to leave without



ღვრებს გარედან მოდიოდნენ საზოგადოებრივი, ან სხვა ნებისმიერი არსებული ტრანსპორტით. ზამთარში ძალიან თბილად იცვამდნენ, რადგან პარლამენტის შენობა არ თბებოდა. მაშინდელ პარლამენტს ავტოპარკი საერთოდ არ ჰქონდა, დღევანდელისგან განსხვავებით, რომელიც უძვირფასესი ავტომანქანებით სარგებლობს. დღეს თბილი ტანსაცმელი უკვე აქტუალური აღარ არის. პარლამენტარები ძვირფასი პიჯაკებით იწონებენ თავს, ხოლო 08.08.08 ომის შემდეგ აღდგენილი პარლამენტის შენობაში კომფორტიცაა და თბილა კიდევაც.

ყველა მოწვევის პარლამენტის მუშაობა მიმართული იყო რესპუბლიკის გადარჩენისკენ და მიღებულ კანონებს უფრო არსებულ რეალობებს უსადაგებდა, ვიდრე თვითონ ქმნიდა კანონებს. არაღიარებული რესპუბლიკის შესაძლებლობები მეტად მწირი იყო. სიტუაცია ძირითადად შეიცვალა რუსეთის ფედერაციის მიერ რესპუბლიკის აღიარების შემდგომ. სამხრეთ ოსეთში ფულის სერიოზული შემოღინება დაიწყო. მასთან ერთად შემოვიდა რუსული კორუფციაც. გაჩნდა ამპარტავნული ცდუნებებიც. პარლამენტარის სავარძელი სიმდიდრის და გავლენის მოპოვების მნიშვნელოვანი წყარო გახდა. დეპუტატის სანატრელი მანდატის მისაღებად ნებისმიერი შესაძლო მეთოდების გამოყენება დაიწყო.



თავის დროზე, არსებული აუცილებლობით გამონვეული, არჩევნების პარტიულ სისტემაზე გადასვლამ დღევანდელ პირობებში აქტუალობა დაკარგა. პარლამენტში უმრავლესობა მოიპოვა პარტიამ, რომელიც რესპუბლიკის მოსახლეობას რუსეთის შემადგენლობაში შესვლას დაპირდა. ბუნებრივია, რომ ეს გადაწყვეტილება არა მათზე, არამედ რუსეთზე იყო დამოკიდებული და ეს გაერთიანება არ მოხდა. ამავდროულად, სამხრეთ ოსეთში არსებობს სერიოზული ძალები რომელთაც ხელენიფებათ რესპუბლიკა თვითკმარ დონეზე გაიყვანონ... მიუხედავად ამისა, მოქმედი პარლამენტი კვლავ აგრძელებს რუსეთის ფედერაციაში შესვლის იდეის ექსპლუატირებას, რაც სერიოზულად უშლის ხელს საკანონმდებლო ორგანოს შემოქმედებით მუშაობას.

მოქმედი პარლამენტის დამსახურებად შეიძლება ჩაითვალოს პარლამენტის მუშაობის პროფესიონალურ საფუძვლებზე გადაყვანის სურვილი და საარჩევნო სისტემის პარტიულიდან მაჟორიტარულზე გადასვლა. ცხოვრება სამხრეთ ოსეთს სერიოზული გამოწვევების და რისკების წინაშე აყენებს და მათ გადაწყვეტაში დიდი როლი ენიჭება პარლამენტს ანუ რესპუბლიკაში მცხოვრებ ხალხებს. როგორცაა ხალხი ისეთია ხელისუფლებაც!

ასე რომ, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ბედი სწორედ მათ არჩევანზეა დამოკიდებული. ■

saying goodbye. It was necessary to conduct additional elections, as the existing quorum was not enough for the functioning of the parliament. I believe it has to be said that among those was Eduard Kokoity, who has never been seen working in parliament after the additional elections. Despite that, he became the second president of the Republic of South Ossetia; after winning the elections quite democratically and legally.

Let's go back to the first parliament – it had to work in conditions which cannot be compared to the present ones at all. MEPs living in Tskhinvali used to walk to parliament and those who lived outside of the city used public or any other available transport means. In winter they wore very warm cloths, as there was heating in the parliament building at that time. Parliament did not have its car park at all; unlike the current parliament, which uses very expensive off-road vehicles. Warm cloths have also been “cancelled”; current MEPs flaunt in fashionable suits; it is very warm and comfortable in the parliament building renovated after the war of 080808. Work of MEPs of all the convocations was directed at the survival of the republic and all the parliaments more adapted laws to existing realities, than dictating the necessary laws themselves. The capabilities of the unrecognized republic were too low.

The situation radically changed after Russia recognized the independence of the republic. Serious money started flowing into South Ossetia. Such positive changes brought with itself the Russian corruption. Serious temptations appeared and the MEP chair turned into a serious source of wealth and influence. People started using all the possible methods for getting an MEP mandate. The change to party system, which was necessary when it was introduced, has outlived its usefulness in current conditions. Parliamentary majority was gained by the party which has promised to people for the republic to become part of Russian Federation. Naturally, the given decision depended not on the ruling party, but on Russia; and of course the unity did not take place.

Meanwhile, in South Ossetia there are serious forces that can take the republic to the self-sustainable level, while the current parliament still pushes forward the idea of entering Russian Federation, which in return, seriously hampers the effective work of the legislative body. To the merits of the current parliament can be attributed the desire to change the work of parliament to professional basis and to change the elections system from party system to majoritarian-proportional system.

Life brings serious challenges and risks to South Ossetia and solutions of many of them depend on parliament; which means on the people of the republic. People and government are the same! This means, fate of the people of the Republic of South Ossetia depends on their own choice. ■



## აფხაზურ მოსახლეობაში ქართული პასპორტებისადმი ინტერესი იზრდება

### GROWING INTEREST TO GEORGIAN PASSPORTS IN ABKHAZIAN POPULATION

საქართველოს ყველა წინამორბედ ხელისუფლებას კონფლიქტური რეგიონებისადმი თავისი პოლიტიკა ჰქონდა. გამონაკლისს არც ამჟამინდელი მთავრობა წარმოადგენს. რაში მდგომარეობს ამ საკითხისადმი საქართველოს მოქმედი მთავრობის თავისებურება, ამის შესახებ The Forum-ს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, ბატონი პაატა ზაქარეიშვილი ესაუბრა.

All the previous governments of Georgia had their own policy on conflict regions. The current power in force is not an exception either. The peculiarity of the approach of the current government towards the given issue was explained to the Forum by the State Minister for Reconciliation and Civic Equality of Georgia, Mr. Paata Zakareishvili.

**ბატონო პაატა, ბოლო სამი წლის განმავლობაში ხელისუფლების მიდგომა კონფლიქტური რეგიონების მიმართ შეიცვალა. ამ ყველაფერმა რა პოზიტიური და ნეგატიური ცვლილებები გამოიღო?**

ზოგადად, პოლიტიკაში ნებისმიერი ქმედება ინვესტს გარკვეულ შედეგს, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ საქმე კონფლიქტებთან გვაქვს. მთავარი სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენი ოპონენტები (ვგულისხმობ აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებს), რომელთა ზურგს უკან რეალურად რუსეთი დგას, სიტუაციის რეგულირებით არ არიან დაინტერესებულნი. ისინი ჩასაფრებულ პოზიციაში იმყოფებიან, ცდილობენ ჩვენს „გამოჭერას“, როგორც წესი, უშედეგოდ. დღეს თბილისიდან არ ისმის რადიკალური განცხადებები, როგორც ეს წინა ხელისუფლების დროს იყო და შესაბამისად, აფხაზურ და ოსურ პოლიტიკურ ელიტას უჭირს ჩვენი კრიტიკა. ისინი „ცუდ და აგრესიულ საქართველოს“ ვეღარ „ჰყიდიან“ თავის საზოგადოებას, ვეღარ აშინებენ მათ და ამიტომ ცდილობენ ის პოზიტიური მესიჯები, რაც ჩვენგან მიდის, მაქსიმალურად დამალონ.

იყო დრო, როდესაც თბილისში, მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დროს მაღალი ტრიბუნებიდან ისმოდა სიტყვები: „ჩვენ ამას დიდხანს ვერ მოვითმენთ“, „ჩვენ ამას ვერ ავიტანთ“ და სხვ. მსგავსი რიტორიკა ისეთ თემაზე, როგორც არის კონფლიქტები, მიუღებელია. დიახ, ჩვენ მოვითმენთ და ავიტანთ ყველაფერს იმდენ ხანს, რამდენიც ეს საქართველოს ინტერესებს, ქართული, ოსური და აფხაზური საზოგადოებების შერიგებასა და მშვიდობის დამყარებას დასჭირდება. ერთმანეთის პატივისცემისა და ინტერესების გათვალისწინების გარეშე ჩვენ ერთად ცხოვრებას ვერ შევძლებთ. დღეს მათ არ ვემუქრებით ტანკებით, თუმცა დიახ, „ვემუქრებით“ ევროპაში თავისუფალი გადაადგილებით, რადგანაც ვიზალიბერალიზაციის შემდეგ, ქართული ბიომეტრიული პასპორტების მქონე პირებს შეეძლებათ ევროპაში წასვლა, განათლების მიღება, განვითარება. ეს არის ის, რისკენაც სწრაფვას ხმელთაშუა ზღვაში უამრავი ადამიანი

*Mr. Paata, the approach of the government to conflict regions has changed during last three years. What positive and negative results have that brought?*

In general, any action taken in politics brings to certain results, especially when it concerns conflicts. The main barrier is that our opponents (I mean Abkhazian and Ossetian communities), behind which in reality stands Russia, are not interesting in regulating the situation.

They are always in a crouching position, waiting for us to fail, but usually it is in vein. Today, official Tbilisi does not make radical statements, as it happened during the previous government and accordingly Abkhazian and Ossetian political elite finds it difficult to criticize us. They are unable to “sell” “the bad and aggressive Georgia” to their societies and cannot threaten them with it and as result are trying their best to conceal positive messages sent by us.

There was time when during Mikheil Saakashvili’s reign official Tbilisi was making statements such as – “We will not tolerate that for long”; “We will not take that” and etc... Such rhetoric on the topic as conflicts is unacceptable. Yes, we will tolerate everything for as long as it will be in the interests of Georgia; for as long as it will be necessary for reconciliation of Georgia, Abkhazian and Ossetian societies and achievement of peace.

We will not be able to live together without mutual respect and without considering each other’s interests. Today, we are not threatening them with tanks, but yes, we are “threatening” them with free movement in Europe, as after visa liberalization, persons holding Geor-

ენირება, მათ კი ამ სიკეთით სარგებლობა ყოველგვარი სირთულეების გარეშე შეეძლება.

მთავარი მიღწევა დღევანდელი ხელისუფლების მიდგომისა არის ის, რომ კონფლიქტურ რეგიონებში აღარ ისვრიან და ხალხი არ იღუპება. ჩვენი მმართველობის დროს არ შექმნილა არანაირი ახალი გამოწვევა, ყველა ის პრობლემა, იქნება ეს მავთულხლართების გავლება თუ ადამიანების უკანონო დაკავება, ჩვენ ასე ვთქვათ, მემკვიდრეობად გვერგო და ყველანაირად ვცდილობთ მათ გავუმკლავდეთ.

სამწუხაროდ, აფხაზური მხარე, მიუხედავად ყველაფრისა, სულ უფრო აქტიურად განაგრძობს გალის ქართული მოსახლეობის შევიწროებას, რაც გამოიხატება მისი რუსიფიკაციის მცდელობაში. აუქმებენ ქართულ სკოლებს, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობა მაინც ახერხებს მშობლიური ენის შესწავლასა და სრულფასოვანი საშუალო და უმაღლესი განათლების მიღებას, რაშიც ჩვენც, შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების საშუალებით ხელს ვუწყობთ.

**საქართველოს ტერიტორია 1990-იან წლებში მომხდარი პროცესების გამო სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებმა დატოვეს, თუმცა დღეს მათი ნაწილი ბრუნდება ქვეყანაში, სამწუხაროდ, ზოგიერთ მათგანს ქართული პასპორტების აღებასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემები ექმნებათ. თქვენს უწყებას რა სახის დახმარების აღმოჩენა შეუძლია მათთვის?**

მსგავსი საკითხები ინდივიდუალურად წყდება. არის შემთხვევები, როდესაც მათ შესაბამისი დოკუმენტაცია წესრიგში არ აქვთ, ან ვერ ამტკიცებენ, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე ცხოვრობდნენ. ბოლო პერიოდში ქართული პასპორტებისადმი ინტერესი განსაკუთრებით მაღალია, შესაბამისად, მისი აღების პროცესი, უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე გარკვეულ პროცედურებთან არის დაკავშირებული. პირველ რიგში, მათ უნდა მიმართონ იუსტიციის სამინისტროს. შეუძლიათ მოგვემართონ ჩვენც და კანონის ფარგლებში დავეხმარებით.

აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე, ამ ეტაპზე 400-ზე მეტ პირს (გალის მოსახლეობის გამოკლებით. TH) საქართველოს მოქალაქის პასპორტი აქვს. განსაკუთრებით დიდია პასპორტის აღების სურვილი იმ აფხაზთა შორის, რომლებიც თურქეთში გარკვეულ საქმიანობას ეწევიან. მოსკოვსა და ანკარას შორის დაძაბული ურთიერთობების გამო, რუსული სპეცსამსახურები იმ აფხაზებს, რომლებიც თურქეთში ხშირად ჩადიან, ეჭვის თვალით უყურებენ, ამიტომაც ეს უკანასკნელნი ცდილობენ აიღონ ქართული პასპორტები და თურქეთში საქართველოს მხრიდან შევიდნენ. ამას ერთვის ვიზალიბერალიზაციის პერსპექტივა, რომელიც ამ სურვილს კიდევ უფრო გაზრდის.

**თქვენი ერთ-ერთი უპირველესი ინიციატივა კანონში „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ გარკვეუ-**



gian biometric passports will be able to go to Europe, to get education and to develop. This is what so many people sacrifice their lives to in the Mediterranean Sea and they will be able to have these benefits without any complications.

The main achievement of the current government's approach is that there are no more shootings and people do not die in conflict regions. No new challenges have been created during our governance; all the problems, be it the installation of barbed-wires or illegal detainment of Georgian citizens, we have "inherited" and we are trying our best to deal with them.

Unfortunately, despite everything, Abkhazian side even more actively continues oppressing Gali region Georgian population, which is expressed in the attempt of their rusification. They are abolishing Georgian schools, but local population still manages to learn Georgian language and to receive proper secondary and higher education, which we assist them in through coinciding state programs.

**Representatives of different ethnic groups left Georgia due to the processes underway in the country during the 1990's; although, some of them are now returning to Georgia. Some of them face certain problems in receiving Georgian passports. What kind of assistance can your Office provide to them?**

Such issues are decided upon individually. There are cases, when they do not have necessary documentation in order or they cannot prove that they have lived at occupied territories and are not representing the occupation regime. Interest to Georgian passports has been increasing lately and naturally the process of getting the passports is now related to certain additional procedures due to security reasons. They must first address the Ministry of Justice. They can also come to us and

**ლი ცვლილებების შეტანა იყო. თქვენი აზრით, რა შედეგებს გამოიღებს ეს ცვლილება და პარლამენტში მისი მიღების პროცესი რატომ გვიანდება?**

ეს ცვლილება ჩვენს მიერ, ჩვენი ნებით იყო ინიცირებული. პარლამენტში ის პირველივე მოსმენით გავიდა. საპარლამენტო ოპოზიცია ყოველმხრივ ცდილობდა პროცესის ჩიხში მოქცევას. თუმცა, ამ პერიოდს დაემთხვა საპრეზიდენტო არჩევნები, ახალი კონსტიტუციის მიღება, რაც რიგი სხვა კანონების განხილვას მოითხოვს და პარლამენტმა ეს საკითხი დროებით გვერდზე გადადო. ჩემის მხრივ მხოლოდ ის შემთხვევაა, რომ პარლამენტარებს ყოველი სესიის წინ მოვუწოდო, დაუბრუნდნენ „კანონს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“, თუმცა ეს პროცესი ძალიან გვიანდება, რაც ალბათ იმ შიშითაც არის გამოწვეული, რაც მის განხილვას ახლავს, რადგანაც ოპონენტები მწვავე და დემაგოგიური განცხადებებით მის მიღებას ეწინააღმდეგებიან. არავინ ითხოვს ამ კანონის გაუქმებას, არავინ ეხება კანონს „სახელმწიფო საზღვრის შესახებ“, უბრალოდ გვსურს ზემოხსენებული კანონის დეკრიმინალიზაცია. ანუ, ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადაადგილების დამრღვევის წინააღმდეგ აღიძრას არა სისხლის სამართლის საქმე, არამედ, დაეკისროს მას ადმინისტრაციული სასჯელი, ჯარიმა, რომლის გადახდითაც ის ავტომატურად საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასაც აღიარებს. ამ ადამიანების ციხეში ჩასმა ჩვენ არაფერს გვაძლევს. (მსს-ს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2009 წლიდან 2015 წლის მარტის მდგომარეობით 3221 და 3222 მუხლის დარღვევისათვის სულ 333 პირი იქნა დაკავებულია, ხოლო 105 პირი გასამართლდა. TH) სადღეისოდ მივალწიეთ იმას, რომ ამ მუხლით ადამიანებს არ აპატიმრებენ, ისინი იხდიან ჯარიმას, თუმცა არა როგორც ადმინისტრაციული, არამედ როგორც სისხლის სამართლის დანაშაულისათვის, რაც ალბათ მომავალში მათ დიდ პრობლემებს შეუქმნის.

რეალურად, ჩვენ ვიჭერთ და ვასამართლებთ იმ პირებს, რომლებიც პატიოსნად მოდიან და ცდილობენ ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლას. აი მაგალითად, შემოვიდა პირი საქართველოში მდინარე ფსოუდან, გაიარა რუსული სასაზღვრო-გამშვები პუნქტი, მაგრამ აქეთ მხარეს, ოკუპაციის გამო მას ქართველი მესაზღვრე არ ხვდება, ამის შემდეგ ის მოდის მდინარე ენგურთან, სადაც ქართული პოლიციის საგუშაგოა, და აქ მას აკავებენ კანონის დარღვევის გამო. არადა ის პატიოსნად მოდის, არ იმალება, რომ სურდეს ფარულად შემოსვლა, საგუშაგოს ავლით ამას უმარტივესად მოახერხებს. მე არ ვამბობ, რომ ის უდანაშაულოა, მაგრამ ვიმეორებ, ამის გამო ამ ადამიანის დაპატიმრება უსამართლობაა. გადაიხადოს ჯარიმა.

within the law we will assist them in contacting the Ministry of Justice.

It is noteworthy that for the moment over 400 persons (excluding the Gali region population; TH) have Georgian passports. The desire for getting passports is especially high among Abkhazians; those who have some businesses with Turkey. Due to the tension in the relations between Moscow and Ankara, Russian intelligence is suspicious about Abkhazians who often travel to Turkey. Due to that, the latter try to receive Georgian passports and to travel to Turkey through Georgia. Adding to that the visa liberalization perspective, this will further increase the desire for Georgian passports.

***One of your first initiatives was certain amendments to the Law on Occupied Territories of Georgia. In your opinion, what results will this initiative bring and why the process of approval of these amendments by Parliament is being prolonged?***

The amendments were initiated by us. It was approved by Parliament in the first hearing. Parliamentary opposition tried their best to deadlock this initiative; although, submission of the initiative coincided with the Presidential elections, adoption of the new Constitution and number of other important laws, so Parliament temporarily postponed the discussion. On my behalf, I can only call the MEPs on the threshold of every session to return to the discussion of the Law on Occupied Territories. The process is being delayed probably because of the fear of what will accompany the process of discussion, as its opponents will resume making harsh demagogical statements. We are not requesting abolishment of the law and we are not influencing the Law on the State Borders; we just call for the decriminalization of the aforementioned law. This means, not pressing criminal charges against those who violate the rules of movement on occupied territories, but imposing administrative punishment, a fine, by paying which they will automatically recognize the territorial integrity of Georgia. Imprisonment of people does not bring any results. (According to the MIA statistical data, from 2009 through March 2015, 333 persons have been detained for violation of the articles 3221 and 3222 and 105 persons have been convicted. TH) For the moment we have achieved the fact that people are not being arrested for those violations; they pay the fine, but not as for administrative violation, but as for criminal felony, which will probably create serious problems for them.

Actually, we arrest and convict persons who honestly come and try to enter the territory of Georgia legally.

იგივე შეიძლება ითქვას ოკუპირებულ ტერიტორიაზე გაცემულ დოკუმენტაციაზე, იქნება ეს ქორწინებისა თუ დაბადების მოწმობა. ეს დოკუმენტები არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. ჩვენ ვეუბნებით მათ, გადმობრძანდით, დაბადებული ბავშვი აქ, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურებით გაატარეთ რეგისტრაციაში, აიღეთ ოფიციალური ცნობები და ისარგებლეთ იმ სიკეთეებით, რასაც სახელმწიფო გთავაზობთ.

**ამ ეტაპზე თბილისს, სოხუმსა და ცხინვალს შორის არის თუ არა რაიმე სახის თანამშრომლობა?**

დიახ. ასე მაგალითად, აპრილის თვეში ქართულმა, ოსურმა და აფხაზურმა მხარეებმა გაათავისუფლეს პატიმრები. მათ გადაეცათ მათ მიერ მოთხოვნილი პირები, ჩვენ კი ჩვენს მიერ მოთხოვნილი უკანონო პატიმრობაში მყოფი პირები, ერთის გარდა. დარჩენილ პირზე ვმუშაობთ და გალის ინციდენტების პრევენციის მექანიზმების ფარგლებში ამ საკითხს აუცილებლად დავსვამთ დღის წესრიგში.

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დახმარებით ასევე ვთანამშრომლობთ საბრძოლო მოქმედებებისას დალუპულთა გადმოსვენების საკითხებშიც. როგორც მოგეხსენებათ, გაიხსნა ბაბუშერას სამარხი, იგეგმება აგრეთვე კიდევ სხვა სამარხებში დაკრძალული ქართველი მებრძოლების გადმოსვენებაც.

აღსანიშნავია ისიც, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე რამდენჯერმე იმყოფებოდა საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე, რომელმაც ადგილზე გადაწყვიტა რიგი მნიშვნელოვანი საკითხები.

**როგორც ოსურ და აფხაზურ, ასევე ქართულ საზოგადოებაში ხშირად ისმის კითხვა, თუ რამდენად მიზანშეწონილია აფხაზეთის დე-იურე ხელისუფლებისა და სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის არსებობა. თქვენ როგორ შეაფასებდით ამ უწყებების საქმიანობას?**

მინდა გითხრათ, რომ სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის შექმნის პრინციპული წინააღმდეგი ვიყავი, რადგანაც იგი შეიქმნა იმ ტერიტორიაზე, რომელზეც თავის დროზე იოსებ სტალინმა სრულიად უსაფუძვლოდ და ვოლუნტარისტულად შექმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელიც ზვიად გამსახურდიას მმართველობის დროს, ასევე ვოლუნტარისტულად გაუქმდა. 2006 წელს კი მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით კვლავ აღდგა ეს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ძველ საზღვრებში, იმ საზღვრებში, რომელსაც ჩვენ უკანონოდ მივიჩნევდით. განსხვავებული ვითარებაა აფხაზეთის უზენაეს საბჭოზე, რომელიც ომამდე, აფხაზეთის მთელი მოსახლეობის მიერ იქნა არჩეული. მართალია დღეს მან დაკარგა სამართლებრივი, მაგრამ არ დაუკარგავს პოლიტიკური ლეგიტიმაცია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

დღეს, საუბარი მათ გაუქმებაზე უადგილოა. მათ ჩამოსცილ-

For example, a person enters Georgia from Psou River, going through Russian border guard checkpoint, but on this side they are met by Georgian border guards because of occupation; after this they come to Inguri River, to the Georgian police checkpoint and they are detained for violating the border. However, they are not trying to hide; if they wanted to sneak in, they would simply do it by bypassing the checkpoint. I am not saying that they are innocent, but I repeat, arresting them for this is not fair. They must pay the fine.

The same can be said about the documentation issued at occupied territories; be it marriage or birth certificate. Those documents do not coincide with Georgian legislation. We tell them to come and to register a newborn baby according to the procedures enforced by Georgian legislation; take the official certificates and enjoy all the benefits that the country is offering.

**Is there any type of cooperation between Tbilisi, Sokhumi and Tskhinvali currently?**

Yes. For example, in April, Georgian, Ossetian and Abkhazian sides exchanged prisoners. We handed over to them the persons requested by them and they handed over the illegal prisoners requested by us, except of one. We keep working for the handover of that one person and will raise the given issue in framework of the Gali Prevention Mechanisms.

Through cooperation with the Ministry of IDPs and Settlement we also cooperate in the issues of the reburial of conflict victims. As you know, Babushera burial ground has been opened already; reburial of Georgian soldiers from other burial grounds is also planned.

It is also noteworthy that Minister of Energy of Georgia Kakhi Kaladze has visited the occupied territory several times and has achieved agreements of the number of important issues.

**Ossetian, Abkhazian and Georgian societies often ask the question on how reasonable is the existence of the de jure government of Abkhazia and Administration of South Ossetia. How would you assess the work of these structures?**

I would like to say that I was principally against the creation of the Temporary Administration of South Ossetia, as it was formed at the territory, at which Joseph Stalin created the South Ossetia Autonomous County completely baselessly and voluntarily and which was later abolished also voluntarily by Zviad Gamsakhurdia. In 2006, Mikheil Saakashvili initiated recreation of the administrative-territorial entity within the old borders; the borders that we already announced illegal. The situ-

დათ პოლიტიკური კომპონენტი და მთლიანად სოციალურ-კულტურული ამოცანების შესრულებაზე არიან გადართულნი, რასაც კარგად ასრულებენ. ასე მაგალითად, ისინი ოკუპირებული ტერიტორიებიდან სამკურნალოდ გადმოსულ პირებს აკვლიანებენ, აკავშირებენ ჩვენთან, შემდეგ კი ჩვენ ვახდენთ რეაგირებას. თუმცა მივიჩნევ, რომ საჭიროა მათი რეფორმირება, რათა მოხდეს მათთვის გამოყოფილი თანხების უფრო ეფექტური ხარჯვა და ა.შ.

**როგორ აფასებთ არასამთავრობო სექტორის როლს მხარეთა შორის ნდობის აღდგენის პროცესში?**

არასამთავრობო სექტორს უდაოდ დიდი როლი აკისრია ამ საქმეში. მინდა შეგახსენოთ, რომ მეც ამ სფეროდან მოვდივარ. ეს ხალხი ერთგვარი მხენელების როლს ასრულებენ, ამზადებენ ნიადაგს, რათა შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება უფრო იოლი იყოს.

როდესაც ამ სფეროში ვიყავი, ხელისუფლების მხრიდან ხშირად მესმოდა ბრალდებები, რომ თითქოს ჩვენ ვაფუჭებდით საქმეს, რაც სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს. არასამთავრობო სექტორი ან გინცობს ხელს, ან ვერა, ის ხელს ვერაფრით ვერ შეგიშლის. პოლიტიკოსთა მხრიდან მსგავსი განცხადებები მხოლოდ და მხოლოდ მათი არაკომპეტენტურობის დაფარვას ემსახურება. არასამთავრობო სექტორი ხალხთა შორის ურთიერთობების აღდგენასა და გამყარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

**ქართული არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები რამდენად ართმევენ თავს ამ ამოცანას?**

სიმართლე გითხრათ, მათი მხრიდან უფრო მეტ თანამშრომლობასა და აქტიურობას ველოდები. როდესაც მე ვიყავი ამ სფეროში, თავად ვანცობდი შეხვედრებს აფხაზურ და ოსურ მხარეებთან და ვინვევდი პოლიტიკოსებს, ვმონაწილეობდი სხვადასხვა კონცეფციების შექმნაში და ვთავაზობდი მათ ჩინოვნიკებს. დღეს კი პრაქტიკულად იგივეს გაკეთება მიწევს, არასამთავრობო სექტორი დღეს ჟურნალისტის როლში უფროა, ანუ მათი მხრიდან ინიციატივა პრაქტიკულად არ მოდის. ასე მაგალითად, ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა გააკეთა განცხადება ერების თვითგამორკვევაზე, რამაც აფხაზურ და ოსურ საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია, თუმცა აქ არც ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას ამ თემაზე დებატების ჩატარების სურვილი არ გამოუთქვამს. იგივე პასიურობით შეხვდა ყველა ჩემს განცხადებას ფედერალიზაციის შესახებ, იყო კრიტიკა ოპონენტთა მხრიდან, მაგრამ მსჯელობა არ ყოფილა.

იმედი მაქვს, ეს რეალობა შეიცვლება და არასამთავრობო სექტორი საკუთარ შეხედულებებს კონფლიქტებთან დაკავშირებულ საკითხებში უფრო ხმამაღლა და აქტიურად გამოთქვამს. ■

ation is different with the Supreme Council of Abkhazia, which was elected by the whole population of Abkhazia before the war. Although they have today lost the legal status but have not lost the political legitimacy, which is very important.

Their abolishment would be improper now. Political component has been taken away from them and are completely responsible for implementing social-cultural tasks, which they fulfill successfully. For example, they provide guidance to those who come for medical treatment from occupied territories; connect them with us and we react after. Still, I believe that these structures must be reformed in order to have more effective spending of funds allocated to them and etc.

**How would you assess the role of the NGO sector in the confidence building process between the sides?**

The NGO sector undoubtedly has big role in this process. Let me remind you that I come from this sphere too... These people are like plowmen, they prepare the ground in order for necessary political decisions to be easier to be made.

When I was in this sphere, I often heard accusations from the government that we were making problems, which is not true at all. NGO sector either is of help or not; it cannot interfere in any way. Such statements by politicians are only aimed at concealing their incompetence. NGO sector plays a significant role in the resumption and strengthening of relations between peoples.

**To what extent to Georgian NGO sector representatives cope with the given task?**

To be honest, I expect more cooperation and activity from their side. When I worked in that sphere I myself organized meetings with Abkhazian and Ossetian sides and invited politicians; participated in the development of different concepts and proposed them to authorities... Today, I actually have to do the same; NGO sector is more in the role of journalists today, meaning that there is in fact no initiative from their side... For example, there was a statement from the former Prime Minister Irakli Garibashvili on the self-determination of nations, which resulted in big interest from Abkhazian and Ossetian communities, although, none of the local non-governmental organizations expressed the desire to organize debates on the topic. The same reluctance was in response to my statement on federalization; there were critics from opponents, but no discussion...

I hope the given reality will change and the NGO sector will speak about their opinions on the issues related to conflicts louder and more actively. ■



## კონფლიქტის ზონისპირა სოფლების მძიმე სვედრი წითელუბანი

### THE HARD FATE OF VILLAGES BORDERING THE CONFLICT ZONE TSITELUBANI

ცხოვრება რთულია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ცხოვრობ კონფლიქტის რეგიონში და როდესაც შენი სახლიდან რამდენიმე მეტრში ე.წ. „საზღვარი“ გადის, რომელიც მავთულხლართებით არის აღნიშნული. იმ მძიმე რეალობამ, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ შეიქმნა, შიდა ქართლის რიგი სოფლების მოსახლეობას „მემკვიდრეობად“ დიდი პრობლემები დაუტოვა. მათ შორის არის გორის მუნიციპალიტეტის სოფელი წითელუბანი, რომელიც ოდესღაც 350 კომლს ითვლიდა. დღეს მოსახლეობის რაოდენობა შემცირებულია. რთულ პოლიტიკურ ვითარებასთან ერთად, ამის მიზეზი სოციალური ფონიც არის.

Life is hard, especially when you live in a conflict region and when there is the so called “border” several meters away from your home; “the border” marked with barbed wires. The harsh reality created after August 2008 war has left the population of certain villages of Shida Kartli region with the “heritage” of serious problems. One of such villages is Tsitelubani, which used to count 350 households back in the old times. Nowadays, number of population has decreased.



PHOTO - Goga Aptsiauri

შედეგად დიდია მიგრაცია, განსაკუთრებით ახალგაზრდებისა, რომელთა ნაწილი თურქეთში, ნაწილი კი თბილისში მიდის სამუშაოდ. ზოგიერთი კი კონტრაქტის საფუძველზე მსახურობს ქართულ ჯარში. ამ შემთხვევაშიც ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი მაღალი ხელფასია.

გასული წლის შემოდგომაზე განვითარებულმა მოვლენებმა წითელუბნელების მთავარ საარსებო წყაროს - მესაქონლეობას და სოფლის მეურნეობას დიდი საფრთხე შეუქმნა. რუსულმა საოკუპაციო რეჟიმმა ე.წ. „საზღვრის“ აღმნიშვნელი ბანერები სოფლების კუთვნილ სავარგულებსა და საძოვრებზე გაავლო. შედეგად, სამეურნეო მიწების დიდი ნაწილი ბანერს მიღმა აღმოჩნდა. რუსმა „მესაზღვრეებმა“ ადგილობრივები მკაცრად გააფრთხილეს, რომ „სასაზღვრო ზოლის“ დამრღვევები დაკავებ-

Complicated political situation and grave social background has reasoned high migration, especially of youth, part of which goes in search of jobs to Tbilisi or to Turkey. Some of them serve in Georgian army based on contracts; the main motivator in this case too is the high salary.

The Last fall developments created serious threats for the main sources of livelihood of Tsitelubani residents – livestock and agriculture. Russian occupation line placed the so called “border” marking banners at the agriculture lands and pastures owned by the villagers. As result, major part of agricultural lands appeared

ბული იქნებიან. სამწუხაროდ, ისინი მხოლოდ გაფრთხილებით არ კმაყოფილებიან და კონფლიქტის რეგიონისპირა სოფლების მკვიდრთ ხშირად აპატიმრებენ. პირველ შემთხვევაში პირი იხდის ჯარიმას 2000 რუბლის ოდენობით, მეორე შემთხვევაში 5000 რუბლს, ხოლო „საზღვრის“ კვლავ დარღვევის შემთხვევაში განისაზღვრება პატიმრობა ვადით - 2 თვიდან 6 წლამდე. ადგილობრივთა თქმით, გატაცებულთა მიმართ ფიზიკურ შეურაცხყოფას ადგილი არ აქვს. აღსანიშნავია, რომ ხშირად რუსი ჯარისკაცები ხალხს ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეც აპატიმრებენ. ამას კი იმის გამო სჩადიან, რომ თითოეული „საზღვრის დამრღვევის“ დაკავებაზე პრემიას იღებენ. ერთ-ერთი ასეთი ბოლო შემთხვევა მაისის თვის დასაწყისში მოხდა. რუსებმა 17 წლის ლაშა თვაური თავისი საქონლის მწყემსვისას დააკავეს.



„დაკავების შემთხვევები ხშირია, იმიტომ რომ ეს საზღვარი ისეა გავლებული, სად ვისი მიწაა, ვერ გაიგებ. ლაშა საქონელს მწყემსავდა, რა დროსაც ნახირი იმათ ტერიტორიაზე აღმოჩნდა. ლაშაც გადაყვა. უცებ მოვარდნენ, დაიჭირეს და ცხინვალში წაიყვანეს. ნახირი თვითონვე გადმორეკეს უკან. ორი დღის შემდეგ, ცხინვალში მცხოვრებმა ჩვენმა ნათესავმა ჯარიმა გადაიხადა და გამოუშვეს. როგორც თვითონ ჰყვება, კარგად ექცეოდნენ“ - უთხრა The Forum-ს ლაშა თვაურის დედამ, ქეთევანმა. თავად ლაშა კი რამდენიმე მეგობართან ერთად ახლა თურქეთშია სამუშაოდ წასული.

წითელუბნელებს სარწყავი წყლის პრობლემაც აწუხებთ. უწყლობა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს აზიანებს და მოსავალს ანადგურებს.

„ღმერთის იმედზე ვართ, წვიმა როდის მოვა. წვიმა რწყავს ჩვენს ბალებს, მაგრამ ხანდახან ისეთ გვალვას იჭერს, ყველაფერი ხმება და მშრალზე ვრჩებით. სახელმწიფო მხოლოდ იმაში გვეხმარება, რომ ბუნებრივი აირის მილები შემოგვიყვანა და 200 ლარიანი ვაუჩერები გადმოგვცა. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო პროექტშიც მოვხვდით, მიწები დაგვიმუშავეს, მაგრამ ნიადაგი თუ არ მოირწყა, დამუშავებას აბა რა აზრი აქვს?! გზაც კი არ გვაქვს წესიერი, წვიმის მერე გასვლა ჭირს. მეტი ყურადღება გვჭირდება, ასეთ ადგილას, ასეთ პირობებში რომ ვცხოვრობთ“ - უთხრა The Forum-ს წითელუბნის მაცხოვრებელმა დარეჯან ღვთისიაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ წითელუბანი შერეული

on the other side of the banners. Russian “border guards” strictly warned the locals that the trespassers of the “borderline” would be detained. Unfortunately, it was not just the warning and Russian soldiers often arrest residents of the villages bordering the conflict region. At first detainment a person pays 2,000 ruble fine; second detainment the fine goes up to 5,000 rubles and if it happens the third time, a person can be sentenced to imprisonment from 2 months to 6 years. Locals say that the detained are not being physically abused. It is noteworthy that Russian soldiers often detain people at the territories controlled by Georgian side. They do this because they get bonuses for the detainment of each “trespasser.” One of the last cases like this took place in the beginning of May, when Russians detained Lasha Tvauri, 17, when he was herding his cattle.

“Detainment facts are so frequent because the borderline is very obscure; it’s hard to understand whose land is where. Lasha was herding cattle when herd went to their territory; Lasha tried to follow and they came immediately, captured him and took him to Tskhinvali. Russians herded the cattle back themselves. Two days later, our relative who lives in Tskhinvali paid the fine and they let him go. As he told us they were treating him well there,” Lasha Tvauri’s mother Ketevan told the Forum. Right now, Lasha and several of his friends have left to work in Turkey.

Tsitelubani villagers face the problem of irrigation water too. Lack of water damages the agricultural lands and destroys their harvest.

“We pray for rain to come. Rain irrigates our orchards, but sometimes it is such droughts that everything withers and we stay without harvest. The only help from government was that they installed natural gas pipeline and gave us 200 GEL vouchers. We have also been included in the State project of the Ministry of Agriculture; they cultivated our lands, but what is the point in cultivating if the lands are not irrigated?! We don’t even have an adequate road; we have problem with getting to our lands after it rains... We need more attention as we live in such a place and in such conditions,” Tsitelu-



სოფელი იყო. ერთმანეთის გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ ქართველი, ოსი და სხვა ეროვნების ადამიანები. 1990-იან წლებში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების გამო სოფელი ოსური მოსახლეობის ნაწილმა დატოვა, თუმცა წითელუბნელთა თქმით, 2008 წლის აგვისტოს ომამდე ირგვლივ მდებარე ოსურ დასახლებებთან, სადაც ბევრ მათგანს ნათესავები ჰყავს, ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ. სამწუხაროდ, საოკუპაციო ჯარების მიერ გავლებული ე.წ. „სადემარკაციო ხაზების“ გამო მათთან კონტაქტი ამ ეტაპზე შეწყდა. წითელუბანში 1980-იან წლებში, სტიქიური უბედურების შედეგად აჭარის რეგიონში დაზარალებული ოჯახებიც არის ჩასახლებული.

2007 წელს, საქართველოს ხელისუფლების ინიციატივით, აზერბაიჯანიდან სოფელ წითელუბანში ჩაასახლეს 1944 წელს რეპრესირებულ თურქ-მესხთა ექვსი ოჯახი. სახელმწიფომ მათთვის შეიძინა სახლები და ერთჯერადი დახმარების სახით მისცა თანხა 3000 ლარის ოდენობით. ერთ-ერთი მათგანის, ჰეიდარ ლატიპოვის (პიპინაძის) თქმით, სახელმწიფოს დახმარება მხოლოდ ამით შემოიფარგლა. რეპატრირებულ ოჯახებს არ მიუღიათ სოფლად მაცხოვრებელთათვის ესოდენ მნიშვნელოვანი მიწის ნაკვეთები სამეურნეო საქმიანობისათვის და, რაც მთავარია, ისინი დღემდე ელოდებიან იმას, თუ როდის მიიღებენ საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელ მონუმენტებს.

„თითქმის ათი წელია აქ ვცხოვრობთ, ადგილობრივებთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. რელიგიურ თუ ეთნიკურ



ნიადაგზე რამე დაპირისპირება აქ არასდროს არ ყოფილა. ჩვენი მთავარი პრობლემა არის ის, რომ ამ დრომდე მოქალაქეობა ვერა და ვერ მოგვანიჭეს. ამის გამო ვერც მიწის ნაკვეთები შევიძინეთ და ვერც ბავშვები ახერხებენ განათლების მიღებას, რის გამოც ბევრმა ქართული ენა არ იცის. ვერც იმ სახელმწიფო პროგრამებით ვსარგებლობთ, რაც საქართველოს მოქალაქეებზეა გათვლილი. ამ საკითხს წინა ხელისუფლების

bani resident Darejan Gvtisiashvili told the Forum.

It is noteworthy that Tsitelubani used to be a mixed village. Georgians, Ossetians and people of other nationalities still live here side by side. Political events of the 1990's forced part of Ossetian population to leave the village, although, according to Tsitelubani residents, before August 2008 war they used to have intensive contacts with surrounding Ossetian villages, in which many of them have relatives. Unfortunately, due to the so called "demarcation lines" organized by the occupation forces those contacts have been suspended. Families, victims of the natural disaster of 1980 in Adjara region have also been resettled to Tsitelubani at that time.

Six families of Meskhetian Turks repressed in 1944 were resettled from Azerbaijan to Tsitelubani by the initiative of the then government of Georgia in 2007. The State purchased houses for them and gave them one-time financial welfare of 3,000 GEL. According to one of them, Heidar Latipov (Pipinadze), that was the only governmental assistance those families received. The repatriated families did not receive agricultural lands, so necessary for people living in a village and most importantly, they are still waiting to receive the passports of Georgian citizens.

"We have been living here for almost ten years; we have very good relations with the locals. There has never been any opposition on religious or ethnic grounds. Our main problem is that we still have not received citizenship. Due to that we are unable to purchase agricultural lands and children cannot receive education; because of that, many of them do not speak Georgian. We do not benefit from the state programs intended for Georgian citizens either... I was arguing on this very actively when there was the previous government here and I was imprisoned with fabricated charges in 2010. In 2012 I was amnestied and I addressed the new government with the same claims. They are arguing that we are violating the passport regime, but of course we do. Until lately, citizen of Azerbaijan had the right to stay in

დროსაც აქტიურად ვაყენებდით, რის გამოც 2010 წელს, შეითხზნელი ბრალდებით დამაკავეს. 2012 წელს ამნისტია შემეხო და ამ მოთხოვნით კვლავ მივმართე მთავრობის წარმომადგენლებს. გვედავებიან იმას, რომ საპასპორტო რეჟიმს ვარღვევთ, მაგრამ აბა რა იქნება, ბოლო დრომდე აზერბაიჯანის მოქალაქეს საქართველოში 30 დღის განმავლობაში ჰქონდა ყოფნის უფლება, მერე საზღვარი უნდა გადაეკვეთა. დღეს ეს ვადა ერთ წლამდე გაიზარდა, მაგრამ მაინც, ამ სიშორეზე ამდენმა ოჯახმა წინ და უკან როგორ უნდა ვიაროთ?! ამისი არც ფინანსური და არც ფიზიკური საშუალება არ გვაქვს“ - თქვა ჰეიდარ პიპინაძემ. მისივე თქმით, მათი შემოსავლის მთავარი წყარო ნაქირავეები ნაკვეთების დამუშავებაა, რაც უკვე ნახსენები უწყლობის პრობლემის გამო, ძალიან რთულია.



წითელუბნელი ჰეიდარ პიპინაძე რეპატრირებული მესხების მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებულ საკითხზე ხედავს ერთადერთ გამოსავალს. ეს არის საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება მათთვის მოქალაქეობის მინიჭების შესახებ.

„მე იურისტი ვარ და ვიცი, რომ მსგავსი ბრძანება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში გამოიცემა იმ პირებზე, რომლებიც ქვეყნის წინაშე თავიანთი განსაკუთრებული დამსახურებისთვის გამოირჩევიან. თავს არ ვიქებთ, მაგრამ ასეთ რთულ რეგიონში, რთულ პირობებში ვცხოვრობთ, ვუძღვებთ ამ სირთულეებს, არაფერს ვითხოვთ, გარდა მოქალაქეობისა. ამნამსვე მზად ვარ ქართულის სანაცვლოდ, უარი ვთქვა აზერბაიჯანულ პასპორტზე“ - ამბობს ჰეიდარ პიპინაძე.

აღსანიშნავია ის, რომ ჟურნალისტებს, წითელუბანში საქმიანობა შეიარაღებული ქართველი სამართალდამცავების თანხლებით უწევთ. ამასთან, ისინი დასახლებულ პუნქტში უცხო პირების შესვლას მკაცრად აკონტროლებენ. ამას ისინი ხსნიან იმ მოტივით, რომელიც მოქმედებს უსაფრთხოებიდან გამომდინარე სოფლის შესასვლელთან. ბლოკ-საგუშაგოზე დისლოცირებულ პოლიციელებსა და ადგილობრივ მოსახლეობას ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა აქვთ.

მიუხედავად უამრავი სირთულისა, წითელუბნისა და კონფლიქტის რეგიონისპირა სხვა სოფლებში ცხოვრება გრძელდება.

2008 წლის აგვისტოს ომი თავისი მძიმე შედეგებით, სამწუხაროდ, ალბათ თავს არაერთხელ შეგვახსენებს. ■

Georgia during 30 days and after they had to cross the border. The given period has been prolonged to one year now, but how can such a big family keep going back and forth all the time?! We do not have neither financial nor physical possibility of that,” Pipinadze said. According to him, their main source of income is the cultivation of rented lands, which is also very problematic due to the aforementioned lack of irrigation problem.

Tsitelubani resident Heidar Pipinadze sees only one solution to the problem of granting of citizenship to repatriated Meskhetians. It is the Georgian President’s Decree on granting them the citizenship.

“I am a lawyer and know that such decrees are issued only on special occasions and citizenship is granted only to those who have been distinguished by their activity in favor of the country. I don’t want to praise myself, but we live in such a complicated region, such grave conditions, but we stand to the hardships and do not ask for anything but citizenship; I am ready to refuse Azerbaijan passport in exchange for the Georgian one,” Pipinadze says.

It is noteworthy that journalists have to work in Tsitelubani escorted by armed Georgian law enforcers. In addition, the law enforcers are also registering names of all strangers entering the village. They explain this by security reasons. They are dislocated at the block-post at the entrance to the village. The policemen and locals have good relations.

Despite of many difficulties, life continues in Tsitelubani and other villages bordering the conflict region...

Meanwhile, August 2008 war with its grave consequences will unfortunately keep reminding us of itself. ■



## როგორ უნდა მოხდეს საქართველოს საზოგადოების მულტიკულტურალიზაცია ხედვა „კავკასიური სახლი“-დან

### WAYS OF MULTICULTURALIZATION OF GEORGIAN SOCIETY The Caucasian House Vision

თითქმის ორი ათეული წელია, რაც „კავკასიური სახლი“ შემეცნებით, სამშვიდობო და საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევა. მას მჭიდრო ურთიერთობა აქვს კავკასიაში მცხოვრებ თითქმის ყველა ეთნოსის წარმომადგენლებთან და ამ მიმართულებით ეწევა სხვადასხვა სახის საქმიანობას. ორგანიზაციის ფუნქციასა და საქმიანობაზე The Forum-ს მისი აღმასრულებელი დირექტორი გიორგი კანაშვილი ესაუბრა.

#### **ბატონო გიორგი, როდის დაარსდა „კავკასიური სახლი“ და რას საქმიანობას ეწევა იგი?**

„კავკასიური სახლი“ 1990-იანი წლების დასაწყისში დაარსდა. ის მთარგმნელთა კოლეგიის უფლებამონაცვლე იყო, რომელსაც ოთარ ნოდია ხელმძღვანელობდა. მისი იმ სახით შექმნა, რა სახითაც ის დღეს ფუნქციონირებს, ცნობილი მწერალისა და საზოგადო მოღვაწის ქალბატონ ნაირა გელაშვილის სახელს უკავშირდება. ჩვენ ორიენტირებულნი ვართ როგორც საგანმანათლებლო, ასევე კულტურულ და სამშვიდობო პროექტებზე. ეს იდეა მას შემდეგ გაჩნდა, რაც კავკასიის რეგიონი სამხედრო კონფლიქტებმა მოიცვა. „კავკასიურ სახლს“ სურდა ხაზი გაესვა იმ გარემოებისათვის, რომ მიუხედავად ურთიერთდაპირისპირებისა, კავკასიაში მცხოვრებ ხალხებს ძალიან ბევრი რამ აერთიანებთ. ხშირად ტარდება კონფერენციები და შეხვედრები, სადაც მონაწილეობას იღებენ დაპირისპირებულ მხარეთა წარმომადგენლები. ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართველოში ჩამოყვანილი გვყავდა რუს ექსპერტთა 15 ჯგუფი, რომლებმაც შეხვედრები გამართეს როგორც მთავრობის, ასევე სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან და ქართველ ექსპერტებთან. თავის მხრივ, საქართველოდან რუსეთში ჩასული იყო ორი ანალოგიური ჯგუფი.

ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს საგამომცემლო საქმიანობა წარმოადგენს. წელიწადში დაახლოებით ათი წიგნი იბეჭდება. ვენევით მთარგმნელობით აქტივობასაც. წიგნები ითარგმნება როგორც ქართულიდან უცხოურ, ასევე უცხოურიდან ქართულ ენაზე. ასე მაგალითად, „კავკასიური სახლის“ მხარდაჭერით გიორგი ლობჯანიძემ ორიგინალიდან გადმოთარგმნა „ყურანი“, რამაც ქართველ მუსულმანთა დიდი მონონება დაიმსახურა. ქართულიდან თურქულ ენაზე ითარგმნა „დათა თუთაშხია“. აგრეთვე, ქართულიდან ქურთულ ენაზე გადაითარგმნა „ვეფხისტყაოსანი“. ჩვენთან ფუნქციონირებს „კულტურული კალენდარი“, რომლის ფარგლებშიც საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები ღონისძიებებს აწყობენ, რათა წარმოაჩინონ საკუთარი კულტურა და წეს-ჩვეულებები.



Caucasian House has been conducting cultural, peacekeeping and educational activities for over ten years. It has close collaboration with representatives of different ethnos living in the Caucasus and is engaged in a variety of activities in the given direction. Executive Director of the Caucasian House Mr. Giorgi Kanashvili spoke with the Forum about the Organization functions and activities.

#### **Mr. Giorgi, when was the Caucasian House founded and what activities is it engaged in?**

Caucasian House was founded in the beginning of the 1990's. It was the successor of the Board of Translators, which was headed by Otar Nodia. The way the organization functions today is connected to the name of celebrated writer and public figure Naira Gelasvili. We are focused on educational, cultural and peacekeeping projects. The given idea came up when the Caucasus region started facing military conflicts. Caucasian House aimed to emphasize the fact that despite the confrontations, the peoples living in the Caucasus region have a lot in common. We often organize conferences and meetings by participation of representatives of conflicting sides. During last three years we have brought 15 groups of Russian experts to Georgia, which met with government authorities and Georgian experts and civil sector representatives.

„კავკასიური სახლი“ მჭიდროდ თანამშრომლობს „ჰეინ-რიხ ბიოლის“ ფონდთან, საგანმანათლებლო ფონდთან „ჰორიზონტი“, აგრეთვე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

**აქვს თუ არა „კავკასიურ სახლს“ რაიმე სახის ურთიერთობა აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებთან?**

თავდაპირველად მინდა გითხრათ, რომ „კავკასიური სახლის“ შექმნაში აფხაზი და ოსი ეროვნების პირებსაც დიდი წვლილი მიუძღვით. ასე მაგალითად, „კავკასიური სახლის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი გახლავთ აფხაზი ქალბატონი ანა წვინარია, რომელსაც აფხაზეთში ინტენსიური კონტაქტები ჰქონდა. გვყავდა ასევე ოსი ეროვნების თანამშრომელი ქალბატონი ნაირა ბეპიევი და ა.შ. ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური ურთიერთობები „კავკასიური სახლისთვის“ ყოველთვის პრიორიტეტული იყო.

აფხაზებსა და ოსებთან გარკვეული სახის ურთიერთობა ამ ეტაპზეც გვაქვს. ძალიან საინტერესო შეხვედრები იმართება საქართველოში ბრიტანეთის საელჩოს დაფინანსებით, „სამხრეთ კავკასიური ფორუმის“ ფარგლებში. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფორმატია, სადაც საზოგადოებრივად თუ პოლიტიკურად აქტიური პიროვნებები, განსაკუთრებით კი ახალგაზრდები მონაწილეობენ და სხვადასხვა საკითხებს განიხილავენ. ზოგიერთ ქართველს, ოსს თუ აფხაზს ამჟამინდელ მაღალჩინოსანს მსგავს შეხვედრებში მონაწილეობა არაერთხელ მიუღია და როგორც პრაქტიკა აჩვენებს, მათი ეს გამოცდილება მათ საქმიანობაზე შემდეგში პოზიტიურად აისახა. ამ შეხვედრებზე ხდება ინფორმაციისა და ცოდნის გაცვლა, საერთო სამომავლო საპროექტო იდეების ჩასახვა, სტერეოტიპების მსხვრევა და ა.შ. ამ ფორმატით შეხვედრები მინსკსა და ბელგრადში უკვე ჩატარდა და იმედია კვლავ გაგრძელდება. თუმცა არსებული რეალობიდან გამომდინარე, მიზეზთა გამო ეს კონტაქტები მყიდვია.

**რა სახის წინააღმდეგობას აწყდებით მათთან ურთიერთობისას?**

ძირითადი წინააღმდეგობა აფხაზურ და ოსურ მხარესაა. ქართული მხარე, პირიქით, ცდილობს ხელი შეუწყოს მსგავსი ღონისძიებების ჩატარებას, მიიჩნევს რა, რომ საერთო კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტები პოლიტიკურ დღის წესრიგზეც პოზიტიურად აისახება. ადგილობრივი დე-ფაქტო პოლიტიკური ელიტა და რუსული სპეცსამსახურები ქართულ-ოსურ და ქართულ-აფხაზურ შეხვედრებსა და მათ მონაწილეებს ეჭვის თვალით უყურებენ. მათზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენენ. ეს ბუნებრივიც არის, რადგან მათ არ აწყობთ ურთიერთობის დარეგულირება. მათ მიმართ წაყენებული ბრალდებები ძირითადად დემაგოგიასა

Two analogous groups also visited Russia for the same cause.

One of the main priorities of our work is the publishing activity. Up to ten books are being published every year. We also conduct translating activities. Books are being translated from Georgian to foreign and from foreign to Georgian languages very often. For example, by support from the Caucasian House Giorgi Lobzhanidze translated the Koran from the original language, which was highly appreciated by the Georgian Muslims. Data Tutashkhia was translated from Georgian to Turkish language. Also, Vepkhistaosani (The Night in the Tiger's Skin) was translated from Georgian to Kurd language. We operate the Cultural Calendar, in framework of which representatives of different ethnos living in Georgia organize different events for highlight their culture and customs.

Caucasian House closely collaborates with the Friedrich Boil Foundation, Educational Fund Horizon and different international organizations.


***Does the Caucasian House have any type of contacts with Abkhazian and Ossetian sides?***

First of all, I would like to say that persons of Abkhazian and Ossetian nationality have great merit in the creation of the Caucasian House. For example, one of the founders of the Caucasian House, Abkhazian woman Ana Tsvinaria, who had intensive contacts in Abkhazia; we have also had Ossetian staff member Naira Bepieva and so on. Georgian-Ossetian and Georgian-Abkhazian relations have always been of priority for the Caucasian House.

We have certain type of communication with Abkhazians and Ossetians at this stage too. Interesting meetings are being organized in framework of the South Caucasus Forum by funding from the British Embassy in Georgia. It is a very interesting format, which publicly and politically active individuals; especially youth participate in and discuss different issues. Some currently active Georgian, Ossetian and Abkhazian high officials have participated in such meetings and the practice shows that the given experience positively affects their future work. Exchange of information and knowledge, development of joint future project ideas, breaking of stereotypes and

და პოპულიზმზე დაფუძნებული. თუმცა, სამწუხაროდ, შედეგი გამოაქვს და თბილისისაგან განსხვავებით, სოხუმა და ცხინვალში მსგავს შეხვედრებში მონაწილეობის მსურველთა რაოდენობა მცირეა. ამ მხრივ ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური ურთიერთობები რაღაცით ჰგავს ერთმანეთს. სოხუმა და ცხინვალში თბილისის ისეთივე ეჭვის თვალთ უცქერენ, როგორც მოსკოვს თბილისში.

სამწუხაროდ, რუსული სპეცსამსახურების აქტივობა ამ კუთხით ეფექტურია, განსაკუთრებით, ცხინვალსა და ჩრდილოეთ კავკასიაში. აფხაზური სამოქალაქო საზოგადოება უფრო მყარად დგას საკუთარ პოზიციებზე, თუმცა წნეხი დიდია და როდემდე გაუძლებენ მას, რთული სათქმელია.



**ბატონო გიორგი, საქართველოს მოსახლეობა საკმაოდ მულტიეთნიკურია. თქვენი აზრით, რამდენად ადექვატურ პოლიტიკას ატარებს საქართველოს ხელისუფლება ამ ჯგუფების მიმართ?**

სამწუხაროა, მაგრამ ჩვენი ქვეყნის მულტიეთნიკურობა ამ დრომდე მხოლოდ მოცემულობად რჩება. ვერა და ვერ ხდება ამ რეალობის საზოგადოებაზე ასახვა. ისინი არაადექვატურად, არაპროპორციულად არიან ჩართულნი ქვეყნის საქმიანობაში. ამის ნათელ მაგალითად თბილისის საკრებულოც გამოდგება. დედაქალაქში მრავალრიცხოვანი სომხური, ქურთული, აზერბაიჯანული და სხვ. ჯგუფებია, თუმცა ქალაქის საკრებულოს შემადგენლობა მხოლოდ ეთნიკური ქართველებით არის დაკომპლექტებული. ეს მაშინ, როდესაც მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ქართული ენა კარგად იცის.

etc. takes place during the given meetings. Meetings within the given format have already been organized in Minsk and Belgrade and hopefully the process will continue; although, due to the existing reality the given contacts are quite fragile.

**What kind of barriers do you face when communicating with them?**

The major resistance is from Abkhazian and Ossetian sides. Georgian side tries to promote organization of such events, believing that joint cultural-education projects can have positive affect on the political situation too. Local de-facto political elite and Russian

intelligence services regard Georgian-Ossetian and Abkhazian meetings and their participants with suspicion. They are being oppressed psychologically. It is natural, as they are not interested in regulating the relations. Accusations made against them are mainly based on demagoguery and populism, although, unfortunately, such actions bring results and unlike Tbilisi, the number of those willing to participate in such meetings is lower in Sokhumi and Tskhinvali. In this regard, Georgian-Ossetian and Abkhazian relations are somewhat similar. Tbilisi is regarded with the same suspicion in Sokhumi and Tskhinvali as Moscow is in Tbilisi.

Unfortunately, activities of Russian intelligence services are effective, especially in Tskhinvali and the

სახელმწიფო ენის ცოდნა მნიშვნელოვანია. თუმცა, ძალიან პრობლემატური საკითხია, განსაკუთრებით რეგიონებში. ბოლო დროს, ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში ამ მხრივ გადაიდგა გარკვეული პოზიტიური ნაბიჯები, იქნებოდა ეს სახელმწიფო პროგრამა "4+1", საგანმანათლებლო ცენტრების შექმნა მათი კომპაქტურად დასახლების ადგილებში, აგრეთვე ამ რეგიონებთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზების შექმნა. შედეგი ნელ-ნელა იჩენს თავს. ასე მაგალითად, დღეს სულ უფრო მეტი აზერბაიჯანელი თუ სომეხი ახალგაზრდა სწავლობს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში. აღსანიშნავია ისიც, რომ ახალგაზრდები უფლებიან ქართულ ენას, არიან აქტიურები და აქვთ სურვილი თვითრეალიზებისა. ძალიან ხშირად ისინი მონაწილეობენ ზოგადი თემატიკის ფორუმებსა და შეხვედრებში, სადაც საკუთარ აზრს ქართულად აფიქსირებენ. თუმცა, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ამ კუთხით სამუშაო ჯერ ძალიან ბევრია. საჭიროა ზემოხსენებული პროგრამების დახვეწა და განვითარება

**რას ურჩევდით ხელისუფლებას ამ საკითხის მოსაგვარებლად?**

პირველ რიგში, პრობლემა არის ის, რომ არც ერთ პოლიტიკურ ძალას, იქნება ეს სახელისუფლებო თუ ოპოზიციური, არ გააჩნია მკაფიო ხედვა ეთნიკური და სხვა უმცირესობების შესახებ. არსებული ხედვები ძალიან ტრაფარეტული და ზედაპირულია, რაც რეალობაზე ასახვას ვერ ჰპოვებს. ამ შემთხვევაში პოზიტიური დისკრიმინაციის მომხრეც კი ვარ, რათა მათთვის გამოიყოს სპეციალური კვოტა და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულობის პროცესი გაიზარდოს.

საქმე არც ისე მარტივად არის, როგორც ამის წარმოჩენა ზოგიერთს სურს. ენის ცოდნა ეთნიკური უმცირესობებისთვის სულაც არ ნიშნავს უზრუნველყოფილ მომავალს. ამის ნათელ მაგალითს ქისტური თემი წარმოადგენს. სამწუხაროდ, საზოგადოებაში მაღალია უნდობლობა ერთმანეთისადმი. საქმე გვაქვს არა მხოლოდ ქართულ, არამედ ამ ეთნიკური ჯგუფების ნაციონალიზმთანაც, რაც ინტეგრაციის პროცესს აფერხებს.

თუმცა, როგორც აღვნიშნე, ახალგაზრდა თაობებში დიდია ინტერესი სახელმწიფო ენის შესწავლისა და სამოქალაქო აქტივობის კუთხით, რაც მისასალმებელია და რასაც ხელისუფლებამ ხელი მაქსიმალურად უნდა შეუწყოს. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიური მარნეულის მუნიციპალიტეტის აზერბაიჯანული თემია. ■

North Caucasus. Abkhazian civic society defends its positions more firmly, although the pressure is high and it is hard to say for how long they will be able to resist.

**Mr. Giorgi, Georgian population is quite multiethnic. In your opinion, is the governmental policy on the given groups adequate enough?**

It is unfortunate, but the multi-ethnicity of our country still remains as a given. It is still a problem to reflect the given reality on the society. They are involved in the country activities inadequately and disproportionately. Tbilisi Sakrebulo is a clear example of that. There are numerous Armenian, Georgia, Azerbaijani and other groups in the capital, although, the city Sakrebulo is staffed only by ethnic Georgians. And this happened when majority of them speak good Georgian.

Knowledge of the state language is important, but very problematic, especially in the regions. Certain positive efforts have been taken in the given direction lately, starting from the previous government times, such as the state program 4+1, Educational Centers and reparation of automobile roads connecting to those regions... The result reveals itself gradually. For example, more Azerbaijani or Armenian youth enter Georgian higher education institutions nowadays. It is also noteworthy that youth learns Georgian; they are active and have the will for self-realization. For example, they often participate in the general thematic forums and meetings, speaking out their opinion in Georgia; although, as the practice shows, there is still a lot to be done in the given direction. Perfection and development of the aforementioned programs is necessary.

**What would advise the government for solving the given issue?**

The first and foremost problem is that none of the political forces be it the governmental or opposition, have clear vision about ethnic and other minorities. The existing visions are very superficial, which is not reflected on the reality. In this case, so speak, I am even for the positive discrimination in view of allocating them special quotas and through this increasing their involvement in the public activities.

The case is not as easy as some want to show it. Knowledge of the language does not mean the guaranteed future for ethnic minorities. The clear example of this is the Kist community. Unfortunately, the level of distrust in the society is high. We are facing nationalism of not only Georgian, but also of those ethnic groups, which hampers the integration process.

Although, as I have mentioned, the interest of youth generations to learning the state language and towards civic activism is high, which has to be welcomed and which government must maximally provide support to. The most active in this regard is the Marneuli region Azerbaijani community. ■

## მიღგომები უნდა შეიცვალოს ინტერვიუ ICCN ხელმძღვანელთან ნინა ციხისტავი-ხუციშვილთან

### APPROACHES MUST CHANGE Interview with the Head of ICCN Nina Tsikhistavi-Khutsishvili



კავკასიის რეგიონში კონფლიქტების შედეგად დაპირისპირებულ მხარეთა შორის ნდობის აღდგენის თემაზე რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს. გამორჩეული ადგილი ამ კუთხით ICCN (კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი) უკავია, რომელიც წლებია ამ სფეროში მოღვაწეობს. ორგანიზაციის აქტივობასა და ამ აქტივობების მნიშვნელობაზე The Forum-ს ICCN ხელმძღვანელი, ქალბატონი ნინა ციხისტავი-ხუციშვილი ესაუბრა.

**ქალბატონო ნინა, როდის დაარსდა ICCN და რა აქტივობებს ეწევა ის?**

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი პროფესორ გიორგი ხუციშვილის ინიციატივით დაარსდა 1994 წელს. მისი საქმიანობა მიზნად ისახავს მშვიდობის მშენებლობასა და კონფლიქტების არაძალადობრივი გზით მოგვარებას.

ICCN რამდენიმე მიმართულებით მუშაობს: პირველი არის პროფესიული კვლევითი საქმიანობა კონფლიქტების ანალიზის მიმართულებით, მეორე, კონფლიქტების მოგვარება საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროგრამების (ტრენინგების, სემინარებისა თუ სალექციო კურსების) გზით, რომელიც ადაპტირდა ადგილობრივი საზოგადოების, კერძოდ კი დევნილი მოსახლეობისათვის. მასში მონაწილეობა მიიღო ათობით ათასმა ადამიანმა, მათ შორის ჟურნალისტებმა, პოლიტიკოსებმა, სტუდენტებმა და ა.შ. ორჯერ, 2008 წლამდე, შესაბამისი კურსის ორგანიზება ცხინვალშიც მოხერხდა. მესამე და უმთავრესი მიმართულება კი არის კონფლიქტის შედეგად გახლეჩილი საზოგადოების წარმომადგენელთა შეხვედრები, რომელიც 1995 წლიდან სისტემატურად იმართება. სწორედ ICCN ორგანიზებით მოხერხდა ქართულ-აფხაზური, 1996 წელს კი ქართულ-ოსური დიალოგის ფორმატში ხალხის შეხვედრა. ეს დღეს არის მსგავსი აქტივობები ჩვენს საზოგადოებაში მისასალმებელი, თორემ მაშინ იყო ძალიან დიდი ზეწოლა და კრიტიკა პირადად ბატონ გიორგი ხუციშვილის, რადგანაც ომი ახალი დამთავრებული იყო, ამასთან, ხელისუფლების წევრები არ მალავდნენ აღშფოთებას თუ როგორ გაბედა ვინმემ და როგორ შეხვედა აფხაზებსა და ოსებს. იგივე ვითარება იყო სოხუმსა და ცხინვალშიც. თუმცა, როგორც დრომ და გამოცდილებამ აჩვენა, მოლაპარაკებებსა და დიალოგს კონფლიქტების მოგვარების საკითხში ალტერნატივა არ აქვს!

მინდა ისიც აღვნიშნო, რომ კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი არაერთხელ გამხდარა კრიტიკის ობიექტი, რადგანაც ჩვენს მიერ გააუღერებულ

Many non-governmental organizations work on the issue of confidence building between conflicting sides in the Caucasus region. International Center on Conflicts and Negotiations (ICCN) holds an outstanding place in the given direction as it has been working in the given sphere for many years. Nina Tsikhistavi-Khutsishvili, Head of the ICCN, spoke with the Forum about the Organization activities and the significance of those activities.

**When was the ICCN founded and what types of activities does it conduct?**

The International Center for Conflicts and Negotiations was founded by Professor Giorgi Khutsishvili in 1994. ICCN activities are dedicated to peacebuilding and conflict resolution by nonviolent methods.

ICCN works in several directions... First is the professional research activity in the context of conflict analysis; second is conflict resolution by means of educational-cultural programs (trainings, seminars and courses of lectures), which are adapted to the needs of local communities, namely IDPs. Tens of thousands of individuals, including journalists, politicians, and students and so on, have participated in them. Before 2008, it was managed to organize such courses in Tskhinvali too. The third and most important direction of our work is the organization of meetings of representatives of conflict divided communities, which we have been organizing systematically since 1995. ICCN was the one to organize the first Georgian-Abkhazian meeting and in 1996 the meeting of people in the format of Georgian-Ossetian dialogue. Such activities are welcomed in our society today, but at that time there was serious pressure and criticism towards Mr. Giorgi Khutsishvili, as the war has just finished at that time and government authorities openly expressed dissatisfaction with someone daring to meet Abkhazians and Ossetians. The situation was the same in Sokhumi and Tskhinvali. Meanwhile, time and experience finally showed that there is no alternative to negotiations and dialogue in

იდებები თუ ინიციატივები ყოველთვის ხვდებოდა კრიტიკის ქარცეცხლში, თუმცა, დროთა განმავლობაში, ვამტკიცებდით რა ჩვენი იდეის მართებულობას, ის იძენდა უამრავ მხარდამჭერს და დღითიდღე ფართოვდებოდა. ჩვენ არასდროს შეგვეშინებია სიახლისა და გამოწვევების. ასე იყო მაშინაც, როდესაც 1997 წელს დევნილთათვის ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობის უფლებაზე დავეინყეთ საუბარი და მივაღწიეთ ამ ადამიანებისთვის ხმის მიცემის უფლების მინიჭებას.

მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ მაინც ვაგრძელებთ ჩვენს საქმიანობას. რატომ? იმიტომ რომ ვართ დამოუკიდებელი და არასოდეს არცერთი თეთრი არცერთი ხელისუფლებისა თუ სახელმწიფოსაგან არ მიგვიღია. ჩვენი დონორები არიან საერთაშორისო ფონდები. შესაბამისად, რაღაც კონკრეტული შიდა თუ გარე პოლიტიკური ჯგუფების ინტერესების გატარებას ჩვენ ვერაფერს ვერ დაგვაბრალებს. ეს განაპირობებს კიდევ ICCN-ისადმი ნდობის მაღალ ხარისხს. ორგანიზაცია კვლავ აქტიურად მოქმედებს და ეხება რთულ და მტკივნეულ, არაპოპულარულ, მაგრამ აუცილებელ თემებს. ასე მაგალითად, გასული წლის ოქტომბერში ჩვენ პარლამენტში მოვახდინეთ მოსმენის ინიცირება საკითხზე, თუ როგორ ირღვევა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები პირების ერთ-ერთი ფუნდამენტური - გადაადგილების თავისუფლება. ეს კი ავტომატურად, სხვა უფლებების დარღვევასაც იწვევს.

**რას გულისხმობთ?**

გვგულისხმობ ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში მცხოვრებ პირებს, რომლებიც დღეს საქართველოს, შეიძლება ითქვას, რომ ჰყავს გეტოში მომწყვედული.

მსგავსი მიდგომა თბილისში უნდა შეცვალოს. ამას ავალდებულებს არაერთი საერთაშორისო კონვენცია. ამასთან, ეს აუცილებელია პირველ რიგში მშვიდობის აღდგენისა და იმ პროპაგანდისტული მანქანის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელიც დღეს სოხუმსა და ცხინვალში მოქმედებს. რამ დაანგრია საბჭოთა კავშირი?! გადაადგილება! გადაადგილებას თან სდევს ინფორმაცია, ცოდნა, მის წინააღმდეგ კი ყველა მახინჯი და ძალადობრივი რეჟიმი უსუსურია.

მესმის, რომ ქართული საზოგადოებისთვის ეს ჩვენი ინიციატივა შეიძლება გამაღიზიანებელი, მტკივნეული და მიუღებელი იყოს, მაგრამ როგორც გითხარით, ჩვენ წინააღმდეგობების არ გვეშინია, რადგანაც, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, დროთა განმავლობაში ყველა ის წინადადება რაც ICCN მიერ გაჟღერდა, წარმატებით დაინერგა და დღეს ეფექტურად მოქმედებს. ამასთან, როგორც უკვე აღვნიშნე, ამ ადამიანების გადაადგილების თავისუფლების უზრუნველყოფას საერთაშორისო კონვენციები საქართველოს პირდაპირ ავალდებულებს. პარლამენტში გაიმართა მოსმენა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის ორგანიზებით. მას ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. იყვნენ აგრეთვე ხელისუფლების, მასმედიის, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც, თუმცა ეს საკითხი, მიუხედავად ინტერესისა, მიზეზთა გამო, ამ დრომდე ადგილიდან არ დაძრულა.

**გაქვთ თუ არა ურთიერთობა აფხაზური და ოსური არასამთავ-**

the issue of conflicts resolution!

It is also noteworthy that the International Center for Conflicts and Negotiations has often been criticized and our ideas or initiatives have always been actively opposed; although, with time we have always proven the correctness of our ideas and the ICCN gained support and those ideas were being implemented. We have never been afraid of innovations and challenges. It was the same in 1997 when we started speaking out about giving right to vote at local government elections to IDPs and we achieved the result.

We continue our work despite everything. Why? Because we are independent and we have never taken any money from none of the governments and states. Our only donors are international funds. As result, no one can blame us in acting according to interests of certain political groups. That is why the confidence in ICCN is very high. Our Organization continues active work and discusses complicated and painful, unpopular, but necessary topics. For example, last October we initiated Parliamentary hearings on the issue of violation of one of the fundamental rights of those living in occupied territories – the right to free movement. This automatically violates their other fundamental rights.

**What do you mean?**

I mean those living in Tskhinvali region and Abkhazia, whom, I would say, Georgia is keeping in a ghetto.

Such an approach by official Tbilisi must be changed. It is an obligation taken by numerous international conventions. In addition, it is necessary primarily for the recreation of peace and for opposing the propagandist machine what operates in Sokhumi and Tskhinvali today. Why did the Soviet Union collapse?! Because of free movement! Free movement is followed by new information, knowledge; and all the ugly and violent regimes are helpless against it.

I understand that the given initiative may be irritating, painful and unacceptable for Georgian society, but, as I have said, we are not afraid of challenges, as our experience shows that all the initiatives launched and introduced successfully by the ICCN are currently effectively working. Along with that, as I have already mentioned, Georgia is directly obliged by the international conventions for insuring free movement of those people. Hearings have been organized in Parliament by the Temporary Committee for Recreation of Territorial Integrity, by participation of representatives of the Committee for Human Rights, government, media and NGO sector; although, de-



### **რობო სექტორის წარმომადგენლებთან?**

რა თქმა უნდა. ერთმანეთთან ძალიან ინტენსიური და ნაყოფიერი ურთიერთობა გვაქვს. ცოტა ხნის წინ გვქონდა შეხვედრა 3+3 ფორმატში, ანუ, მასში მონაწილეობას იღებდა სამი აღიარებული (საქართველო, სამხეთი და აზერბაიჯანი) და სამი არაღიარებული (აფხაზეთი, სამხეთ ოსეთი და მთიანი ყარაბაღი) ტერიტორიული ერთეულის წარმომადგენელი. ეს იყო ძალიან საინტერესო და ნაყოფიერი დიალოგი. დაესახეთ საერთო საქმიანობის გეგმები, გავცვალეთ აზრები. ICCN გახლავთ 2003 წელს შექმნილი „მსოფლიო გლობალური ქსელი შეიარაღებული კონფლიქტების წინააღმდეგ“ წარმომადგენელი ჩვენს რეგიონში და ის მსგავს ღონისძიებებს აქტიურად უწყობს ხელს. ამასთან, მომდევნო თვეში, კიევში ჩატარდება ძალიან საინტერესო კონფერენცია, სადაც მონაწილეობას მიიღებენ აფხაზი, ოსი და ქართველი მომხსენებლები. საუბარი შეეხება ჩვენს საზოგადოებებში არსებულ ვითარებასა და ადამიანების უფლებათა დაცვასთან დაკავშირებულ მდგომარეობას.

### **თქვენი აზრით, რა როლი აკისრია არასამთავრობო სექტორს ნდობის აღდგენის საქმეში და როგორ ართმევს იგი მას თავს?**

მინდა გითხრათ, რომ ძალიან ადვილად ნახავთ როგორც ქართულ, ასევე ოსურ და აფხაზურ საზოგადოებათა გარკვეულ ჯგუფებს, რომელთაც ერთმანეთში აქვთ ნდობაც, კომუნიკაციაც და მეგობრობაც, თუმცა, ასევე მარტივად ნახავთ ჯგუფებს, რომელთათვისაც რაიმე, თუნდაც ელემენტარული სახის ურთიერთობაც კი მიუღებელია. ეს პრობლემა დგას ყველგან. როგორ გგონიათ, ჩვენს საზოგადოებაში არ არის ჯგუფები, რომელთა შორისაც ნდობა არ არის?! ნდობის აღდგენა საზოგადოებებს შორის საყოველთაო ხასიათის რომ იყოს, ამისათვის საჭიროა შესაბამისი პოლიტიკა, რაც ამ ეტაპზე სამწუხაროდ არ არსებობს. დღეს ურთიერთობა ჩაანაცვლა პროპაგანდამ, რაც მომავალ თაობებზე ნეგატიურად აისახება. სწორედ ამ შეხვედრების წყალობით უნდა მოხერხდეს აღნიშნული პრობლემის მოგვარება.

კიდევ ერთი პრობლემა, რასაც არასამთავრობო სექტორი აწყდება არის ის, რომ ჩვენ არ ვმონაწილეობთ დონორთა საზოგადოების პოლიტიკის წარმოებაში, რომელიც გაუგებარია სად და ვის მიერ იწერება. არათანმიმდევრული მიდგომა, რითაც ეს პოლიტიკა ხასიათდება, სპობს იმ მიღწეულს, რაც აქამდე იყო, ეს კი იწვევს მდგრადობის დაკარგვასა და შრომისა და რესურსების წყალში ჩაყრას. საუბარი მაქვს სიტუაციაზე, როდესაც დონორი ორგანიზაცია მთელ თავის რესურსებს მიმართავს ახალ რეგიონში, ხოლო ძველს კი ბედის ანაბარად ტოვებს. შედეგად, ამ უკანასკნელში იკარგება მიღწეული პროგრესი და პასუხად კრიზისს ვღებულობთ. ■

spite high interest, there is no result on the given issue yet due to number of reasons.

### ***Do you have communication with Abkhazian and Ossetian NGO sectors representatives?***

Of course... We have very intensive and fruitful communication with each other. Just recently we have organized the 3+3 format meeting; i.e. by participation of representatives of three recognized (Georgia, Armenia and Azerbaijan) and three unrecognized (Abkhazia, South Ossetia and Nagorno-Karabakh) territorial entities. It was a very interesting and fruitful dialogue; we developed plans for joint activities, exchanged ideas... ICCN is the representative of the World Global Network Against Armed Conflicts created in 2003, in Georgia; and it actively supports such events. In addition, next month in Kiev will be organized a very interesting Conference by participation of Abkhazian, Ossetian and Georgian speechmakers. The Conference will be dedicated to the situation in our communities and human rights issues.

### ***In your opinion, what is the role of NGO sector in the confidence building process and how does it cope with it?***

I would like to say that you can easily find certain groups in Georgia, Ossetian and Abkhazian societies that have confidence in each other along with communication and friendship; although, just as easily you will find the groups for which even elementary communication with each other is unacceptable. This problem is everywhere; and what do you think, that there are not groups within our society that do not have confidence between each other?! In order for confidence building to be of universal character between our societies, it needs a coinciding policy, which, unfortunately does not exist currently. Unfortunately, nowadays relations and communication have been replaced by propaganda, which negatively affects future generations. The given problem must be resolved exactly based on these meetings.

Another problem that the NGO sector is facing is the fact that we are not involved in the development of the donor's public policy; it is obscure where and who writes it. The inconsistency that characterizes the given policy destroys everything achieved before, which results in the lack of sustainability and wasting of work and resources. I mean the situation when donor organization directs all of its resources to a new region and an old one is left on its own. As result, the progress already achieved in the latter is lost and finally we see crisis there. ■

ოლიკო ცისკარიშვილი  
შიშს შიშვეული გვირავი

Oliko Tsiskarishvili  
THE HEROES USED TO FEAR

სოფელში მცხოვრები ერთ-ერთი გლეხის ეზოში შევედივართ, სადაც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, „კასეტური“ ბომბები ჩამოყარეს. მათ ადგილზე ახლა ყვავილები ყვავის. ერგნეთში, ახლა 247 ოჯახი ცხოვრობს, ომის დროს 160 სახლი დაინვა. მიუხედავად იმისა, რომ წყალი და ბუნებრივი გაზი გამოიყვანეს, სოფელში დარჩენილები მინაზე მუშაობით ძლივს ირჩენენ თავს. მათი დამატებითი შემოსავალი, ან არის პენსია, ან სოციალური დახმარება. სოფელს, გარდა იმისა, რომ წყლის პრობლემა აქვს, მოშლილია ინფრასტრუქტურაც — სოფელში არ არის მაღაზია, აფთიაქი, ბავშვებისთვის გასართობი. ყველაფერ ამას თან უგზობაც ერთვის.

„სოფელში, როგორც გინდა იარე, ღამითაც არავინ განუხებთ, ვართ ჩვეულებრივად, როგორც ადრე. მთავარი ისაა, რომ ხალხს არ უშვებენ — არც აქეთ და არც იქით. წყალიც აღარ მოდის,“ — ამბობს 74 წლის ერგნეთელი ელვარდ ჩლაჩიძე და შემოგვჩივის, რომ „პურის ფული“ უჭირს, — „160 ლარი მაქვს პენსია, დახმარება კი — 60, ეს ჭამაში არ გვეყოფნის, არა და ოჯახში შვიდი სული ვცხოვრობთ“.

ერთ-ერთმა ერგნეთელმა, ვინაობის გამხელა არ ისურვა, მაგრამ უამრავი პრობლემა დაასახელა: „არც სასმელი და არც სარწყავი წყალი არ გვაქვს, გზა ჩვენ არ გვაქვს, გადახედეთ არხს, 1931 წელს ხელით გაიჭრა. ნერგები ამოვიდა არხზე. ვითომ სინათლე გამოგვიყვანეს, როგორც კი ქარი ამოვარდნა, სამი-ოთხი დღით გათიშული გვაქვს, მხოლოდ გამრიცხველიანება არაფერი გამოსავალია“.

„სასმელი წყალი არ გვაქვს. გათბობით კი ფიჩხებით ვთბებით“, — გვეუბნება ტერეზა მძინარაშვილი და გვანახებს ახალ მოჭრილ ვაშლი-სა და მსხლის ხეებს, რომლითაც გათბობას აპირებენ, შარშან ხე-ტყით სარგებლობის ვაუჩერები ჰქონდათ, წელს ესეც არ აქვთ, — „გაზით როგორ გავთბეთ, მერე როგორ გადავიხადოთ,“ — ამბობენ ხანშიშესულები. ომის დროს, მათი სახლიც გაქურდეს და გადაწვეს. — „სულ გაიტანეს ყველაფერი, ახლა კი ცხინვალიდან არავინ შემოდის, დაცვა დგას იქ“ — გულისტკივილით ამბობენ.

2008 წელს სოფელი დიციც ცხელი წერტილი იყო. ამ სოფელში ცხოვრობს 80 წლის ვენერა ედიშერაშვილი, რომელმაც გადაწვეს გადაარჩინა სოფლის ხუთი სახლი. ჩვენი სტუმრობისას გემრიელ პურებს აცხობდა. „სროლები რომ დაიწყო, მარტო ვიყავი მე და ჩემი მეზობელი თავისი ქალიშვილით, ღამეს ფერმის უკან ბუნკერში ვათენებდით. სახლიდან ათ მეტრში ბომბი ჩამოვარდა. დღე, ჩვეულებრივ დადიოდნენ ავტომატებით შეიარაღებულები და მარტო იმას მეკითხებოდნენ, ახალგაზრდები სად იყვნენ. მუქარით არ მემუქრებოდნენ, მაგრამ ყველაფერი აურ-დაურის, თუ რამე გაგვანდა ყველაფერი წაიღეს. როგორ გადავრჩი და სარატოველი ვარ-თქო, მოვიფიქრე. შვილი მომიკლეს-თქო, რომ ვუთხარი, მერე აღარაფერს მეკითხებოდნენ. დაკლეს ღორი, რამდენიმე სული საქონელიც წაიყვანეს. მიჰქონდათ ხილი, ვაშლი, ღვინოს და არაყს თავად ითხოვდნენ, მეც ვაძლევდი“. — იგონებს 80 წლის ბებო — „მეორე მსოფლიო ომსაც ვარ მოსწრებულები, მჭადში გარეულ ბალახს ვჭამდით, მაშინ, შიმშილი იყო, ახლაც ვშიშვლობთ, არ მინდოდა ახალგაზრდები მოსწრებოდნენ ამას. 2008 წელს, რუსებისგან

We enter the yard of one of the peasants living in the village; cluster bombs were dropped to their yard during August 2008 war. Flowers grow where the bombs were dropped now. 247 families live in Ergneti now; 160 houses were burned during the war. Despite the fact that water and natural gas supply has been organized in the village, those who stayed in the village can hardly make living by working on their lands. Their additional income is either pension or social welfare. Along with the water problem in the village, there is also no infrastructure – in the village there is no shop, drugstore, playground for children; adding to all of that the bad roads.

“You can go out in the village as you want; even at night, nobody will disturb you; we live as we used to. The main thing is that they do not let people over there and over here. There is no water too,” – Ergneti resident Elvard Chlachidze, 74, says and complains that he hardly has money to buy bread. – “My pension is 160 GEL and welfare of 60 GEL; it is not even enough for food and we are seven in the household.”

“We’re tired of complaining all the time; and nobody listens to us,” – Iamze Chlachidze cannot hide her heartpain.

One of the residents of Ergneti, who chose to stay incognito, spoke about many problems: “We have no potable and irrigation water; there is no road. Look at the water-channel; it was dug by hand in 1931 and now trees grow in it. It was like they installed electricity supply; when it is windy we stay without electricity for three-four days. Metering is not the solution.”

“We have no potable water and burn stumps for heating,” – Tereza Mdzinarashvili says and shows us the recently cut apple and pear trees, which they intend to use for heating. Last year they received firewood vouchers; this year, they did not give it to them. “How can we use gas for heating? We will not be able to pay for it after,” the elders say. Their house was also robbed and burned during the war. – “They took everything, but now nobody comes here from Tskhinvali; there’s our security there,” – they say in hope.

Ditsi village was also a hot spot in 2008. Venera Edisherashvili, 80, who has saved five houses in the village during war, still lives in the village. “When the shooting started it was only me and my neighbor with her daughter here; we spent nights in a bunker behind the farm. A bomb was dropped ten meters away from the house. During the day they walked around with machineguns and just asked me where young people were. They did not threaten, but turned everything upside down and took everything we had. How I saved myself? I told them I was from Saratov. They stopped asking

ამას არ მოველოდი, მაინც ერთი სარწმუნოება გვაქვს. საფლავს რომ ადამიანს შეულობავენ ის ხალხია, შვილო?“ — კითხულობს და მაინც იმედოვნებს, რომ ის ხალხი, ვინც წვიდა და დღემდე არ დაბრუნებულა, თუ მშვიდობა იქნება მიანც დაუბრუნდება თავის სახლ-კარს. ომამდე, ვენერა ედიშერაშვილს, 40 წლის შვილი, დათო, მოუკლეს. მაინც არ დატოვა კერა. „ომი რომ დაიწყო და სროლა ატყდა, ჯარი გაიქცა. ხალხიც გარბოდა, იმ ჯარს არ შეეძლო საერთო ენა გამოენახა, რომ რალაცნაირად მორიგებულიყვნენ? მე თუ შევძელი და ხუთი სახლი გადავარჩინე, იმათაც ხომ შეეძლოთ“ — ამბობს ქალბატონი ვენერა და ფიქრობს, რომ მშვიდობა მაინც დამყარდება ამ ორ ხალხს შორის.

„ცხოვრება წინ მიდის, ბალებს ვაშენებ, არავინ მეხმარება, შევეჩვიეთ ამ შიშსაც. სროლების ხმა ისმის, ვარჯიშობენ. დაკავების ფაქტი იყო, სამი-ოთხი თვის წინ, ერედველ კაცს, თავისი დამწვარი სახლის მონახულება უნდოდა და იქით გადავიდა. გამოსასყიდი მოითხოვეს 2000 რუსული რუბლი“ — გვიყვება ილია ბერიაშვილი, სოფელ დიცის მკვიდრი, და ამატებს, რომ „უსაფრთხოება უზრუნველყოფილია, დანარჩენი კი, პოლიტიკოსები კამერის წინ თუ პიარს გაიკეთებენ, ეგაა. ერთი წყალი ვთხოვეთ, სად არ დავწერეთ და მაინც ჩემი ძალებით გამოვიყვანე, თუმცა სასმელად არ ვარგა. სასმელ წყალს 300 მეტრში მდებარე ჭაბურღილიდან ვეზიდებით“, — ასეთ მდგომარეობაშია 500 კომლიანი სოფლის მოსახლეობის ნახევარი. ისინი იმედოვნებენ, რომ ხელისუფლება შეძლებს მოლაპარაკებას, რომ ჭაბურღილს დააბრუნებინებენ, იმ ჭაბურღლს, სადაც ახლა რუსების საგუშაგოა აღმართული.

სოფელ ზარდიაანთკარში კი, სადაც 30 ოჯახი ცხოვრობდა, დარჩენილია მხოლოდ 14. გორის რაიონში ყველაზე რთულ მდგომარეობაში ეს ხალხი იმყოფება, რადგან სარწყავი წყალიც არ აქვთ, რომ მოსახლეობამ თავის გამოსაკვებად მაინც დაამუშაოს მინა. გიორგი გაბლიშვილი სხვა პრობლემებთან ერთად, იმაზეც გვესაუბრება, რომ მისი შვილის ომის დროს დამწვარი სახლი დღემდე გადაუხურავია. „მთავრობა კი შემპირდა კომპენსაციას, მაგრამ, სოფელში სახლები დაცლილია, რადგან მოსახლეობას სარწყავი წყალიც კი არ აქვს. თუ არ მორწყე, მოსავალი როგორ მოვა. არც შემოსავალი გვაქვს სოფელში. მე მაქვს პენსია, დანარჩენებს სოციალური დახმარება. ამით როგორ უნდა ვიცხოვროთ?“ — ამბობს გიორგი გაბლიშვილი და თავისი დამწვარი სახლისკენ მიგვიძღვება, სადაც ის და მისი მეუღლე ცეცხლს გადარჩენილ 8 კვადრატულ მეტრიან ოთახში ცხოვრობენ.

„2008 წლიდან 2012 წლამდე საბავშვო ბალებში ვცხოვრობდით. სახლებში რომ დავბრუნდით ელემენტარული მოხმარების საგნები არ გვქონდა, გაძარცვული იყო, ჩემი სახლი ნახევრად დამწვარი. მოსახლეობას ერთი თეთრიც არ აქვს. შემოსავლის ერთადერთი წყარო სოციალური დახმარებაა. უწყლობა გვტანჯავს, ცოცხი რომ დავასველოთ, იმის საშუალებაც არ არის და ნაკვეთს როგორ დავამუშავებთ“ — გვეუბნება ციციონი ელიკაშვილი, რომელსაც ომში ორი ძმა მოუკლეს.

ომისგან განცდილ სტრესს ყველა ადამიანი ინდივიდუალურად უმკლავდება. ვისაც უშუალოდ შეეხო ომი, მათ ყველაზე მეტად სჭირდებათ დახმარება და არა მხოლოდ სოციალური.

საზღვრისპირა სოფლებში შიშს შეჩვეული გმირები, იმედია, არ მიატოვებენ თავიანთ სახლ-კარს. ■

questions after I told them my son was killed. They killed two pigs and took several cows with them. They took fruits, apples; asked for wine and vodka and I gave them,” the 80-years-old grandma recalls. — “I have seen the WWII; we used to eat grass mixed with corn-flour; there was hunger then; I didn’t want the youth to go through all that. I did not expect that from Russians in 2008; we are of the same religion. Those who don’t let you to the graves of your relatives, how can they be called humans?” — She still hopes that those who have left the village and have not come back yet will finally return to their homes if there will be peace. Venera Edisherashvili’s 40-years-old son Dato was killed before the war. She still did not leave her home. “When the war and the shooting started the army fled; people ran away too. Couldn’t that army have found a common language and to have come to some agreement? If I was able to save five houses, they could done the same too,” — Venera says and believes that there will finally be peace between the two countries.

“Life goes on; I plant orchards; nobody helps me; I’m used to this fear too. There’s shooting all the time; they’re training. There was the fact of detainment three-four months ago; man from Eredvi wanted to visit his burned house and went to the other side. They asked for the bale of 2,000 Russian rubles,” Ditsi village resident Ili Beriaashvili says and adds that “security is insured and the rest is the PR of politicians in front of cameras and that’s it. We asked them for water; wrote letters everywhere and I installed the pipes myself still; but it is not good for drinking. We bring potable water from the well 300 meters away.” Half of the 500-household village population is in such situation. They hope that the government will negotiate and return the well that is under Russian checkpoint control now.

Only 14 families still live in Zardiaankari village from 30 households that used to reside there. These people are in the worst situation in Gori region as there is no irrigation water and it is not possible to cultivate land and to have something to eat. Along with other problems Giorgi Gablishvili tells us that his son’s house which was burned during the war has not been roofed yet. “Government promised compensation, but the houses are empty in the village as we don’t even have irrigation water. How can there be harvest without irrigation? We have no other income. I’m the only one who gets pension in the village. Others get the social welfare; how can we survive with that?” — Giorgi Gablishvili tells us and leads us to his burned house. He and his wife live in the 8-square meter room, the only room, which was saved from fire.

“We lived in kindergartens from 2008 till 2012. We had nothing when we returned to our hoes; houses were robbed; my house is half-burned. People don’t have any money at all. Social welfare is the only source of income. Lack of water is a disaster for us; how can we cultivate lands like that?” — Tsitsino Elikashvili says; two of her brothers were killed in the war.

Each person overcomes the stress from war individually. Those who have directly been affected by war need help the most and not only social assistance.

Hopefully, the heroes who have gotten used to fear and still living in ABL villages, will never leave their households. ■





გიორგი ჩუბინიძე  
დევნილობის 25 წელი

სასტუმრო **თოლია** სამგორში.  
ცხოვრობს 10 ოჯახი.

Giorgi Chubinidze  
25 YEARS OF DISPLACEMENT

Hotel **TOLIA** located in Samgori.  
Hosts 10 IDP families.



ტურბაზა დიღომი თბილისში.  
ცხოვრობს 200 ოჯახი.

Tourist Center DIGOMI.  
Hosts 200 families.





**დიმიტრი ყაულაშვილი, საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარი  
მთიანი ყარაბაღის მოლაპარაკებები შედეგის გარეშე.  
რატომ ვერ მოაგვარა საერთაშორისო  
დიპლომატიამ კონფლიქტი?**

**Dimitri Kaulashvili, International relations researcher  
NAGORNO-KARABAKH NEGOTIATIONS WITHOUT RESULTS.  
WHY HAS INTERNATIONAL DIPLOMACY FAILED TO RESOLVE THE  
CONFLICT?**

საერთაშორისო საზოგადოების მიერ მივიწყებული მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი ერთ-ერთი მთავარი აქტუალური თემა გახდა ამ წლის გაზაფხულზე. აპრილში დაწყებული სამხედრო მოქმედებები მთიანი ყარაბაღის ფრონტის გასწვრივ აზერბაიჯანულ და სომხურ სამხედრო შენაერთებს შორის ყველაზე მასშტაბურ შეტაკებებს წარმოადგენდა 1994 წლის შემდეგ. მხარეები ფართომასშტაბიანი ომის დაწყებით იმუქრებოდნენ და მეორე მხარეს აკისრებდნენ საომარი მოქმედებების განხორციელების პასუხისმგებლობას. „გაყინული“ კონფლიქტის ასე სწრაფად „გაცხელება“ კიდევ ერთხელ წამოჭრა კითხვები, თუ რამდენად ეფექტურია სტატუს-კვოს შენარჩუნება რეგიონში და რატომ ვერ ხერხდება დიპლომატიური გზებით კონფლიქტის მოგვარება.

სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებების დაწყების თავიდან აცილების მიზნით, აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტები ერთმანეთს 16 მაისს ვენაში შეხვდნენ, მოლაპარაკებები გაიმართა მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეების - საფრანგეთის, აშშ-ს, რუსეთის - მონაწილეობითა და შუამავლობით. შეხვედრის მთავარი თემა იყო სამხედრო დაპირისპირების თავიდან აცილებისა და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების განმტკიცება. შეხვედრა დაძაბულ ვითარებაში წარიმართა. საბოლოოდ აზერბაიჯანისა და სომხეთის ლიდერებმა გამოთქვეს მზადყოფნა, განიხილონ სამშვიდობო წინადადებები იენისში. სამშვიდობო მოლაპარაკებებისა და რუსეთის, საფრანგეთისა და აშშ-ს ლიდერების მიერ უკვე ტრადიციად ქცეული „მომთინებისკენ“ მოწოდებების ფონზე, ორივე ქვეყანაში 200-მდე ადამიანს გლოვობენ. ნაციონალისტური ორგანიზაციები სახალხო დიპლომატიაში მონაწილე ორგანიზაციებსა და პიროვნებებს „არცხვენენ“, ხოლო ფრონტის ხაზის გასწვრივ კი ორივე მხარე გამალებული შეიარაღების სტადიაზეა გადასული. 16 მაისის მოლაპარაკებების „უძღურების“ ერთგვარი დადასტურება იყო შეხვედრამდე სულ რამდენიმე საათის წინ კონფლიქტის ზონაში დაღუპული სამხედროები. ბოლო ორ ათწლეულში მთიანი ყარაბაღის სამშვიდობო მოლაპარაკებების რიტორიკა და მიდგომა იგივე რჩება, თუმცა ეს გამოწვეული არ არის იმით, რომ იგი წარმატებულია. ერთადერთი, რაც ამ მოლაპარაკებების შედეგია, არის სტატუს-კვოს შენარჩუნება და შემდგომი წინსვლის უშედეგობა. მოცემული სტატია განიხილავს საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიდი ქვეყნების მიერ წარმოებულ დიპლომატიასა და საერთაშორისო აქტორების როლს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში.

კონფლიქტში საერთაშორისო აქტორების ჩართვა განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა 1994 წლიდან. მათი შუამავლობით 1994 წელს სომხეთისა და აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. საომარი მოქმედებების დასრულებისთანავე სხვადასხვა ორგანიზაციამ კონფლიქტის მოგვა-

Nagorno-Karabakh conflict lately forgotten by the international community became one of the most acute topics this spring. Military clashes launched between Azerbaijani and Armenian military units at the Nagorno-Karabakh frontline, in the beginning April appeared to be the largest scale battles since 1994. The sides threatened with starting large-scale war and blamed the other side in resuming the military actions. The rapid “heating” of the “frozen” conflict once again initiated questions about the efficiency of sustaining the status quo in the region and why it is not possible to resolve the conflict in diplomatic way.

On May 16 Presidents of Azerbaijan and Armenia met in Vienna for avoiding the large-scale military actions; negotiations were conducted by mediation from the co-chairmen of the Minsk Group – France, the USA and Russia. Main atopic of the meeting was avoidance of military clashes and strengthening of the ceasefire agreement. There was tension throughout the meeting, but finally Azerbaijani and Armenian leaders expressed readiness to discuss peacekeeping propositions in June. Against the background of peace negotiations and the traditional calls for “patience” from the side of the leaders of Russia, France and the USA, both of the countries mourn for up to 200 people killed on both sides during last military clashes, nationalistic organizations “shame” organizations and individuals involved in the public diplomacy, while at the frontline there is the most active arms race between the sides. Soldiers killed in the conflict zone just several hours before the meeting came as certain confirmation of the inefficiency of the May 16 negotiations. The rhetoric of Nagorno-Karabakh peace negotiations remains the same during last two decades; although, it is not the result of the fact that the negotiations are effective; the only result of these negotiations is preservation of the status quo and ineffectiveness of further progress. The presented article the diplomatic steps implemented by international organizations and big countries and the role of international actors in the



რების განსხვავებული მოდელები და რეკომენდაციები შეიმუშავა.

1994 წლიდან დღემდე ყარაბაღის მოლაპარაკებებში წამყვან როლს ასრულებს მინსკის ჯგუფი, რომელიც ეუთოს მინისტრთა საბჭოს გადანყვეტილებით 1992 წელს შეიქმნა. 2000 წლამდე მინსკის ჯგუფის მუშაობა სამიტებზე მიმდინარეობდა, რომელთაგანაც აღსანიშნავია ბუდაპეშტისა და ლისაბონის სამიტები. 1996 წლის დეკემბერში ეუთოს ლისაბონის სამიტზე მინსკის ჯგუფის მიერ მომზადდა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას ყარაბაღთან ერთად. ამ უკანასკნელს ფართო ავტონომია ენიჭებოდა. სომხური ძალები ტოვებდნენ ყარაბაღს. მათი უსაფრთხოება გარანტირებული იქნებოდა ყარაბაღში საერთაშორისო სამშვიდობო ძალების მიერ. რეზოლუციის მიღება ვერ მოხერხდა, რადგანაც სომხეთმა გამოიყენა ვეტოს უფლება.

მინსკის ჯგუფის ფარგლებში, დროის სხვადასხვა ინტერვალში, მხარეებს სამი სამშვიდობო გეგმა შესთავაზეს - პირველი მათგანი „სრულ პაკეტს“ გულისხმობდა (Package Plan), მეორე - კონფლიქტის ნაბიჯ-ნაბიჯ მოგვარების სტრატეგიას (Step by Step Plan), ხოლო მესამე - საერთო სახელმწიფოს იდეას ეფუძნებოდა (Common State Plan).

1997 წლის დასაწყისში საფრანგეთმა, რუსეთმა და აშშ-მა მხარეებს ახალი სამშვიდობო გეგმა წარუდგინეს. გეგმის თანახმად, დაუყოვნებლივ უნდა შეწყვეტილიყო სამხედრო შეტაკებები. დაპირისპირებულ მხარეებს სამხედრო ძალები თავიანთ ტერიტორიაზე უნდა დაებრუნებინათ. მათი ჩანაცვლება უნდა მომხდარიყო სამშვიდობო ძალებით, რაც რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარანტი იქნებოდა. ამ ყოველივეს თან მოჰყვებოდა ლტოლვილების დაბრუნება. მხარეებს შორის მოიხსნებოდა ყველანაირი ბლოკადა და ემბარგო. რაც შეეხება ყარაბაღის სტატუსს, იგი მეორე ეტაპზე, სამშვიდობო კონფერენციის მიერ გადანედებოდა.

Package Plan-ის ჩავარდნის შემდეგ, 1997 წლის სექტემბერში, ეუთოს „ტროიკამ“ (აშშ, რუსეთი, საფრანგეთი) წამოაყენა მოდიფიცირებული სამშვიდობო გეგმა, რომელიც დაპირისპირებულ მხარეებს სთავაზობდა პრობლემის ნაბიჯ-ნაბიჯ მოგვარების სტრატეგიას.

მესამე სამშვიდობო გეგმა საერთო სახელმწიფოს იდეას გულისხმობდა. იგი მხარეებს 1998 წელს ეუთოს შუამავალმა სამეულმა შესთავაზა. გეგმა ეკუთვნოდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ევგენი პრიმაკოვს. საერთო სახელმწიფოს იდეაში მოიაზრებოდა, რომ აზერბაიჯანი და ყარაბაღი, ფაქტობრივად, კონფედერაციაში უნდა გაერთიანებულიყო, სადაც მათ შორის ჰორიზონტალური (თანაბარუფლებიანი) ურთიერთობები იქნებოდა. აზერბაიჯანმა, თავის მხრივ, უარყო ეს გეგმა, ერთიანი სახელმწიფოს ორაზროვანი მნიშვნელობის გამო. 2007 წლის ნოემბერში გაიმართა შეხვედრა მინსკის ჯგუფის, სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებს შორის. შეხვედრაზე მიიღეს ე.წ. მადრიდის დეკლარაცია, რომლის განხორციელებაზეც მხარეები 2008 წლის მაინდორფის შეხვედრაზე შეთანხმდნენ. თუმცა, შეთანხმება მხოლოდ ქალაქებზე დარჩა და რაიმე ხელშეწყობა

process of Nagorno-Karabakh conflict.

Involvement of international actors in the Nagorno-Karabakh conflict became especially apparent after 1994. Based on their mediation, in 1994, Defense Ministers of Armenia and Azerbaijan signed the ceasefire agreement. With the suspension of military actions different organizations developed different models and recommendations for the conflict resolution.

Minsk Group has been playing the leading role in the Nagorno-Karabakh talks since 1994 until today. The Minsk Group was created by the decision of the Council of Ministers of the OSCE in 1992. Until 2000, the Minsk Group worked in the format of summits, from which the Budapest and Lisbon Summits must be emphasized. In December 1996, during the OSCE Lisbon Summit, the Minsk Group developed the project which provided for the territorial integrity of Azerbaijan including Karabakh with the latter having extensive autonomy. Armenian forces had to leave Karabakh and their security was to be guaranteed by international peacekeeping forces dislocated in Karabakh. The resolution was not adopted, as Armenia used its right of veto.

At different times, in framework of the Minsk Group, the conflicting sides have been proposed three different peace plans – first one was the Package Plan; second was the Step by Step Plan and the third was the Common State Plan.

In the beginning of 1997, France, Russia and the USA proposed the new peace plan to the sides. The plan provided for the immediate suspension of military clashes. Opposing forces should have been returned to their own territories. They had to be replaced by the international peacekeeping forces, which would be the guarantee of security in the region. All the aforementioned should have been followed by the return of refugees. All the blockages and embargoes should have been abolished by the sides. As for the status of Karabakh, it had to be decided upon during the second stage – the peace conference.

After the failure of the Package Plan, in September 1997, the OSCE Three (the USA, Russia and France) presented the modified peace plan, which offered the conflicting sides the step by step resolution strategy.

The third, Common State Plan was based on the idea of forming the common state. It was proposed to the conflicting sides by the OSCE Three in 1998. Author of the plan was Russian Foreign Minister Yevgeny Primakov. The Common State Plan idea in fact provided for the confederation of Azerbaijan and Karabakh in which they would have horizontal (equal rights) relations.

ბი შედეგი არ ჰქონია.

მინსკის ჯგუფის ფარგლებს გარეთ ინიცირებულ სამშვიდობო წინადადებებს შორის აღსანიშნავია ყარაბაღის მოლაპარაკებებში აშშ-ის ყოფილი სპეციალური წარმომადგენლის ჯონ მარესკას (John Maresca) მიერ შეთავაზებული კონფლიქტის მოგვარების ოთხპუნქტიანი ჩარჩო, რომელიც ცნობილია, როგორც Joint Sovereignty:

- 1) ყარაბაღი უნდა იწოდებოდეს “ყარაბაღის რესპუბლიკად”, რომელსაც შიდა საქმეებზე სუვერენიტეტი ექნება. იგი დაკავშირებული იქნება აზერბაიჯანთან;
- 2) ყველა ლტოლვილი დაბრუნდება საკუთარ სახლებში;
- 3) სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიები იქნება თავისუფალი ვაჭრობის ზონები, ორივე სახელმწიფო ხელს შეუწყობს ტრანზიტების განხორციელებას ერთმანეთის ტერიტორიების გავლით;
- 4) მცხოვრებთა უსაფრთხოება გარანტირებული იქნება ეუთოსა და გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ. აშშ-მა და სხვა აქტორებმა უნდა ჩადონ რეგიონში ინვესტიციები გზებისა და ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე.

ნიკოლაი ოვანისიანმა (სომხური მხარე) წამოაყენა იდეა, რომ

Azerbaijan rejected the given plan due to the ambiguous meaning of “common state”.

Meeting of the representatives of the Minsk Group, Armenia and Azerbaijan was held in November 2007. The sides signed the so called Madrid Declaration on the implementation of which the sides agreed during the Meyendorff meeting of 2008. The given agreement remained on the paper and no practical steps have been taken.

From the peace recommendations initiated outside of the Minsk Group can be emphasized the 4-point frame proposal by the US Special Representative for Karabakh Talks John Maresca, which is known as the Joint Strategy:

1. Nagorno-Karabakh would be reconstituted as the Republic of Nagorno-Karabakh (RNK), as self-governing legal entity within and freely associated with the sovereign Republic of Azerbaijan;
2. Refugees would be permitted to return to their homes, with certain villages designated for international monitoring;



ყარაბაღის ავტონომიური ოლქი (NKAO) უნდა შეცვლილიყო ყარაბაღის ნეიტრალური ტერიტორიით (NKNT), რომელიც გარანტირებული იქნებოდა გაეროს უშიშროების საბჭოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მიერ. ამ ტერიტორიას ექნებოდა სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი, გარდა სახელწოდებისა, რაც დე-ფაქტო დამოუკიდებლობას ნიშნავდა, რის გამოც აზერბაიჯანმა მას მხარი არ დაუჭირა.

კიდევ ერთი მოდელია თათრეთის მოდელი, რომელიც გულისხმობს ერთი სახელმწიფოს ყოფნას უფრო დიდი სახელმწიფოს შემადგენლობაში. ამ მოდელს მხარს უჭერს აზერბაიჯანი, რომელიც ყარაბაღის ფართო ავტონომიას თავის შემადგენლობაში განიხილავს. წარადგინეს კვიპროსის ვარიანტიც, რაც გულისხ-

3. All of Armenia and Azerbaijan, including RNK, would be a free trade area;

4. Security of the sides would be guaranteed by the OSCE Security Council and the USA and other actors would have to invest in the construction of roads and other infrastructure in the region.

Nikolay Hovhannisyan (Armenian side) came up with the idea to change the Nagorno-Karabakh Autonomous Oblast (NKAO) with the Nagorno-Karabakh Neutral Territory (NKNT), which would be guaranteed by the UN Security Council, Armenia and Azerbaijan. The

მობს დე-ფაქტო დამოუკიდებლობას, თუმცა დე-იურედ გამოყოფილი ტერიტორია კვლავ აზერბაიჯანის შემადგენლობაში რჩება.

მრავალწლიანი მოლაპარაკებების მიუხედავად, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარება კვლავაც ვერ ხერხდება. აქცენტი კეთდება პრობლემის ძალისმიერ გადაწყვეტაზე. შიდა პოლიტიკური მდგომარეობა სომხეთსა და აზერბაიჯანში საკმაოდ მძლავრი ნაციონალისტური მიმდინარეობის არსებობის სურათს იძლევა, რაც ლიდერებს ამყოფებს შიდა პოლიტიკური წნეხის ქვეშ. რადიკალურად განსხვავებულია მხარეთა პოზიციებიც. ამ ფაქტორებმა არ მისცა საერთაშორისო დიპლომატიას შესაძლებლობა, გადაეჭრა კონფლიქტი მოლაპარაკებების საშუალებით.

ასეთ ფაქტორებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია შიდა პოლიტიკური სპექტრი, რომელიც საფუძველშივე გამორიცხავს ნებისმიერ მოლაპარაკებას ყარაბაღის სტატუსთან დაკავშირებით.

რადიკალურად განსხვავებულია სომხეთისა და აზერბაიჯანის საზოგადოების ინტერესები. მაშინ, როდესაც აზერბაიჯანი მოითხოვს ყარაბაღის ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებას და სამშვიდობო ძალების განლაგებას, სომხეთი ეწინააღმდეგება დევნილების დაბრუნებას, სამშვიდობო ძალების განლაგებას და მიიჩნევს, რომ საჭიროა ჯერ მთიანი ყარაბაღის სტატუსის გარკვევა და მხოლოდ ამის შემდეგ მოლაპარაკებები. აზერბაიჯანის მხრიდან მოთხოვნების გარდა ხშირად გაჟღერდება ხოლმე კონფლიქტის გადაწყვეტის ძალისმიერი მეთოდების გამოყენების მუქარაც. აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის განცხადებაც ამის დამადასტურებელია - „თუ მთიანი ყარაბაღის პრობლემა აზერბაიჯანის სასარგებლოდ არ მოგვარდება, ბაქო ძალით დაიბრუნებს ამ რეგიონს“. თავის მხრივ არც სომხეთი ჩამორჩება ასეთ რიტორიკას. პრეზიდენტმა სერჟ სარქისიანმა პირდაპირ განაცხადა, რომ „ჩვენ თანმიმდევრულად ვიქნებით დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. ყარაბაღის დამოუკიდებლობა უკვე ფაქტია“.

მაშინ, როდესაც ორივე ქვეყანა გამორიცხავს რაიმე სახის კომპრომისს, საერთაშორისო მოლაპარაკებებში აზერბაიჯანისა და სომხეთის ლიდერები ერიდებიან ნებისმიერ დათმობას, რადგანაც ეს მათი ოპონენტების მიერ გამოყენებული იქნება მათსავე საწინააღმდეგოდ. სომხეთში ყველაზე გავლენიანი ჯგუფია ე.წ. ყარაბაღის პოლიტიკური დაჯგუფება, რომლის წევრიც სხვადასხვა დროს იყო სომხეთის სამივე პრეზიდენტი. ყარაბაღის მოლაპარაკებების წარმატებით განხორციელებაზე გავლენას ახდენს სომხეთში ეროვნულ დონეზე არსებული ინსტიტუტებიც. მათ შორის ყველაზე გავლენიანი ინსტიტუტია არმია. მნიშვნელოვანია, რომ არმია წარმოადგენდა „ყარაბაღის პარტიის“ საყრდენს, რომელიც არა მხოლოდ ყარაბაღელებისაგან შედგებოდა. აზერბაიჯანში პრეზიდენტ ალიევის ძალაუფლება გაცილებით უფრო მყარი და საფუძვლიანია, თუმცა დაწყებული ეკონომიკური კრიზისის ფონზე ძნელად სავარაუდოა, რომ მმართველმა ელიტამ მოსახლეობის ფართო ფენებისთვის არასახარბიელო მოლაპარაკებები აწარმოოს სომხეთთან.

გარდა შიდა პოლიტიკური შეზღუდვებისა, მოლაპარაკებების წარუმატებლობის მთავარი მიზეზი იმაშიც მდგომარეობდა, რომ აზერბაიჯანს ამინებდა მოლაპარაკებაში მთავარი შუამავლის - რუსეთის - განზრახვები. რუსეთი ცდილობდა მოეპოვებინა გავლენა მოლაპარაკებებზე, რის გამოც უპირისპირდებოდა მინსკის ჯგუფის დანარჩენ წევრებს. თითოეული შუამავლის საკუთარი ინტერესები კონფლიქტში განაპირობებდა მათ

NKNT would have all the features of an independent state except of the name, which meant de facto independence, so Azerbaijan rejected the given proposal.

Another model is the Tatarstan republic model, which provides for the existence of a state within a state. Azerbaijan side favors the given model, as it is for the extensive autonomy of Karabakh as part of Azerbaijan. Cyprus model is also being discussed; it provides for the de facto independence, while the separated territory de jure remains as part of Azerbaijan.

Despite the years of negotiations, the peaceful resolution of Nagorno-Karabakh conflict is still not possible. Emphasis is being made on forceful resolution; the internal political situation in Azerbaijan and Armenia shows the existence of quite powerful nationalistic movements within the countries, which puts serious political pressure on the leaders. Positions of the sides are radically different too. The aforementioned factors have not allowed the international diplomacy to resolve the conflict by means of peace talks.

Among such factors noteworthy is the political spectrum, which completely excludes any kind of negotiations on the status of Karabakh.

Interests of Armenian and Azerbaijan societies are radically different. While Azerbaijan requests return of the occupied Karabakh territories and dislocation of international peacekeeping forces, Armenia is against the return of refugees and dislocation of peacekeeping forces, claiming that it is first necessary to define the status of Nagorno-Karabakh before conducting any negotiations. Along with making different requests, Azerbaijan also often speaks about using forceful methods of conflict resolution. President Aliiev's following statement confirms the aforementioned - "If the Nagorno-Karabakh problem will not be solved in favor of Azerbaijan, Baku will return the given region by force." For their part Armenia follows the same rhetoric. Serj Sarkysyan has clearly stated that "we will be consistent in fighting for independence; independence of Karabakh is already a fact."

In the situation when the position of both societies excludes any type of compromise, leaders of both countries also try to avoid any kind of compromise in the process of international negotiations, as it can be used against them by the

შორის წინააღმდეგობას. რუსეთის და მინსკის ჯგუფის დასავლელი დიპლომატების დავა აუარესებდა სამშვიდობო პროცესს. დებატები და შეუთანხმებლობა კონფლიქტის მხარეებს შორის აშკარად იწვევდა უნდობლობას სამშვიდობო პროცესისადმი. საერთაშორისო აქტორების უარყოფითი როლი არა მარტო ერთმანეთთან დაპირისპირებით, არამედ საკუთარი ინტერესების უპირატესობის მინიჭებითაც გამოიხატებოდა. უკანასკნელ წლებში რუსეთი, საფრანგეთი, აშშ და ევროკავშირი მხარს უჭერენ სტატუს-კვოს შენარჩუნებას სხვადასხვა მიზეზის გამო. მაშინ, როდესაც რუსეთი სომხეთსა და აზერბაიჯანში კონფლიქტს იყენებს საკუთარი გავლენის გაძლიერების ინსტრუმენტად. საფრანგეთი, აშშ და ევროკავშირი დაინტერესებულია გაყინული კონფლიქტის განუახლებლობით, რათა თავიდან იქნეს აცილებული რეგიონში არასტაბილურობის კერების გავრცელება. რეალურად, საერთაშორისო აქტორების ინტერესები, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებების მეშვეობით კონფლიქტის მოგვარებისგან შორს დგას, ცხადია. ამას ადასტურებს სომხეთის ყოფილი პრეზიდენტის ლევონ ტერ-პეტროსიანის განცხადებაც, რომ „შუამავალი ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები არ იყვნენ დაინტერესებულნი კონფლიქტის გადაწყვეტით. ისინი მხოლოდ თავიანთი ანგარიშებისა და ურთიერთობების მიხედვით მოქმედებდნენ, რაც ხელს არ უწყობდა კონფლიქტის დადებითად გადაჭრას“. უკანასკნელ თვეებში მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარე ქვეყნების განცხადებებიც იგივეს ადასტურებენ. საფრანგეთის პრეზიდენტის ფრანსუა ოლანდის, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჯონ კერისა და რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის განცხადებები შეიცავს მხოლოდ მოწოდებებს, რომ აღდგეს 2016 წლის აპრილამდე არსებული სტატუს-კვო.

აღნიშნულ სიტუაციაში, მოსალოდნელია, რომ აზერბაიჯანისა და სომხეთის ლიდერები კვლავ გააკეთებენ პოპულისტურ განცხადებებს, რათა განამტკიცონ ქვეყნის შიდა პოლიტიკაში საკუთარი ძალაუფლება, საკუთარი თავი წარმოაჩინონ ნაციონალისტურ ლიდერებად. ეს გამოიხატება ყველანაირი სახის დათმობაზე წასვლის პერსპექტივას საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლის გარეშე. თუმცა, საერთაშორისო აქტორების პოზიცია არ უწყობს ხელს კონფლიქტის საბოლოო მოგვარებას. რუსეთი, აშშ და ევროკავშირი დაინტერესებულია საომარი მოქმედებების განუახლებლობით და ამ ფონზე კონფლიქტში ყველანაირად უჭერენ მხარს სტატუს-კვოს შენარჩუნებას. შედეგად ვიღებთ, რომ საერთაშორისო დიპლომატია კონფლიქტის გადაჭრისკენ მიმართული კი არ არის, არამედ იქითკენ, რომ შედარებით გაყინული კონფლიქტი არ გალღვს. ■

opponents. The most influential group in Armenia is the so called Karabakh Political Group, members of which at different times were all the three presidents of the country. Institutions operating at national level in Armenia also influence the successful implementation of the Karabakh talks. The most influential institutions in Armenia are the army. It is noteworthy that army has always been the main supporter of the Karabakh Party, which did not comprise of only Karabakh residents. Power of Azerbaijani President Aliiev is far more compelling and solid, although, against the background of the economic crisis it is unlikely that the governing elite could start unfavorable negotiations with Armenia.

Aside from international political restrictions, the main reason for the inefficiency of negotiations was the fact that Azerbaijan feared the intentions of the main mediator in the talks – Russia. Russia attempted to influence the negotiation process and as result opposed the other members of the Minsk Group. Own interests of each of the mediators in the conflict resulted in serious opposition between them. Disputes between Russia and western diplomats of the Minsk Group worsened the peacebuilding process. Such debates and disagreement apparently resulted in distrust to the peacebuilding process from the conflicting sides.

The negative role of international actors was reflected not only in their opposition to each other, but also in giving priority to their own interests. Due to number of reasons Russia, France, the USA and the EU have been supporting sustaining of the status quo during last several years. While Russia uses the conflict in Armenia and Azerbaijan as an instrument of empowering its influence, France, the USA and the EU are interested in the non-resumption of the “frozen” conflict with the aim to avoid the spread of locations of instability in the region.

In reality, it is apparent that the interest of international actors are very far from the conflict resolution through peace talks This is confirmed by Levon Ter-Petrosyan’s statement that “mediator countries and international organizations had no interest in the resolution of the conflict. They act solely according to their own plans and relations between each other, which does not promote the resolution of the conflict.” Statements by the leaders of the Minsk Group co-chairmen countries made during last several months confirm the same. Statements by the President of France François Hollande, by the US Secretary of State John Kerry and by President of Russia Vladimir Putin only include calls for recreation of the status quo which existed before April 2016.

In such situation it is expected that the leaders of Azerbaijan and Armenia will again make populist statements for further strengthening their power in the internal politics of their countries. Trying to portray themselves as nationalistic leaders completely excludes the perspective of any type of compromise without pressure from the international community. However, position of international actors does not promote the final resolution of the conflict. Russia, the USA and the EU are interested in non-resumption of military actions and due to that take all the efforts for sustaining the status quo in the conflict. As result, international diplomacy is directed not at resolving the conflict, but at “non-melting” of this relatively “frozen” conflict. ■

## ცენტრალიზაცია და კოსოვოს კონფლიქტი CENTRALIZATION AND THE KOSOVO CONFLICT

რატომ დაიწყო კოსოვოს კონფლიქტი? რა იყო ამის მიზეზი?

შეიძლებოდა თუ არა კონფლიქტის თავიდან აცილება?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემას მოცემულ სტატიაში შევეცდებით.

იუგოსლავიის ცენტრალიზებული სახელმწიფოს მხრიდან 1989 წელს კოსოვოში შემოღებულმა პირდაპირმა მმართველობამ კოსოვოს კონფლიქტის დაწყება გამოიწვია. პირდაპირმა მმართველობამ კოსოვოში განაპირობა ეთნონაციონალისტური ორგანიზაციების პოპულარობა. ხალხს შეეშინდა ნაციონალი სერბების, რომელთაც სლობოდან მილოშევიჩი მეთაურობდა. კოსოვოელი ალბანელების (კოსოვარების) ჩამოშორებამ ადგილობრივ ელიტას პოლიტიკისკენ მიმავალი გზა მოუჭრა. შედეგად, კოსოვარებს აღარ დარჩათ სხვა არჩევანი გარდა ცენტრის მიმართ დაუმორჩილებლობისა და პროტესტისა.

სტატიაში მიმოვიხილავთ იუგოსლავიის 1974 წლის კონსტიტუციას, კერძოდ იმ ნაწილს, რომელიც კოსოვოს სტატუსს ეხება. ასევე განვიხილავთ 1989 წლის კონსტიტუციის შესწორებას, რომელიც კონფლიქტის დაწყების მთავარ მიზეზად იქცა.

მოცემული სტატია შეეხება ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის პრობლემებს და მათ ზეგავლენას კონფლიქტების წარმოქმნაზე. ამიტომ, საჭიროდ მიგვაჩნია, თავდაპირველად განვმარტოთ ფედერაციის არსი. “ფედერაცია” ბევრი განმმარტებელი მიიჩნევს, როგორც დეცენტრალიზებულ პოლიტიკურ სისტემას კონსტიტუციური მთავრობით, რომლის შემადგენელი ტერიტორიული ერთეულები ჩართულნი არიან შეთანხმების პოლიტიკაში. ცენტრსა და რეგიონს შორის ძალთა გადანაწილების ხასიათი და მასშტაბი განსხვავდება პოლიტიკური დეველოპციისგან იმის საფუძველზე, რომ რეგიონული ავტონომია კონსტიტუციურადაა გარანტირებული. ცენტრს არ აქვს თავისი ტერიტორიული ერთეულის გაუქმების, შესწორების ან ახლიდან განსაზღვრის იურიდიული უფლება. ამგვარად, ფედერაციაში რეგიონალური ერთეულები ქვეშაირითად ადგილობრივი სახელმწიფოებია თავიანთი ადგილობრივი სახელმწიფო უფლებებით. სამოქალაქო წარმომადგენლობა დამყარებულია ასევე მხოლოდ რეგიონალურ პრინციპზე.

1946 წლის იუგოსლავიის ფედერაციის კონსტიტუციით ფედერაციის სუბიექტი 6 რესპუბლიკა იყო. ამ კონსტიტუციით კოსოვოს მხოლოდ ავტონომიური ოლქის სტატუსი მიენიჭა. 1963 წლის კონსტიტუციით კოსოვოს სტატუსი ოლქიდან „ავტონომიურ მხარემდე“ ამაღლდა. 1974 წლის ახალი კონსტიტუციის თანახმად, კოსოვოსა და ვოევოდინას სტატუსი გაუთანაბრდა ფედერაციის შემადგენელი სუბიექტების - რესპუბლიკების - სტატუსს. მათ მიენიჭათ საკონსტიტუციო ვეტოს უფლება, შეეძლოთ დამოუკიდებლად მიეღოთ კანონები და კონსტიტუცია, რომლებიც

Why did the Kosovo conflict start? What was the reason of it?

Was it possible to avoid the given conflict? We will attempt to answer the aforementioned questions in the present article.

Direct governance imposed in Kosovo by the centralized state of Yugoslavia in 1989 caused the start of the Kosovo conflict. Direct governance initiated popularity of ethnic-nationalistic organizations in Kosovo. People were afraid of the nationalist Serbians headed by Slobodan Milosevic. Exclusion of Kosovo Albanians (Kosovars) blocked the local elite from politics. As result, the only choice for the Kosovars was the disobedience and protest against the Center.

In the article we will review the 1974 Constitution of Yugoslavia; namely, the part of the Constitution which concerns the status of Kosovo. We will also discuss the 1989 amendment to Constitution, which became the reason for the start of the conflict – reason for the start of Kosovo conflict was centralization.

The given article aims to discuss the problems of centralization and decentralization and their influence on the occurrence of conflicts. Thus, we believe it necessary to initially clarify the essence of federation. Many researchers define federation as the decentralized political system with Constitutional governance, the territorial entities of which are engaged in the policy of agreements. The character and scope of separation of powers between center and regions differs from political devolution based on the fact that regional autonomy and origins are at the same time guaranteed Constitutionally. Center does not have the legal right to abolish, correct or repeatedly define its territorial entity. Therefore, regional entities in a federation are local states with their own local state rights. Civil representation is also based solely on regional principle.

According to the 1946 Constitution of the Federation of Yugoslavia, 6 republics were the subjects of federation. By the given Constitution, Kosovo had the status of an autonomous county only. 1963 Constitution raised the status of Kosovo from the country to “autonomous region”. By the new, 1974 Constitution, the status of Kosovo and Vojvodina became equal to the status of federation subjects –republics. They gained the Constitu-

არ იქნებოდნენ ფედერალური კონსტიტუციის ნორმებთან შეუსაბამო; მათ ჰქონდათ უფლება, შეექმნათ საკუთარი ეროვნული ბანკი და უმაღლესი სასამართლო. 1975 წლის 16 იანვარს, სერბეთმა უკვე მოითხოვა კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა და თავისი უფლებების გაზრდა ავტონომიურ წარმონაქმნებთან მიმართებით. 1977 წელს სერბმა სამართალმცოდნეებმა გამოსცეს „ცისფერი წიგნი“, სადაც მოითხოვდნენ უფლებათა ახალ გამიჯვნას, რაც სერბეთის უფლებების გაზრდას გამოიწვევდა. ეს გეგმა ტიტომ ვერ განახორციელა. 1980-იან წლებში სერბები ცდილობდნენ გაეზარდათ თავიანთი უფლებები ავტონომიურ წარმონაქმნებზე. ისინი მოითხოვდნენ ცენტრალიზაციას და სერბეთის გაერთიანებას. კოსოვოელი ალბანელებისთვის კი პირიქით, 1974 წლის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებები საკუთარი დაცვის საუკეთესო გარანტიას წარმოადგენდა. საბოლოოდ, ეს საკითხი 1989 წელს გადაიჭრა, როდესაც 28 მარტს, სერბეთის „სკუპშჩინამ“ ახალი საკონსტიტუციო ცვლილებები დაამტკიცა, რომელთა თანახმადაც კოსოვოს ავტონომიურობა მკვეთრად შემცირდა და მის ხარჯზე ცენტრის პირდაპირი ძალაუფლება გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები მოითხოვდა კოსოვოს ასამბლეის თანხმობას, რაც სერბეთმა წესების სრული დარღვევით მიიღო. შედეგად, სიტუაცია თითქმის უკონტროლო გახდა. დაიწყო შეტაკებები და სტუდენტთა გამოსვლები. ადრინდელი პროცესებისგან ეს პროცესი დიდად განსხვავდებოდა. ამჯერად ლაპარაკი იყო არა უფლებების გაზრდაზე, არამედ სერბეთის შემადგენლობიდან სრულ გასვლაზე.

ისმის კითხვა - რამ გამოიწვია მოთხოვნათა ასეთი ტრანსფორმაცია?

1989 წელს განხორციელებული ცენტრალიზაციის საშუალებით, კოსოვოში წარმოიშვა უკიდურესი ფორმის ნაციონალიზმი. მართალია, მანამდეც არსებობდნენ კოსოვოში ნაციონალისტური ორგანიზაციები, მაგრამ ნაციონალისტური მოთხოვნები აუცილებლად არ ნიშნავს სექსიონისტურ მოთხოვნებს. ამის მაგალითია თუნდაც ბრეტონი, სადაც არის ნაციონალიზმი, მაგრამ არ არის (ან ნაკლებია) სუვერენიტეტის მოთხოვნა. გარდა ამისა, ნაციონალიზმი მოითხოვს ორგანიზაციების არსებობას, რომელთა მიზანია ბრძოლა ეროვნული სუვერენიტეტისთვის და მათ შესწევთ უნარი, წინააღმდეგობა გაუწიონ ცენტრს. მოსახლეობის ფართო მხარდაჭერის გარეშე კი შეუძლებელია მათ ამის უნარი ჰქონდეთ. რაც უნდა ძლიერი იყოს სუვერენიტეტის მოთხოვნა ამ ორგანიზაციების მხრიდან, ნაციონალისტური კოლექტიური ქმედება მაინც არ აღმოცენდება უკვე არსებული სოციალური ჯგუფების გარეშე, რომლებიც შექმნილია იმისთვის, რომ უზრუნველყონ თავიანთი წევრები დაზღვევით, განათლებითა და სხვა სახის კერძო სიკეთით. ახალშობილი ნაციონალისტური ორგანიზაციები ვერ დაარწმუნებენ თავიანთი წევრებს სუვერენიტეტის რეალურ პერსპექტივაში. აქ სკეპტიციზმი უზადაა. კოსოვოში ცენტრალიზაციის ხელახალმა განხორციელებამ ნაციონალისტურ ორგანიზაციებს საშუალება მისცა, მოეწოდებინათ თავიანთი წევრებისთვის, რომ ნებისმიერ ფასად გაერისკათ და დაეცვათ თავიანთი დამოუკიდებლობა, უფლებები და სწრაფვა სუვერენიტეტისკენ. ამ ნაციონალისტურმა ჯგუფებმა მიიზიდეს ადრე ჩამოყალიბებული კოლექტიური გაერთიანებები, რომელთა „მთავარ სიკეთედ“


tional veto right; were able to adopt their own laws and constitution, as long as they did not contradict with the norms of Federal Constitution; they had the right to create their own National Bank and Supreme Court.

On January 16 1975 Serbians requested amendments to Constitution providing for increase of their rights with regard to autonomous entities. In 1977, Serbian lawyers published the Blue Book, in which they requested reconsideration of rights, which would result in the increase of rights of Serbia. The given plan was not realized thanks to Tito. During 1980's Serbians attempted to increase their rights over autonomous entities; they requested centralization and unification of Serbia. Meanwhile, for Kosovo Albanians, the rights granted by the 1974 Constitution were the best guarantees for protection. The given issue was finally decided upon in 1989, when on March 28 the Skupshchina (Assembly) of Serbia approved the new Constitutional amendments, drastically reducing the autonomous rights of Kosovo and increasing the direct governance of the Center. It is noteworthy that such Constitutional amendments requested consent from Kosovo Assembly, which was completely ignored by Serbia. As result, the situation completely got out of control; clashes and student manifestations started. Given protests highly differed from previous protests. This time, it was not about increasing of rights, but about full independence from Serbia. What was the reason for such transformation?

The 1989 centralization caused extreme nationalism in Kosovo. Although, nationalistic organizations existed in Kosovo before that, but nationalistic demands do not necessarily mean secessionist requests. A good example of this is Breton, which is distinguished by nationalism, but there is no (or there is less) demands for sovereignty. Moreover, nationalism requires existence of organizations aimed at fighting for national sovereignty and they have capable to oppose the Center. Still, without the high support from population they will never have such capability. No matter how strong request for sovereignty is from these organizations, the collective nationalistic action will not gain power without already existing social groups, which have been created for insuring their members with insurance, wellbeing and other types of private virtues. Newly created nationalistic organizations will not be able to convince their members in real perspective of sovereignty; level of skepticism is quite high here. Repeated implementation of centralization in Kosovo gave nationalistic organizations opportunity to call on their members for defending independence, rights and sovereignty at any cost. Given nationalistic organizations attracted earlier created collective unions “the main virtue” of which became striving towards nation-

უკვე ნაციონალისტური მიზნებისაკენ სწრაფვა იქცა. ცენტრალურმა ხელისუფლებამ დაიწყო ალბანელების დათხოვნა საჯარო სამსახურებიდან. 1990 წლის 5 ივლისს დაითხოვა კოსოვოს ასამბლეის წევრები.

ახალი კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ, კოსოვოში დაიწყო სამოქალაქო დაუმორჩილებლობა. 22 სექტემბერს ცენტრის მიერ დათხოვნილმა კოსოვოს ასამბლეის ალბანელმა წევრებმა პრიშტინაში „რესპუბლიკა კოსოვოს“ დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. 1991 წლის სექტემბერში ჩაატარეს დამოუკიდებლობის რეფერენდუმი, ხოლო 1992 წელს საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები. რეალურად სწორედ ეს არჩეული ორგანოები გამოხატავენ ამ დროისათვის რეგიონის უმეტესი ნაწილის აზრს. ისინი აიკრძალნენ ცენტრის მიერ, რაც ეთნიკური უმცირესობების ელიტასთან ნებისმიერ კომპრომისს გამოიციხავდა. მომდევნო წლებში ამას მოჰყვა სამწუხარო შედეგი: ძალადობის ფართოდ გავრცელება და ეთნიკური კონფლიქტი. ნაციონალიზმის მკვლევარი მაიკლ ჰეტერი ამის მიზეზად რეპრესიულ რეჟიმს ასახელებს. მისი აზრით, კოლექტიური ქმედების ინსტიტუციური ბარიერები ზემოქმედებას ახდენენ იმ სტრატეგიებზე, რომლებიც ხელმისაწვდომია ნაციონალისტური ჯგუფებისთვის, სადაც ინსტი-



ტუტები ასეთ ჯგუფებს საშუალებას აძლევენ, საკმარისი ხმა ჰქონდეთ და სადაც ნაციონალისტური ჯგუფებისთვის ხელმისაწვდომი სტრატეგიების დიაპაზონი მაქსიმუმს აღწევს. სწორედ ამ მიზეზით, ეროვნული მოთხოვნები კეთდება პარტიებისა და სხვა კანონიერი პოლიტიკური არხების საშუალებით. ამის საპირისპიროდ, ისეთ ინსტიტუციურ გარემოში, რომელიც ზღუდავს ხმის უფლებას რეპრესიის ან უმრავლესობის ტირანიის მეშვეობით, ნაციონალისტური ჯგუფებისთვის შედარებით ნაკლები სტრატეგიაა ხელმისაწვდომი. იმ პირობებში, სადაც პოლიტიკურ პარტიებს თუ ინტერეს-ჯგუფებს გზა მოჭრილი აქვთ პოლიტიკური ისტაბლიშმენტისკენ, მათ რჩებათ ერთადერთი გამოსავალი - ძალადობის სტრატეგიული გამოყენება. ძალადობისკენ სტრატეგიული მოწოდება აიხსნება იმით, რომ ამ გზით ნაციონალისტური ჯგუფები ყურადღებას იქცევენ ფართო საერთაშორისო

alistic goals. Central government did not stop at that and started dismissing Albanians from public services; on July 5 1990 it completely dismissed the members of Kosovo Assembly.

Civil disobedience started in Kosovo after the new Constitution came into force. On September 22, in Pristina, the members of Kosovo Assembly recently dismissed by the Center announced the independence of the Republic of Kosovo. In 1991 they held the independence referendum and in 1992 the parliamentary and presidential elections. Exactly these elected bodies expressed the opinion of the region majority at that time. They were prohibited by the Center, which excluded any compromise to the elite by ethnic minorities. This was followed by unfortunate results during next years: wide spreading of violence and ethnic conflict. Nationalism researcher Michael Hatcher explains this by the existence of the repressive regime. In his opinion, institutional barriers of collective actions influence the strategies available to nationalistic groups. When such institutions allow such groups to have enough voices, the range of strategies available to nationalistic groups reaches its maximum. Exactly due to the aforementioned reason the national demands are announced through political parties and other legal political channels. On the contrary, in the institutional environment that restricts voting rights by means of repressions or tyranny of the majority, relatively fewer strategies are available to nationalistic groups. In the situation where political parties or interest-groups are blocked from political establishment, they remain with only one possibility – strategic use of violence. Strategic call for violence is based on the aim of nationalistic groups to attract attention of wide international community.

In 1989, when the central government introduced central governance in Kosovo, the Kosovo Albanians addressed peaceful methods of protest. The situation changed after the Dayton Agreement was made in 1995. It became apparent that the Kosovans would not achieve any results by peaceful methods. Most humiliating was the circumstance that Krayna Serbs almost gained independence, while Kosovo issue was still being ignored. “It was the horrible, horrible lesson. We learned that violence brings results. This is the only way in this part of the world to achieve what you want and to attract the attention of international community.” The second reason why centralization caused

საზოგადოებაში. 1989 წელს, როდესაც ცენტრალურმა მთავრობამ კოსოვოს მიმართ პირდაპირი მმართველობა დაანება, კოსოვოელმა ალბანელებმა მშვიდობიან საპროტესტო გზებს მიმართეს. მაგრამ სიტუაცია შეიცვალა მას შემდეგ, რაც 1995 წელს დაიდო დეიტონის შეთანხმება. ცხადი გახდა, რომ მშვიდობიანი მეთოდების გამოყენებით კოსოვოელები ვერაფერს მიაღწევდნენ. განსაკუთრებით დამამცირებელი იყო ის, რომ კრანელმა სერებმა თითქმის დამოუკიდებლობა მოიპოვეს, მაშინ როდესაც კოსოვოს საკითხი იგნორირებული რჩებოდა. „ეს იყო საშინელი გაკვეთილი, ჩვენ ვისწავლეთ, რომ ძალადობა ჭრის. ეს არის ერთადერთი გზა მსოფლიოს იმ ნაწილში, რითაც შეგიძლია მიაღწიო იმას, რაც გსურს და მიიპყრო საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება“. მეორე მიზეზი, თუ რატომ გამოიწვია ცენტრალიზაციამ კონფლიქტი, ეკონომიკის სფეროში უნდა ვეძებოთ, უფრო სწორედ, ეთნიკური უმცირესობის ეკონომიკურ-სოციალური საკითხების აღქმებში. თუ პერიფერიული, ეთნიკური უმცირესობა დარწმუნებულია, რომ ის გაძლიერდება შესუსტებული მასპინძლისაგან გამოყოფით, მაშინ სუვერენიტეტის მოთხოვნა უნდა გაიზარდოს. ამ სიტუაციას ხშირად მოჰყვება მრავალეროვანი სახელმწიფოს დანაწევრება. ცენტრალური მთავრობის მიერ მონოპოლიზებული საყოველთაოდ აღიარებული ისეთი ფასეულობების გადანაწილების უსამართლობა, როგორცაა თავდაცვა, ჯანმრთელობა, ეკონომიკური აღმავლობა და საზოგადოებრივი წესრიგი, პირდაპირ კავშირშია სუვერენიტეტის მოთხოვნასთან. მთელი პრობლემა ამ შემთხვევაში ის გახლავთ, რომ ეკონომიკური ჩამორჩენილობის მიზეზად ეთნიკური უმცირესობა საკუთარ ეთნიკურ განსხვავებულობას მიიჩნევს. ადანაშაულებს დომინანტ ერს, რომ ის ეწევა მის ექსპლუატაციას და არ აძლევს განვითარების შესაძლებლობას. კოსოვოში ცენტრალიზაცია დაემთხვა ეკონომიკურ რეცესიას. მანამდე აგრარული კოსოვოს მძიმე ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა მას შემდეგ, რაც მას ცენტრმა შეუწყვიტა სუბსიდები ეკონომიკური რესურსების უკმარისობის გამო. იუგოსლავიაში ყველაზე მეტად განვითარებული ხორვატიისა და სლოვენიის ერთ სულ მოსახლეზე შიდა ეროვნული პროდუქტი დაახლოებით 8-ჯერ აღემატებოდა კოსოვოს მაჩვენებელს. კოსოვოში უმუშევრობა 57 %-მდე აინია. მოსახლეობაში ეს იწვევდა აშკარად მტრულ დამოკიდებულებას ცენტრის მიმართ. სამწუხაროდ, ცენტრი ეთნიკურ სერებთან ასოცირდებოდა.

მესამე მიზეზი კულტურულ განსხვავებებს უკავშირდება.

ცენტრსა და რეგიონს შორის არსებული კულტურული განსხვავება დეცენტრალიზებულ სისტემაში გათვალისწინებულია - პერიფერიას მართავს ადგილობრივი მმართველი. ამიტომაც უკმაყოფილების შემთხვევაში, სწორედ მისკენ მიემართება პროტესტი და არა „ყოვლისმცოდნე და ყველაფერში ჩამრევი ცენტრის“ მიმართ. დიდ ცენტრალიზებულ ერებში კანონმდებელი ვალდებულია, კანონებს ერთგვაროვანი ხასიათი მისცეს, რაც ყოველთვის არ შეესაბამება ზნე-ჩვეულებებსა და რაიონების სხვადასხვაგვარობას. რადგან კანონმდებელი არ იცნობს განსაკუთრებულ შეთხვევებს, მას შეუძლია საქმე აკეთოს მხოლოდ ზოგადი პრინციპების საფუძველზე, ხოლო მოსახლეობა ვალდებულია, დაემორჩილოს კანონების მოთხოვნებს, რადგან კანონმდებელი ვერ შეეწყობა მოსახლეობის საჭიროებებს და ზნე-ჩვეულებებს, რაც მღელვარებისა და უბედურების გამომწვევი მიზეზი ხდება. დამატებით, არ არსებობს იმის

the conflict comes from economic field; to be more precise, in the perceptions of social-economic issues of ethnic minority. If a peripheral, ethnic minority is convinced that it will be empowered by separating from a weakened host, then the demand for sovereignty must also grow. Such situations often cause collapse of multinational states. The injustice in division of such universal values provided by central government as defense, healthcare, economic growth and public order, is in direct connection with the demand for sovereignty. In this case the main problem is the ethnic minority believes their ethnic difference as the reason for economic fallback. They blame the dominant nation in exploiting them and not allowing them to develop. Centralization in Kosovo coincided with economic recession. The already hard situation of agrarian Kosovo was even worsened after the Center cut-off subsidies due to lack of resources. The GDP per citizen in the most developed republics of Yugoslavia, Croatia and Slovenia exceeded the Kosovo figure approximately 8 times. Unemployment increased in Kosovo by 57% in 1989. This, naturally, caused apparent hostile attitude towards the Center. It was unfortunate that the given Center was associated with ethnic Serbians.

The third reason is related to cultural differences. The cultural differences between the center and the region are considered in the decentralized system – periphery is ruled by local authority, so in case of dissatisfaction protest is directed at them and not at the “center knowing everything and interfering with everything.” In big centralized nations a legislator is obliged to adopt uniform laws, which does not always coincide with traditions in different regions. As long as a legislator is not aware of special cases, he is able to work based on general principles, while population is obliged to obey the laws, as legislator cannot act according to all the needs and traditions of population, which finally becomes the reason for disorders and disasters. In addition, there is no reason for peripheral interest-groups to trust central government. How much would I be protected from violence? Will I have the guarantee that despite my difference I will enjoy my constitutionally guaranteed rights? These questions were acute in 1998, when during October 13 meeting, the US representative Richard Holbrooke and Milosevic agreed on peaceful resolution of Kosovo problem; and Milosevic agreed to stop all the military actions. Leaders of the Albanian partisan movement of Kosovo announced distrust to Serbian side. “This is not a solution; it is just the temporary truth, which will give Serbians additional time, while the West is not taking any real steps towards achieving peace”. “If



მიზეზი თუ რატომ უნდა ენდოს პერიფერიული ინტერეს-ჯგუფები ცენტრალურ მთავრობას.

რამდენად ვიქნები დაცული ძალმომრეობისგან?

არსებობს კი იმის გარანტია, რომ ჩემი განსხვავებულობის მიუხედავად მექნება კონსტიტუციურად გარანტირებული უფლებები?

ეს კითხვები აქტუალური იყო 1998 წლის 13 ოქტომბერს, როდესაც აშშ-ს წარმომადგენელი რიჩარდ ჰოლბრუკი და სლობოდან მილოშევიჩი შეთანხმდნენ, რომ კოსოვოს პრობლემა მშვიდობიანი გზებით მოგვარდებოდა. მილოშევიჩი დათანხმდა ყოველგვარი საომარი მოქმედებების შეწყვეტას. კოსოვოს ალბანელი პარტიზანული მოძრაობის ლიდერებმა განაცხადეს, რომ ისინი არ ენდობოდნენ სერბულ მხარეს. „ეს არ არის საკითხის გადაწყვეტა. ეს მხოლოდ დროებით შესვენებაა, რომელიც სერბებს დამატებით დროს მისცემს, მაშინ როდესაც დასავლეთი არაფერს აკეთებს რეალურად მშვიდობისთვის“. „თუკი ომი შეჩერდება ერთი ან ორი წუთით, ის აუცილებლად დაიწყება მოგვიანებით“ - ასეთი განცხადებები ამკარად მიანიშნებდა ურთიერთდობის პრობლემაზე.

ამგვარად, ცენტრალიზაციაში გამოიწვია კოსოვოს კონფლიქტის დაწყება, მაგრამ აქ პრობლემატურია რამდენიმე საკითხი. პირველ რიგში, ისმის კითხვა, თუ კი ცენტრალიზაცია 1989 წელს დასრულდა, რატომ დაიწყო შეიარაღებული კონფლიქტი 1998 წელს და არა მანამდე? საქმე ისაა, რომ არსებობს ნაციონალისტური კონფლიქტის ორგვარი პასუხი ცენტრის მიმართ შემოღებულ ცენტრალიზაციაზე: ამბოხება (შეარაღებული და პირისპირება, ტერორიზმი) და პროტესტი (წინააღმდეგობა სიტყვიერი გამოხატვის და დემონსტრაციების თვალსაზრისით). 1989 წლიდან 1998 წლამდე ადგილი ჰქონდა პროტესტს, რასაც ხელმძღვანელობდა იბრაჰიმ რუგოვა. ეს აუცილებლად გასავლელი ეტაპი იყო. ნაციონალისტურ ორგანიზაციებს სრულად ჩამოსაყალიბებლად დრო ესაჭიროებოდათ. მთავარი კი მაინც ის იყო, რომ კოსოვარები ელოდნენ თავიანთი პრობლემის დასავლეთის დახმარებით გადაწყვეტას და არ ჰქონდათ საჭირო რესურსები ამბოხების დასაწყებად. 1998 წელს ორივე ფაქტორი ერთმანეთს დაემთხვა: დეიტონში საერთოდ არ უხსენებიათ კოსოვოს საკითხი და 1997 წელს კოსოვარებმა ალბენიდან კოსოვოში მასობრივად შეიტანეს იარაღი. რეალურად, კონფლიქტი დაიწყო არა 1998 წელს, არამედ 1989 წელს.

ცენტრალიზებული მმართველობა წარმოშობს ნაციონალიზმის უკიდურეს ფორმას. რეპრესირებული ყველა ადგილობრივი ელიტა ცდილობს მოიპოვოს ხალხის მხარდაჭერა და ნაციონალისტური გრძნობები ხალხის მანიპულირებისთვის გამოიყენოს. ცენტრალიზაციის შემოღება განსაკუთრებით სახიფათოა ეთნიკურად განსხვავებულ რეგიონებში. ამ დროს პროვინციული პრობლემები მთლიანად ცენტრს ბრალდება. მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და კორუფცია ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან მიეწერება მათ განსხვავებულ ეთნიკურობას. შედეგად, ხდება სეცესიონიზმის ზრდა და საკუთარი უფლებების დაცვა სუვერენიტეტის მოპოვების ლოზუნგით.

კონსტიტუციაში 1989 წელს მიღებულმა შესწორებებმა გამოიწვია კოსოვოს კონფლიქტის ფაქტობრივი წარმოქმნა. მანამდე ალბანელთა ნაციონალიზმი მხოლოდ ფართო ავტონომიური უფლებების შენარჩუნებას მოითხოვდა. სერბულ მხარეს. შეეძლო ემოქმედა უფრო რაციონალურად და გამოენახა საერთო ენა კოსოვოელ ალბანელებთან. ირონიულია, რომ სლობოდან მილოშევიჩისა და სხვა სერბი ლიდერების ნაციონალისტურმა მოწოდებებმა და სურვილმა, გადაექციათ სერბეთი ძლიერ, ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ, მიიღო საპირისპირო შედეგი: კოსოვოს კონფლიქტი და სერბეთის დასუსტება. ■

the war suspends for one or two minutes, it will restart later again.” These were the statements made, clearly indicating the problem of mutual distrust. Hence, centralization initiated the start of Kosovo conflict; but there still are several problematic issues to be discussed. First of all, there is a question, if the centralization was implemented in 1989, then why did the armed conflict start in 1998 and not earlier? The case is that there are two responses by nationalistic conflict to implemented centralization: rebellion (armed conflict and terrorism) and protest (protest by means of verbal expression and demonstrations). Protests headed by Ibrahim Rugova took place from 1989 till 1998. It was the stage that should have been gone through. Nationalistic organizations needed time for forming completely. The main reason was that the Kosovars expected resolving of their problems by help from the West and did not have enough resources for starting the rebellion. In 1998, both of those factors coincided: Kosovo issue was not mentioned in Dayton at all and in 1997 the Kosovars massively brought weapons from Albania to Kosovo. In reality, the conflict started not in 1998, but in 1989. Centralized governance gives birth to the extreme form of nationalism. Repressed local elites try to gain public support and to use nationalistic emotions for manipulating with people. Introduction of centralization is especially dangerous in ethnically different regions, as in such circumstances all the provincial problems are blamed on the Center. Grave economic situation and corruption is claimed by local population to be results of their ethnic difference. This, in return results in increase of secessionism and protection of own rights by means of claiming sovereignty.

Constitutional amendments approved in 1989 resulted in the factual occurrence of the Kosovo conflict. Until then, Albanian nationalists demanded only the sustainment of extensive autonomous rights. The given analysis has the significant result. In case of correctness of the thesis represented by me in the given article (that centralization has reasoned the occurrence of the conflict in Kosovo), we can claim that Serbian side could have acted more rationally and could have found common language with Kosovo Albanians. It is ironic that nationalistic calls by Slobodan Milosevic and by other Serbian leaders for turning Serbia into powerful, centralized state, has resulted in the opposite: the conflict in Kosovo and weakening of Serbia. ■



## აფხაზეთმა უნდა ისარგებლოს ბანსაკუთრებული პრივილეგიებით

### ABKHAZIANS MUST ENJOY SPECIAL PRIVILEGIES

„Я из Абхазии“ გავიგონე ვილაციის ნათქვამი. იმ კუსი არ იყოს, ფეხი რომ გამოყო, მეც ისე მოვიქეცი. დავივიწყე ზრდილობა და ჩავხტი სხვის დიალოგში. ყურებამდე გავილიძე და მოვახსენე: „ი ა“. მანაც გამიღიმა. ორივეს შავი ხუჭუჭა თმები გვექონდა და როგორც მინიმუმ ამას ვაზიარებდით. ახლა მან გამოავლინა ინიციატივა და მკითხა: „с какого ты города?“ „из Сухуми“, ვუთხარი მე. ეს პასუხი კი აღარ მოეწონა, მაგრამ ღიმილი შეინარჩუნა და პასუხი შემებრუნა: „из Сухума, да?“ უნდა მეკამათა? მე ღიმილი ვარჩიე. ცხოვრებაში პირველად ვხედავდი „ნამდვილ აფხაზს“ და მასთან უბრალოდ ლაპარაკი მსურდა. რამდენიმე წუთი ვისაუბრეთ. ვერ ვიტყვი, რომ დაძაბულები ვიყავით, თუმცა ისეთი შთაბეჭდილება მქონდა, რომ დიალოგის ნაცვლად პოლილოგი გვექონდა: მე, ის და ჩვენს უკან მდგარი ჩვენი სტერეოტიპები, საზოგადოებები, პოზიციები და პოლიტიკა. მე კი ეგოისტურად მინდოდა მასთან ერთი ერთზე დარჩენა. ალბათ, მასაც.

ყველაფერი 2014 წელს დაიწყო, როცა 10 იღბლიან მონაწილეს შორის აღმოვჩნდი და პროექტის „ახალგაზრდული სამშვიდობო ექსპრესი“ წევრი დამერქვა. ბალკანეთში მივდიოდით, სადაც ცხინვალელი ოსები უნდა გაგვეცნო. ცნობისმოყვარეობა მკლავდა, მაგრამ თან მრცხვენოდა ამის გამჟღავნების. არ მინდოდა ისე გამომსვლოდა, თითქოს ზოოპარკში მივდიოდი, სადაც „უცხო ჯიშის ცხოველები“ უნდა მენახა. ვფიქრობდი, რომ ჩვეულებრივი ადამიანები დამხვდებოდნენ.

სიტუაცია მთლად „ჩვეულებრივი“ ნამდვილად არ აღმოჩნდა. ჯერ იყო და შეხვედრისას ბიჭს ხელი გავუწოდე, მან ვერ დაინახა და დავრჩი ხელგანვდილი. ეს მეტიჩრობაც ზედმეტი ემოციების გამოვლენის დასტური იყო. მერე იყო და 17 დღე ერთმანეთს ვეცნობოდით და როცა აღმოვაჩინეთ რომ კომფორტულად ვიყავით ერთმანეთთან, ჩვენ ავტობუსი გველოდა და მათ თვითმფრინავი.

სახლში დაბრუნება კარგი გრძნობაა. პროექტების დასრულებაზე გული არ მწყდება ხოლმე. გაბრიელ გარსია მარკესის სიბრძნის მიმდევარი ვარ - „არ ვტირი, რადგან დასრულდა. ვილიძე, რადგან იყო“. ამ დროს ცარიელი ღიმილი ვარ და ძალიან გულუხვად ვარიგებ „მოსაწვევ

“I’m from Abkhazia” – I heard this from someone. I immediately forgot the good manners and intruded with others’ conversation. I smiled broadly and announced – “Me too”. She smiled back at me. We both had black curly hair and used to share at least that. Now she took the initiative and asked – “Which city are you from?” “From Sukhumi”, I replied. She did not like that answer, but kept on smiling and questioned back – “From Sukhum, right?” Should I have argued? I preferred to keep on smiling... It was the first time I was seeing “a real Abkhazian” and had the desire to speak with her. We spoke for several minutes; and I wouldn’t say that we were tense, but I had an impression that we had the polylogue instead of dialogue: she, me and all the stereotypes, societies, positions and politics standing behind us. I meanwhile egotistically wanted to be one-on-one with her; she probably did too...

Everything started in 2014 when I appeared among the 10 lucky students and became a member of the Youth Peace Express. We headed for the Balkans; to meet Tskhinvali Ossetians there. I was very curious, but at the same time I was embarrassed to show it. I did not want to give an impression that I was going to the zoo to see “some exotic animals”. I was thinking that I would see ordinary people.

The situation was not “ordinary” at all. At first, I wanted to shake hands with a boy, but he did not see it and I stayed with my hand stretched out. The embarrassing moment was also the confirmation of excessive emotions. Next 17 days we were getting to know each other better and when we realized that we were comfortable with each other, we had to go to our bus and them to their plane...

Being back home is a good feeling. I usually do not regret when projects end. I am Gabriel Garcia Marques’s follower – Don’t cry because it came to an end, smile because it happened. During those moments I am a big smile and generously give out the “invitation cards” for hosting everyone in Georgia. I tell everyone that my family loves to receive guests and that our door is always open for them. But, what could have I said then? Realism overwhelmed optimism and the farewell was quite strange. I smiled grudgingly and regretted most of all that I could not say an honest and confident “goodbye”. It sounded more like “farewell”. My positive character only managed to say – “maybe we will meet again sometime”.

ბარათებს“ საქართველოში მასპინძლობაზე. ყველას ვუყვები ჩემს ოჯახში სტუმრები რომ უყვართ და ყოველთვის ღიაა მათთვის კარი. მაგრამ მაშინ რა უნდა მეთქვა? ოპტიმიზმი რეალიზმმა დაჯაბნა და კი გამოვიდა უცნაური დამშვიდობება. ნაძალადევად ვიღი-მოდი და ყველაზე მეტად გული იმაზე მწყდებოდა, რომ გულწრფელ და თავდაჯერებულ „ნახვამდის“ ვერ ვამბობდი. უფრო „მშვიდობით“ გამომდიოდა. პოზიტიურმა ბუნებამ მხოლოდ იმის თქმა მოახერხა „იქნებ სადმე გადაიკვეთოს ჩვენი გზები“.

სიტუაციის განეიტრალება მხოლოდ ორგანიზატორებისადმი მიმართული ფრაზით შეეძელით: „კიდევ გააკეთეთ რა ასეთი პროექტი!“ მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, თუ რაზე ვკამათობდით მთელი მოგზაურობა. ერთში ყოველთვის ემთხვეოდა ჩვენი აზრი „მსგავსი პროექტები სასიცოცხლოა ურთიერთობების აღსადგენად. ჩვენ ერთმანეთის გაცნობა გვინდა!“

პათოსი და გაიდილიზება არ მიყვარს. არც იმას ვამბობ, რომ ცა და დედამიწასავით განვსხვავდებით. არც ჩვენს ძმობას და ერთობას ვქადაგებ. უბრალოდ, მინდა ჩვენზე იყოს დამოკიდებული - ვიმეგობრებთ თუ არა. მინდა შემეძლოს პირისპირ კამათი იმაზე, რომ გერმანული საფეხბურთო კლუბები ჯობია ბარსელონას, მინდა ხაბიზგინები ვჭამო ოსურ ქორწილში, მინდა გავჯავრო ოსური აქცენტი რუსულში და მათგანაც მზად ვარ მივიღო ქილიკი. მოკლედ, არაფერი განსაკუთრებული, არაფერი მაღალფარდოვანი, არაფერი არისტოკრატიული, უბრალოდ ადამიანური, გულიანი, უშუალო, გულწრფელი ურთიერთობები მწყურია. ■

We managed to neutralize the situation with the phrase we told the organizers: “Please, make such a project again!” It did not matter what we argued about during the whole journey; our opinion was the same on one thing – “Such projects are vitally important for the resumption of relations. We want to get to know each other!”

I do not like the pathos and idealizations. I neither say that we are



as different as the sky and the earth or preach our brotherhood and unity. I just want it to depend on us – to be friends or not. I want to be able to directly argue with them that German football clubs are better than Barcelona; I want to taste the “khabidzgins” at Ossetian wedding; I want to make parodies of Ossetian accent in Russian and I am ready to hear how they jester about me. Anyway, I don’t want anything special, grandiloquent or aristocratic; I am just craving for ordinary human, honest, open relations. ■

## მამუკა ცუხიშვილი, ფილოლოგიის დოქტორი პЕРЕВИ

## Mamuka Tsukhishvili, PhD in Philology PEREVI

პერევი საჩხერის მუნიციპალიტეტში, ჭალის თემში შემავალი სოფელია, რომელიც ესაზღვრება აჭარის რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ ჯავის მუნიციპალიტეტს. გაშენებულია ზღვის დონიდან 760 მეტრ სიმაღლეზე, მდინარე ყვირილას ზემონელში. საჩხერიდან მდებარეობს 20 კილომეტრზე. „მაღალმთიანი რეგონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მაღალმთიან დასახლებად ითვლება ის დასახლება, რომელიც ზღვის დონიდან 1 500 მეტრ სიმაღლეზე ან მის ზევით მდებარეობს. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია, სხვადასხვა კრიტერიუმის (მთის ფერდობის დახრილობა, ინფრასტრუქტურის მდგომარეობა, კლიმატური პირობები და ბუნებრივი გარემო, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სიმცირე და სიმწირე, დემოგრაფიული მდგომარეობა, მათ შორის, გამწვავებული მიგრაციული პროცესები) გათვალისწინებით, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიანიჭოს დასახლებას, რო-

Perevi is a village located in Chala community, which borders the Java Municipality, currently under occupation of Russian Federation. The village is located at 760 meters over the sea level, in the upper area of Kvirila River. The village is located in 20 kilometers from Sachkhere. According to the Georgian Law on Highland Regions, status of highland settlement is given to a village located at 1,500 meters over the sea level or higher. Based on consideration of different criteria (mountain slope inclination, condition of infrastructure, climatic and natural environment, lack of agricultural lands, demographic situation, including acute migration processes) Georgian government has the authority to grant the status of highland settlement to a settlement which is located at minimum 800 meters over the sea



მელიც ზღვის დონიდან არანაკლებ 800 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. გამონაკლის შემთხვევაში, ამ პუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი შეიძლება ზღვის დონიდან 800 მეტრის სიმაღლეზე ქვევით მდებარე დასახლებასაც მიენიჭოს, რამაც განაპირობა პერევისთვის მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მინიჭება, რაც ყველა თვალსაზრისით უდავოდ მნიშვნელოვანია აქ მცხოვრები მოსახლეობისათვის, რომელთა რიცხვი 2002 წლის აღწერით შეადგენდა 632 ადამიანს. აქ 2014 წლის მონაცემებით ცხოვრობს 847 ადამიანი.

სოფელში ფუნქციონირებს პერევის საჯარო სკოლა, რომელიც დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად ასრულებს.

1991 წლამდე ჯავის რაიონში შემავალი სოფლები - თედელეთი, სინაგური, ტბეთი, ქვემო ქარძმანი, ზემო ქარძმანი, ხახიეთი და ჯალაბეთი მჭიდროდ და განუყოფელად იყო დაკავშირებული საჩხერესთან როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად და ტრადიციულად, რადგან ამ სოფლებში დღემდე შერწყმულია ქართველებისა და ოსების შერეული ოჯახები.

2008 წლის აგვისტოს ომამდე საჩხერლების გარდა ამ სოფლის სახელი თითქმის არავინ იცოდა, ქართველი და ოსი მოსახლეობა გვერდი-გვერდ მშვიდობიანად ცხოვრობდა. მიუხედავად სახელმწიფოში არსებული სირთულეებისა, პერევი მნიშვნელოვან ინციდენტებს 2008 წლის 8 აგვისტომდე ადგილი არ ჰქონია.

2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების თანახმად, სოფელი პერევიდან საოკუპაციო ჯარებს უკან უნდა დაეხიათ, თუმცა 2010 წლის ოქტომბრამდე სოფელი კვლავ საოკუპაციო რეჟიმის უღელქვეშ ცხოვრობდა. იქ ვერც ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლები შედიოდნენ. მაგრამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ჩარევის შემდეგ, საოკუპაციო ჯარები გავიდნენ, რასაც საინფორმაციო საშუალებებმა “ქართული დიპლომატიის მცირე გამარჯვება” უწოდეს. სამწუხაროდ, პრეზიდენტ სააკაშვილის არაპოლიტიკორექტული განცხადების შემდეგ, რუსეთმა რამდენიმე ხანში თავისი ე. წ. „სამშვიდობო კონტიგენტი“ დააბრუნა სანყის პოზიციებზე.

level. In exceptional cases highland status can also be granted to a settlement located lower than 800 meters over the sea level, based on which Perevi did receive the status of highland village, which is of great importance for local population in all terms, the number of which was 632 persons in 2002 and in 2014 it was - 847.

Public school of Perevi faithfully performs its duties.

Until 1991, Java region villages – Tedeleti, Sinaguri, Tbeti, Kvemo Kardzmani, Zemo Kardzmani, Khakhieti and Jalabeti were tightly connected politically, economically and traditionally with Sachkhere, as there were many mixed families of Georgians and Ossetians in those villages.

Almost nobody knew about this village before the August 2008 war and Georgian and Ossetian population lived side-by-side in peace. No serious incidents have taken place in Perevi before August 8 2008, despite all the complications present in the country.

Russian occupation forces were to move back from Perevi village as per the ceasefire agreement of August 12 2008, but the village lived under the occupation regime till October 2010. EUMM representatives were not able to enter the village either. After the interference by the Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II, the occupation forces left the village, which was reported by media as “the minor victory of Georgian diplomacy.” Unfortunately, after the politically incorrect statements made by the then President Saakashvili, Russia again returned the so called “peacekeeping contingent” to the initial positions after certain period of time.

I have personally visited Sinagura village at the ancient Georgian land twice, when I went to funerals of my friends. First I went there at the end of 2008 and the second time in March 2016. Despite the fact that the fire of war was still raging in October 2008, up to twenty Georgians and I crossed the “border” in vehicles without any problem. As for this year’s visit; thanks to the help from an influential Ossetian relative of the deceased, we were able to go the funeral of that friend of us. First we went through the Georgian border-outpost, with the table made out of used tires and in 100 meters there was the Russian checkpoint; the relatively comfortable train carriage and some “polite” soldiers.

We walked from Perevi to Sinagura. On the way

ახლობლების დაკრძალვის გამო პირადად ორჯერ გახლდით ძირძველ ქართულ მიწაზე, სოფელ სინაგურზე. პირველად 2008 წლის ბოლოს, ხოლო მეორედ 2016 წლის მარტში. მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის ოქტომბერში კვლავ მძინვარებდა ომის ქარცეცხლი, რამდენიმე მსუბუქი ავტომანქანით ოცამდე ქართველი თითქმის უპრობლემოდ გადავედით „საზღვარზე“. რაც შეეხება წლებიდან ვიზიტს. განსვენებულის გავლენიანი ოსი ეროვნების ნათესავის წყალობით, ჩვენი ახლობლის დაკრძალვაზე წავედით. ჯერ იყო საქართველოს სასაზღვრო საგუშაგო, სადაც მოქალაქეთა შემონმება მიმდინარეობდა ღია ცის ქვეშ, საბურავებით დამზადებულ სახელდახელო მაგიდასთან, ხოლო 100 მეტრში იდგა რუსების პოსტი, შედარებით კეთილმოწყობილი ვაგონი და „თავაზიანი“ ჯარისკაცები.

პერევიდან სინაგურამდე ფეხით ვიარეთ. რამდენიმე მიტოვებული და 2 ჭერდაქცეული სახლი ვნახეთ. რუსეთის მთავრობას ოსი ოჯახებისთვის ლამაზი ფინური სახლები ჩაუდგამს ეზოებში.

რომ არა საოკუპაციო რეჟიმი, რომ არა რუსეთის პოლიტიკური ზეწოლა და სამხედრო ინტერვენცია, ქართველებსა და ოსებს გასაყოფი არაფერი ექნებოდათ. ათეული წლებია ერთად შრომობენ, ოფლს ღვრიან, შერეულ ოჯახებს ქმნიან, თაობებს ზრდიან.

დღეს კი, მონატრებულ ახლობლებს სიყვარულით კითხულობენ;

ახსენებენ წარსულს და ტკივილიან თანამედროვეობას.

პოლიტიკაზე არავინ საუბრობს.

ერთი იმედი ამოდრავებს ყველას - ჩვენ აუცილებლად ისევ ერთად ვიქნებით.

ეს გარდაუვალია.

დღეს პერევი შედარებითი სიმშვიდეა, რომლის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს 2014 წლის სექტემბერში ამ „საზღვრისპირა“ სოფელში ჩატარებული ნაციონალური სამზარეულოს ფესტივალი. ღონისძიებაზე ყველა კუთხისთვის დამახასიათებელი კერძები წარმოადგინეს. ფესტივალში ასევე მონაწილეობდნენ შემოქმედებითი კოლექტივები, გაიმართა სხვადასხვა სანახაობა.

ამბობენ „იმედი ბოლოს კვდება“-ო.

პერევისა და სინაგურზე ხალხი იმედით ცოცხლობს.

ჩვენ გვწამს, რომ სახალხო დიპლომატია და სახელმწიფო პოლიტიკა საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით, ერთ დღეს საბოლოოდ დაამარცხებს ორ ერს შორის არსებულ გაუცხოებას და საქართველოში აღარასოდეს იქნება არაბუნებრივი საგუშაგოები, რომელსაც ოკუპანტი გააკონტროლებს.

P.S. მასალა მზად იყო, როდესაც დამიკავშირდნენ ვლადიკავკაზში მცხოვრები სინაგურელი ოსები და მოხოვეს, 7-8 ივნისს ხერხემლის პათოლოგიის მქონე ქალბატონი ცნობილ ნევროლოგთან და ნეიროქირურგთან მივიყვანო. ასე ხდება წელიწადში 5-6 ჯერ. ეს არის მინიმუმ სახალხო დიპლომატიის ერთ-ერთი უნიკალური გამოვლინება, ანუ ნდობა ქართველი ექიმებისადმი, ნდობა თბილისისადმი, რამაც უნდა მოუშვადოს მყარი ნიადაგი ქართველი და ოსი ხალხის კვლავ შეერთებას ერთიან, ძლიერ, უკეთესი პერსპექტივის მქონე საქართველოში. ■

we saw several abandoned and two ruined houses. Russian government has constructed beautiful Finnish-type houses in those yards for Ossetian families.

If it was not for the occupational regime, Russian political oppression and military intervention, Georgians and Ossetians would have nothing to fight about. They have been working together, creating mixed families and raising future generations together for many decades.

Today, they greet all the missed friends with love;

They recall the past and the painful present;

Nobody speaks about politics;

Everyone is driven by one hope – we will be all means be together again;

This is inevitable.

Situation in Perevi is relatively calm now, which is confirmed by the national cuisine festival organized in the given “borderland” village in September 2014. National dishes from all the regions of Georgia were represented at the Festival. Different creative groups also took part in the Festival and different cultural events were held.

“Hope dies the last” – they say...

People of Perevi and Sinagura live with hope.

We deeply believe that public diplomacy and the state policy by participation of international organizations will finally defeat the estrangement created between the two nations and Georgia will never again have the unnatural outposts controlled by occupant forces.

P.S. This article was ready when Sinagura Ossetians currently living in Vladikavkaz contacted me and asked me to accompany a woman with spine pathology to a renowned neurologist and neurosurgeon. This happens 5-6 times a year. This is at least the unique expression of public diplomacy, i.e. confidence in Georgian doctors, confidence in Tbilisi, which is to prepare the solid grounds for the reconciliation of Georgian and Ossetian peoples in the unified, powerful and Georgia with better perspectives. ■



სალომე ხვადაგიანი, კულტურის კვლევების დოქტორანტი  
რატომ არის რუსეთი ცუდი მეზობელი  
ანუ ჩრდილოეთ კავკასიის ფაქტორი რუსეთის  
სამხრეთკავკასიურ პოლიტიკაში

Salome Khvadagiani, PhD student in cultural studies  
WHY RUSSIA IS A BAD NEIGHBOR  
OR THE NORTH CAUCASUS FACTOR IN  
RUSSIA'S POLICY IN THE SOUTH CAUCASUS

რუსეთი ცუდი მეზობელია. ჩვენ, ქართველებმა, ეს ვიცით. სომხებმაც იციან. მაგრამ რა ვქნათო, მხრებს იჩეჩენ, აზერბაიჯანი კიდევ უფრო ცუდი მეზობელიაო. საქართველოს უფრო ცუდი მეზობელი არ ჰყავს. ალბათ უფრო საბედნიეროდ. რა თქმა უნდა, არ ვთვლი მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც სოროსისგან ქართველობის წართმევას, დასავლეთისგან სექსუალური ორიენტაციის შეცვლას, თურქეთისგან კი რწმენის დაკარგვას ელის. ყველა სხვა დანარჩენისთვის ახალგაზრდა კაცის მკვლელობა საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე რუსი ჯარისკაცის მიერ რუსეთის ბრალია და არა დასავლეთის.

მას შემდეგ, რაც გავარკვეეთ, რომ რუსეთი ცუდი მეზობელია, ახლა გვრჩება უფრო მნიშვნელოვანი კითხვა - რატომ არის რუსეთი ცუდი მეზობელი?

პასუხი ბევრნაირია. გაბრაზებულ გულზე დანერვილ მრავალ მოსაზრებას შეხვდებით. რომ გავაერთიანოთ და თან ცენზურაც დავიცვათ, დავარქვათ რუსეთის გრინჩული ხასიათი. ანუ რუსეთს უბრალოდ არ შეუძლია აიგანოს მეზობელი ქვეყნის წარმატება და მიდრეკილია პერიოდულად ჩაიდინოს ბოროტი საქმეები. საკმარისია ევროპისკენ უფრო ქმედითი ნაბიჯები გადავდგათ, რუსეთი მავნებლობს სამეზობლოში. ამ მოსაზრების მომხრეებმა შეგიძლიათ კითხვა აღარ განაგრძოთ. იმ რამდენიმე კაცისთვის, ვისაც რუსეთი მტერი ჰგონია, მაგრამ მთლად გრინჩობის ახსნაც არ აკმაყოფილებს, განვაგრძობ.

ჩრდილოეთ კავკასიის ფაქტორი გავლენას ახდენს რუსეთის მავნებლობაზე სამხრეთ კავკასიაში. როგორ?

პირველი - რუსი საზოგადოების დამოკიდებულება ზოგადად კავკასიის მიმართ.

მიუხედავად ბევრი მტკიცებისა, რომ გადანყვეტილებების მიღებაში ხალხი არ არის ჩართული, უმრავლესობის დამოკიდებულებას ანგარიში ყოველთვის ეწევა, მათ შორის რუსული დემოკრატიის პირობებშიც. რუსეთში კი მოსახლეობის უმრავლესობის დამოკიდებულება კავკასიის მიმართ მკვეთრად უარყოფითია. ჩრდილოეთ კავკასია ასოცირდება ომთან, ტერორიზმთან, არეულობასა და დეზინტეგრაციის საფრთხესთან.

სამხრეთ კავკასიას კი ამ საფრთხის პოტენციურ ხელშემწყობად განიხილავენ.



Russia is a bad neighbor. We, Georgians know it. Armenians know it too; but they shrug their shoulders saying what they can do as Azerbaijan is even the worse neighbor for them. Georgia does not have a worse neighbor; which is probably fortunate too. Of course, I do not mean the part of population that expects taking away of Georgian identity by Soros, change of sexual orientation from the West and losing of faith from Turkey. For everyone else, murder of a young man by the Russian soldier, at the Georgia-controlled territory is the responsibility of Russia and not the West.

Since we have cleared that Russia is the bad neighbor, now we have to answer another, more important question – Why is Russia the bad neighbor?

The answers may vary. One can read many different opinions written with an angry heart. If we summarize those and act according to censorship, we can call it the Grinch-like character of Russia. This means that Russia just cannot put up with the success of a neighboring country and is inclined to commit evil deeds periodically. The moment we take more effective steps towards Europe, Russia's harmfulness in the neighborhood activates too. Those who support the aforementioned opinion can stop reading here; but for those several individuals who believe that Russia is an enemy, but are not satisfied with the Grinch-like character explanation, I will continue.

The North Caucasus factor influences Russia's harmfulness in the South Caucasus. How?

First – Russian public attitude towards the Caucasus in general. Despite many claims, people are not involved in the decision making process, the attitude of the majority of population is always considered, even in the Russian democratic conditions. Meanwhile, the

ლევადა ცენტრის მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ მოსახლეობის მხოლოდ 2% გრძნობს თავს უსაფრთხოდ ჩრდილოეთ კავკასიასთან მიმართებაში. ეს იმას ნიშნავს, რომ მშვიდობიანი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა შიშით ადევნებს თვალს ვითარებას. და რა შეუძლია გამოიწვიოს ამ შიშმა? ბერტრანდ რასელი (Bertrand Russell) ერთგან წერდა, კოლექტიური შიში აყალიბებს ბრბოს ინსტიქტს, რომელიც მიდრეკილია ძალადობრივად მოექცეს ყველას, ვინც მისი წევრი არ არის, და რუსეთშიც ასე განვითარდა მოვლენები, მომრავლდა მოფაშისტო დაჯგუფებები, კავკასიელებზე თავდასხმები და ა.შ. ყველა ქმედება, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში წესრიგის დამყარებას ემსახურება ან იფუთება ამ უკანასკნელზე აპელირებით, მათ შორის სამხრეთ კავკასიის მიმართ ექსპანსიონისტური პოლიტიკა, სრული მხარდაჭერით სარგებლობს ამომრჩეველში. ისევ და ისევ რასელის კოლექტიური შიშიდან გამომდინარე.

attitude of Russian population towards the Caucasus is clearly negative. The North Caucasus is associated for them with war, terrorism, disorder and disintegration threats. The South Caucasus is considered to be the potential supporter of those threats.

Research conducted by Levada-Center has shown that only 2% of Russian population feels themselves secure in relation to the North Caucasus. This means that absolute majority of the peaceful population observes the situation with fear. What can this fear result in? Bertrand Russell has written that the collective fear develops the crowd instinct, which is inclined to be violent towards everyone who is not its members; events have been developing in Russia the same way; number of Fascist groups and attacks on Caucasians has increased.



ჩემი მიზანი არ არის სამხრეთ კავკასიიდან მომავალი საფრთხის რეალობა-უტოპიურობის კვლევა. მთავარი, რაზეც მინდა ყურადღება გავამახვილო ის არის, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში არასტაბილურობის საფრთხე ჩრდილივით ადგება სამხრეთ კავკასიასთან შედარებით კონსტრუქციული ქცევის სურვილს. მოსახლეობისა და პოლიტიკური სპექტრის დიდ ნაწილს გულწრფელად სჯერა სამხრეთ კავკასიისა და განსაკუთრებით საქართველოს დესტრუქციული როლის რუსეთის ფედერაციის სამხრეთ ნაწილში. ეს უკვე აღარ არის უბრალოდ უკანა ეზოში არეულობა, ხაზი ესმება დესტაბილიზაციას თვითონ სახლის

All the actions aimed at keeping order in the North Caucasus or represented as such, including the expansionist policy in the South Caucasus, are fully supported by the voters. Yet again, it is the result of Russell's collective fear.

Our aim is not to study the reality-utopianism of the threats coming from the South Caucasus. I would like to focus attention on the fact that the threat of instability from the North Caucasus casts the shadow on the desire

შიგნით.

ამდენად, შიგნით არსებული სეპარატისტების დასაშოშმინებლად მოსკოვი აქტიურ პოლიტიკას ახორციელებს ფარგლებს გარეთ. რაც უფრო მწარედ აისახება სამხრეთ კავკასიის ურჩ ქვეყანაზე მოქმეული თათი, მით კარგი მაგალითი იქნება ეს ფედერაციის შიგნით დამოუკიდებლობაზე მეოცნებე სეპარატისტებისთვის.

მეორე - რუსეთის თვითაღქმა, როგორც a besieged fortress surrounded by enemies. რუსი საზოგადოება საკუთარ თავს და სახელმწიფოს აღიქვამს, როგორც ალყაშიმორტყმულ ციხესიმაგრეს და მისი გადარჩენისთვის აუცილებელია საზღვრებთან მაქსიმალურად დიდ ტერიტორიაზე ბუფერული სივრცის ან რუსეთის მეგობარი ანუ რუსეთზე დამოკიდებული (მეგობრობა ასე ესმით) სატელიტი სახელმწიფოების არსებობა. ანუ რუსეთის საზღვართან ასე ახლოს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის გატარება დაუშვებელია. თავდაცვითი რეალიზმი ყურადღებას ამახვილებს უსაფრთხოებისა და გადარჩენის იმპერატივებზე. ამ პარადიგმის მომხრეები რუსეთის საგარეო პოლიტიკას კავკასიაში განიხილავენ უსაფრთხოებიდან გამომდინარე, მაგალითად, როგორც მცდელობას თავიდან აიცილოს ომი საზღვრებთან ან არ მისცეს მტრულად განწყობილ სამხედრო ალიანსს, ნატოს, საქართველოს სატელიტად გამოყენების უფლება.

ჩნდება კითხვა - თუ სამხრეთ კავკასიაში ნატოს შესვლა და რუსეთის საზღვრებთან ამ უკანასკნელის დაახლოება ასეთი დიდი პრობლემაა, რატომ არ განიციდან რუსები ასე მტკივნეულად ნატოსთან აქამდე არსებულ ბალტიისპირეთის ქვეყნებზე გამავალ საზღვრებს? რუსეთის მმართველ ელიტას ამაზე მარტივი პასუხი აქვს - უბრალოდ რუსეთს არ სურს იქ მიუახლოვდეს ნატო, სადაც სახელმწიფო სუს-



ტია, ანუ მისთვის მიუღებელია ფეთქებადსაშიში ჩრდილოეთ კავკასია ნატოს პირისპირ და ამერიკის გავლენის სფეროში აღმოჩნდეს.

და მესამე, წინა ორთან შედარებით ნაკლებად მძლავრი, თუმცა არც ისე ნაკლებად, გავლენას რომ ვერ ახდენდეს - ჩრდილოეთ ოსეთი და ჩერქეზული იდენტობა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იმპერიაში შემავალ ყველა ეთნიკურ ჯგუფს გარკვეული ამბიციები გაუჩნდა დამოუკიდებლო-

of relatively constructive behavior by the South Caucasus. Russian population and major part of the political spectrum honestly believe in the destructive role of the South Caucasus and especially of Georgia in the southern part of Russian Federation. It is not an ordinary disorder in the backyard anymore; destabilization inside the home is being emphasized.

Thus, for subduing the internal separatists, Moscow implements active policy outside of its borders. The harder the paw will hit the rebellious countries of the South Caucasus, the clearer example it will be for the separatists dreaming about independence within the Federation.

Second – Russia’s self-perception as a besieged fortress surrounded by enemies. Russian society perceives itself and the state as a besieged fortress when for survival it is necessary to have the buffer zones or satellite countries, which have Russia’s friends or are dependent on Russia (that’s how they understand friendship) at maximally large territories around the borders. This means, implementation of independent foreign policy so close to Russian borders is inadmissible. Defense realism focuses on the imperatives of security and survival. Supporters of the given paradigm consider Russia’s foreign policy in the Caucasus based on security considerations; for example, as an attempt to avoid war at its borders or not to allow the hostile military alliance NATO to use Georgia as its satellite.

Now comes the question – if NATO extension to the South Caucasus and its closing to Russian borders is such a big problem, then why are not Russians so sensitive to the borders with NATO existing with Baltic countries? Russian governing elite has very simple answer to that – Russia just does not want neighborhood with NATO where the country is weak, i.e. it is unacceptable for Russia to have potentially explosive North Caucasus facing NATO and being under the sphere of influence of the USA.

Third – less powerful than the previous two factors, but not so weak to not have influence – North Ossetia and Cherkess identity.

After the collapse of the Soviet Union, all the ethnic groups that used to be part of the empire gained ambitions to be independent. Cherkess nationalism grew stronger in the Northern Caucasus. Russian ruling forces realized that the

ბასთან დაკავშირებით. ჩრდილოეთ კავკასიაში ჩერქეზული ნაციონალიზმიც იკრებდა ძალებს. რუსეთის მმართველ წრეებში კარგად ხვდებოდნენ, რომ დასუსტებული ფედერაცია ვერ შეძლებდა ჩრდილო კავკასიელთა აგრესიის შეკავებას. ამდენად, მისი მიმართვა აუცილებელი იყო ვინმეს წინააღმდეგ და ამ ვინმედ რუსეთმა გამოიყენა საქართველო. ჩერქეზები მოხალისეებად ეწვეოდნენ აფხაზეთის ომში და იბრძოდნენ „აფხაზი ძმების თავისუფლებისთვის“. ამ მანევრმა შეძლო რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლები დროებით გადავადებულიყო. დღემდე არასტაბილური ჩრდილოეთ კავკასია ძალიან მგრძობიარედ უყურებს რუსეთის საგარეო პოლიტიკას აფხაზეთის მიმართ. სტატუს კვოს შენარჩუნებაზე ორიენტირებული რუსეთი კი ცდილობს ჩერქეზთა გაღიზიანება მაქსიმალურად აირიდოს თავიდან.

რაც შეეხება ჩრდილოეთ ოსეთს, პირველ რიგში, ხაზი უნდა გაესვას მათ ემოციურ დამოკიდებულებას ცხინვალის რეგიონის მიმართ. ჩრდილოეთ ოსეთის მმართველის (2005—2015 წლებში) თეიმურაზ მამსუროვის განცხადებით, სცენარის გაუარესების შემთხვევაში, ის ვერ შეძლებს, შეაკავოს ჩრდილოეთ ოსეთის მოსახლეობა და აუკრძალოს მათ სამხრეთ ოსეთის მკვიდრთა დაცვა. მისი თქმით, არ უნდა მიეცეს დავინწყებას ის ფაქტი, რომ ჩრდილოეთი და სამხრეთი ოსეთი დასახლებულია ერთი ეთნიკური ჯგუფით.

ჩნდება კითხვა: რამდენად აქცევს ყურადღებას რუსეთი ამ განწყობებს ჩრდილოეთ ოსეთში?

ოსები ერთადერთი პრორუსულად განწყობილი, ქრისტიანი ხალხია აგრესიულად განწყობილ ჩრდილოეთ კავკასიაში, ამდენად, რუსეთისთვის მნიშვნელოვანია არ დაკარგოს ამ უკანასკნელთა კეთილგანწყობა. რუსეთის საგარეო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიის მიმართ ხშირად განიცდის ამ ფაქტორიდან მომდინარე წნეხს. ამდენად, დიდი სურვილის არსებობის შემთხვევაშიც, რუსეთს გაუჭირდება რაიმე დათმობაზე წასვლა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ინტერესების საზიანოდ, ჩრდილოეთ ოსეთთან ურთიერთობის გაფუჭების გარეშე.

რა თქმა უნდა, ჩემი მიზანი არ არის მკითხველი დავარწმუნოთითქოს რუსეთს იმპერიული მიზნები არ გააჩნია მეზობლების მიმართ და მისი ექსპანსიონისტური საგარეო პოლიტიკა სამხრეთ კავკასიისადმი მხოლოდ თავდაცვითი რეაქციაა. უბრალოდ, შევეცადე გვერდით გადამედო ე.წ. რუსულ ხასიათზე აპელირება და ყურადღება გამემახვილებინა არსებული ანტაგონიზმის გამომწვევ სხვა ობიექტურ მიზეზებზეც, მათ შორის, ჩრდილოეთ კავკასიასთან დაკავშირებული ტერორიზმისა და დეზინტეგრაციის საფრთხეზე, ჩრდილოეთ ოსეთიდან წამოსულ წნეხსა და ჩერქეზულ იდენტობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. რადგან ფაქტია, საქართველოზე ყურებამდე შეყვარებული კაციც რომ გახდეს რუსეთის პრეზიდენტი, ქართველთათვის სასურველი პოლიტიკის გატარება მასაც გაუჭირდება ზემოთ განხილული ობიექტური მიზეზების გამო. ■

weakened Federation would not be able to resist the aggression of the North Caucasus peoples. Thus, it was necessary to direct that aggression towards someone else and as some else, Russia chose Georgia. The Cherkessians volunteered for the war in Abkhazia and fought “for the freedom of Abkhazian brothers.” The given maneuver made it possible to temporarily postpone the fights against Russia. The still unstable North Caucasus sensitively observes Russian foreign policy in relation to Abkhazia; and Russia, oriented at preserving the status-quo, attempts to maximally avoid irritation of the Cherkessians.

As for North Ossetia, their emotional attitude towards Tskhinvali region must primarily be emphasized. According to the head of North Ossetia (during 2005-2015) Mamsurov, in case of worsening of the scenario he would not be able to restrain the North Ossetian population and to prohibit them to protect South Ossetian population. According to him, it should not be forgotten that the same ethnic group lives in North and South Ossetias.

The following question arises: to what extent does Russia pay attention to such attitudes in North Ossetia?

Ossetians are the only pro-Russian, Christian nation in the aggressive North Caucasus; thus, for Russia it is important not to lose the benevolence of the latter. Russian foreign policy in South Caucasus is often under pressure due to the aforementioned factor. So, even if they wanted it, Russia would have problems with agreeing to any concessions directed against the interests of the so called South Ossetia without worsening relations with North Ossetia.

Certainly, I do not aim to convince the readers that Russia does not have imperial goals in view of its neighbors and that its expansionistic foreign policy towards the South Caucasus is only the defensive reaction. I have just attempted to put aside the appeals to the so called Russian character and to focus on other objective reasons of existing antagonism, including the terrorism and disintegration threats related to the North Caucasus, the pressure coming from North Ossetia and problems related to Cherkessian identity. It is a fact that even if a man deeply in love with Georgia becomes Russian President, he will also have problems with implementing the policy favorable to Georgians, due to all the aforementioned objective reasons. ■

ტამერლან თადტაევი / Tamerlan Tadtaev

შვილი / THE SON

... როცა სროლა დაიწყო, მე და ხრიაკი მდინარე ლიახვის მარცხენა სანაპიროსკენ გავიქეციით. ხრიაკი ჩვენი ავტომატით მოქროდა, მე კი ასხმული ტყვიების ყუთს მოვავრუხუნებდი.

- რა სიცხეა! - თქვა ხრიაკმა, როცა ძველი ხიდი გადავირბინეთ. - მოდი ვიბანავოთ!

- გაგიჟდი?! - ვუპასუხე ქოშინითა და გახშირებული სუნთქვით, - ნახე, რა ჭუჭყიანი წყალია!

გარშემო ტყვიები დაქროდა, უკან კი ჭურვები ფეთქდებოდა. ერთი სული მქონდა საბავშვო ბაღში როდის მოვხვდებოდი, საიდანაც კარგად ჩანდა ქართველების განლაგება.

- ფეხებზე მკიდია! - ყვიროდა დაუოკებელი ხრიაკი. - უკანა გზაზე მაინც ჩავყვინთავ ლიახვში!

უცბად გაჩერდა და ზურგით დადგა ტყისკენ, საიდანაც ისროდნენ. მერე დაიხარა, უკანაღით ვითომ იარაღს ასახიერებდა და მონინალმდგეს ესროდა. მე ყვითელ რვასართულიანს მივუახლოვდი და უკვე იქიდან ვუყურებდი ამ ჯამბაზს. გულწრფელად ვამბობ, მაკანკალებდა, როცა ასე იქცეოდა. აი მისი საფირმო ნომერიც: ხრიაკი ხიდის მოაჯირზე ძვრება, თან ჩვენი ავტომატით! - და მასზე გადის, როგორც აკრობატი. მაგრამ აკრობატს არ ესვრიან, როცა თოკზე გადის; ის არ გადმოვარდება ოცმეტრიანი სიმაღლიდან და არ ჩავარდება მთის გაშმაგებულ მდინარეში; და მას ტაშს უკრავენ მაყურებლები. ამასთანავე ის დაზღვეულია. მაგრამ შენ ხომ არ ხარ აკრობატი, შენი დედა ვატირე! თითქოს ჩემს გაშიშვლებულ ნერვებს აბიჯებ და მეც შენი ერთადერთი მაყურებელი ვარ (რატომღაც არ ჩანან მარცხენა ნაპირის ბიჭები), რომელიც აუცილებლად წამოგარტყამდა თავში, რომ არ ეშინოდეს სამაგიეროს მიღების.

- შენ რითი ხარ დაზღვეული, ხრიაკ?

- საკუთარი სიგიჟით - აი რითი! აი, როგორი მეგობარი შემხვდა: ნებისმიერ წამს შეიძლება მოწყდეს ქვევით თავისი ავტომატით ხელში. შეიძლება ვერ ითმენს, ისე უნდა, რომ თევზების საკვებად იქცეს, მაგრამ იარაღს რატომღა ძირავს?

შვებით ამოვისუნთქე, როცა ხრიაკი მოაჯირიდან ჩამოხტა და მოპირდაპირე ორსართულიან აგურის სახლში შევიდა, გზის იქითა მხარეს. ომამადე ამ შენობის პირველ სართულზე საკომისიო მაღაზია იყო. ხანდახან შევდიოდი ხოლმე და დამტვერილ პალტოებს ვუყურებდი. თუმცა ხანდახან ტყავის ქურთუკებიც მხვდებოდა, მაგრამ არა ჩემი ზომის. არა, ვიტყუები, უბრალოდ ფული არ მქონდა, თორემ აუცილებლად ვიყიდდი ასეთ ახალ ნივთს - უფრო სწორედ, ძველმანს, - და საღამოს მოედანზე მოვიწონებდი თავს. ახლა იქ საბრძოლო მასალების სანყოფია. ხრიაკი სახლიდან გამოვიდა ტყვიების ასხმით.

- ასფალტი დნება, - დამწუხრებულმა შეხედა თავის ბოტასებს და



...When the shooting started Khriak and I ran to the left bank of Liakhvi River. Khriaki was running with our machinegun and I was rattling the box with bullets.

- It's so hot! - Khriak said after we ran over an old bridge. - Come on, let's have a swim!

- Are you out of your mind?! - I replied in shortness of breath. - Look at that dirty water!

Bullets were blowing around us and shells kept exploding behind us. I couldn't wait to get to the kindergarten, as there was a good view of Georgian positions from there...

- I don't give a damn! - Khriak shouted. - I will dive into Liakhvi on our way back anyway!

Suddenly he stopped and turned his back to the forest from which they were shooting at us. He bent over and pretended to be shooting at the enemy with his bottom. I neared the yellow eight-floor apartment house and looked at that clown from there. Honestly, I always shivered when he used to act like that. There comes his special show: Khriak climbs up the bridge railings while holding our machinegun! - he goes along the railings like an acrobat; but acrobats are not being shot at when they walk on a rope; they will not fall off from 20-meter height and will not fall into the roaring mountain river; end at the end they get applauses. Adding to that, they are insured. But you are no acrobat you son of a gun! It's like you are stepping on my bare nerves while I'm your only spectator. Somehow, there are no boys from the left bank; they would by all means slap you in a face if they weren't afraid of the payback. What is your insurance Khriak? Your own madness - that's what it is! This is the kind of friend I have made: at any second he can fall down with our machinegun in his hand. Yes, maybe he is impatient to become fish food, but why is he sacrificing our weapon?!

Finally I sighed in relief; Khriak jumped down from the railings and went into the two-floor brick house,

თქვა. - არა, ნახე, როგორ იძირება ფეხები?

სამხედრო კომისარიატის ნახევარი ვერხვებში იძირებოდა, რომლის მწვერვალებიც ქარის ნებისმიერ შეხებაზე ირხეოდნენ. პარკში შევედით, სული რომ მოგვეთქვა უკანასკნელი მარშის წინ.

- ბიჭები სად არიან? - სად დაიმაღლნენ? იკითხა ხრიაკმა.

ტყვიების ასხმა მიწაზე დაყარა და მასზე დაჯდა. ავტომატი მოხრილ მუხლებზე დაიდო.

- ალბათ დაკრძალვაზე, - გავიფიქრე. მოვისაკლისეთ გუმინ, -იმ ბრძოლის შემდეგ.

- „რუსსაგ უთ ლაპპუთა“ (ნათელში იყავით, ბიჭებო), - სევდიანად თქვა ხრიაკმა. - გახსოვს, ბოლოები გამოვედით და ჯერ არ ვიცოდით დანაკარგის შესახებ?..

მის ყბელობას არ ვუსმენდი. ბრძოლის წინ ყოველთვის მოფსმის სურვილი მიჩნდებოდა, მაგრამ არ ვჩქარობდი და ჩემს გულისცემას ვუსმენდი. უცბად გარშემო ფერები უფრო მკვეთრი გახდა, ჩრდილები - უფრო მუქი. შემდეგ კი ეს ყველაფერი ერთ ყავისფერ გორგოლაჭში აიბლანდა, საიდანაც გამოჩნერილი იყო რამდენიმე ფეხი დახეულ ბოტასებში. ფეხები ჩიჩოტკას ცეკვავდნენ, ბურთი კი ჩემს გარშემო დახტოდა. ირგვლივ სურნელი იდგა ბალახის, წვიმის შემდეგ ჯერ კიდევ არ გამშრალი მიწის, ვერხვების, რომლებიც ბურტყლებს ყრიდნენ, და ეს ყველაფერი ნესტოებში მიძვრებოდა; თითქოს თავად ბუნება ცდილობდა, რომ ცხოვრების სურნელი შემეგრძნო, ალბათ სავარაუდო სიკვდილის წინ. მაძა-



on the other side of the road. Before the war that was the consignment shop on the first floor of that building. I used to go in there from time to time to look through dusty coats. Sometimes I could even find leather jackets, but not my size. No, I'm lying; I just never had enough money, or I would buy such new, no used, jacket for sure and would show off on the square in the evening. Now there's the ammo storage in that building. Khriak came out of the house with a pack of bullets.

- Asphalt is melting – Khriak sadly looked at his sneakers and added – See how my feet are going into it?

Half of the military commissariat was in poplar trees, the tops of which fluctuated at every blow of wing. We entered the park to catch a breath before the final march.

- Where are the guys? – Khriak asked – Where have they hidden?

He dropped the pack of bullets on the ground and set on it. He put the machinegun on his knees.

- Probably on the funeral – I guessed – We've lost many during yesterday TEK battle.

- Rukhsag ut lapputa (rest in peace boys) – Khriak said sadly. – Remember we were the last ones to come out and didn't even know how many we have lost...

I didn't listen to his chatter. I always wanted to pee before every battle, but I didn't haste and listened to my own heartbeat. Suddenly all the colors around sharpened and shadows became darker; after everything turned into the brown whirlpool, with several feet in torn sneakers sticking out of it. The feet tap danced. There was the scent of grass, of the ground drying after rain, the poplar trees. It was like the nature itself tried to make me feel the scent of life; probably before my death. I was shivering like in fever. All my senses intensified sharply.

We must leave! – I was thinking – Or I will go crazy! I looked at Khriak, who went on chattering...

- Shut up! – I shouted – Let's go!

- Screw you! – Khriak smiled and got up.

I almost went deaf from the sound of gunshots; I think Khriak was wounded and even got contusion, as I heard the sound of the shell and he didn't.

- Khriak lay down, it's a shell! – I shouted at him and dropped down in a pond of water. I didn't hear the sound of explosion, but felt how somebody laid over my back.

გძაგებდა, როგორც ციებ-ცხელების დროს. ჩემი მგრძნობელობა საშინლად გამძაფრდა.

„უნდა ნავიდეთ! - ვფიქრობდი მე. - ჰო, თორემ გავვიყვებო!“ ხრიაკს შევხედე, რომელიც ჯერ კიდევ რალაცას ლაპარაკობდა...

- მოკეტე! - დავუყვირე. - ნავედით!

- ნადი შენი! - გაელიმა ხრიაკს და წამოდგა.

ლამის დავყრუვდი სროლის ხმისგან, ხრიაკი მგონი დაიჭრა და თან კანტუზიაც მიიღო, რადგან მე გავიგე ნალმის სტვენა, მან კი ვერა.

- ხრიაკ, დანექი, ნალმია! - დავუყვირე და გავნექი გუბეში. აფეთქების ხმა ვერ გავიგე, მაგრამ ვიგრძენი, თუ როგორ დამანვა ვიღაც ზურგზე.

- It was me whistling – I heard Khriak say – You know why women run away from you? Because you keep slouching; but I’ll correct that now.

He went on jumping on my back for some time and asking how I was feeling.

It was a payback. I did the same to him once; but at that moment he was doing pushups...

We heard the whistling sound once more when we closed the school, which was all in ruins.

- This isn’t funny anymore – I said – I never laugh at the same joke twice...



- მე ვუსტვენდი, - ხრიაკის ხმა მესმის, - იცი, ქალები რატომ გარბიან შენგან? იმიტომ, რომ მოკუზული ხარ. მაგრამ ახლა გაგასწორებ.

ცოტა ხანი დახტოდა ჩემს ზურგზე და მეკითხებოდა, როგორ ვგრძნობდი თავს.

სამაგიერო გადამიხადა. ადრე მეც იგივე გავუკეთე, თუმცა მაშინ ის აზიდებდაც აკეთებდა.

სტვენის ხმა კიდევ ერთხელ გავიგეთ კრივის სკოლასთან მიახლოებისას, რომლისგანაც მხოლოდ კედლები იყო დარჩენილი.

- ეს უკვე სისულელეა, - ვთქვი მე. - ერთ ზუმრობაზე ორჯერ არ იცინიან.

აფეთქებისგან სადღაც გადავვარდი და ზედ მიწაც დამეყარა.

ხრიაკმა ზურგზე მომიკიდა და ასე მიმათრია საავადმყოფომდე. თითქოს გაგიჟდა. ცემდა ექიმებს და მედლებს, როცა ისინი ცდი-

The explosion threw me away.

Khriak put me over his shoulder and dragged me to the hospital like that. It was like he totally went crazy. He was beating doctors and nurses when they tried to explain something to him. He kept running up to the surgical table, convincing me that there was nothing to worry about as one of the best surgeons would be there soon. “The best surgeon” came and Khriak pointed the gun to his head, because of which he cut my stomach with shivering hand. The doctor did not mess with my intestines for lone. The moment Khriak left the room and the doctor ran away, leaving my stomach cut open.

After some time they took me home. Mother was rebuking me: - I knew you would finish like this, son. People, look what they have done to him! You have

ლობდნენ, რამე აეხსნათ მისთვის. ყოველ წუთს მორბოდა საოპერაციო მაგიდასთან და მარწმუნებდა, რომ სანერვიულო არაფერი იყო, რადგან მალე ჩემთან საუკეთესო ქირურგი მოვიდოდა. „საუკეთესო ქირურგი“ მოვიდა და ხრიაკმა იარაღი შუბლზე მიადო, რის გამოც მან აკანკალებული ხელით გამიჭრა მუცელი. ექიმი არც ისე დიდხანს იქეჭებოდა ჩემს ნაწლავებში. საკმარისი იყო ხრიაკი გასულიყო საოპერაციოდან, რომ ექიმიც გაიქცა და გადახსნილი მუცლით დამტოვა.

რალაცა დროის შემდეგ, სახლში მომიყვანეს, დედაჩემი მკიცხავდა: - ვიცოდი, რომ ასე დაამთავრებდი, შვილო. ხალხნო, ნახეთ, რა უქნეს! ყოველთვის დაუმორჩილებელი იყავი და ყველაფერს აკეთებდი, რომ ჩემთვის გული გეტკინა. ყოველ ჯერზე, როცა ავტომატით ხელში გარბოდი სახლიდან, უკვე გასაფლავებდი და გემშვიდობებოდი, მაგრამ საკმარისი იყო დაბრუნებულიყავი, რომ ვამაყოფდი ასეთი ვაჟი რომ მყავს. როცა ცხინვალში ხმა გავარდებოდა, რომ ვიღაც მოკლეს და შენ სახლში არ იყავი, შეშლილივით დავრბოდი სახელის გასაგებად. მაგრამ მერე მომბეზრდა, დავიღალე და გულიც გამიქვავდა. ცრემლებიც კი აღარ დამრჩა რომ დაგიტირო, მა ხიაბულ (ჩემო შვილო). ცოლი მაინც მოგეყვანა, გოგონაც შეგიჩიე მაშინ, გახსოვს? მაგრამ რატომღაც არ მოგეწონა. ის კი, რომელიც გიყვარდა, აქედან წავიდა. შენ კი მაინც გინდოდა მისი გულის მოგება გმირობებით. შენ იყავი გმირი, მაგრამ მის მშობლებს სძულდი. მაინც არ მოგაყვანიებდნენ ცოლად. ისინი ხომ მდიდრები არიან და შენ ვინ ხარ? უქონელის ვაჟი. რას აღარ ლაპარაკობდნენ შენზე, მა ხიაბულ! შენ მკვლელს და ნარკომანს გეძახდნენ, იმიტომ რომ წამლებს ყლაპავდი და შენი სიმამაც ბერს არადამაჯერებლად ეჩვენებოდა.

არავის მოუვიდოდა თავში, რომ ავადმყოფი გული გაქვს. ამ წამლებს ჯიბეში იმიტომ ატარებდი, რომ შეტყვის დროს დაგჭირდებოდა. შეიძლება ვაჩვენო? ხედავთ?

მეორე დღეს დედამ მითხრა, რომ საშინლად ვყარდი და უკეთესი იქნებოდა, თუ კუბოს, რომელშიც ჩამდებდნენ, სახურავს ჩააჭედებდნენ. ხრიაკს ამის გაგონებაც არ სურდა, მაგრამ შემდეგ, როცა მთელი ღამე ჩემთან და ბიჭებთან ერთ ოთახში გაატარა, იგივე აზრამდე მივიდა. მეხუთე სკოლის ეზოში დამასაფლავეს. დაღლილმა ბიჭებმა ავტომატები ცისკენ აღმართეს და გამოცალეს.

### ეპილოგი

სასაფლაო, სადაც ჩემი ძვლები იყო დამარხული, თანდათან იზრდებოდა. განსაკუთრებით ომის დროს, როცა ერთმანეთში საქმის გარჩევამ აპოგეას მიაღწია. ყოველ ჯერზე უფრო იკლებდა სალუტის მსროლელთა რიცხვი, ხოლო საფლავის ქვების - იზრდებოდა. რა თქმა უნდა, აფხაზეთიდან და ჩრდილოეთ ოსეთიდანაც ჩამოიტანეს კუბოები, თუმცა ცოტა. იქ ომის ღმერთმა დაგვინდო. მეომრები სკოლის ამ სასაფლაოზე მოხვედრას ცდილობდნენ, რადგან აქ დაკრძალვა უფრო დიდ პატივად ითვლებოდა და ბიჭებიც სულ ნაცნობები იყვნენ. გარდაცვლილებმა სკოლა შეავინროვეს და უკვე აღარსად იყო დასამარხი ადგილი, ამიტომ ზღუდერის სასაფლაო ისევ „ამუშავდა“. თავიდან ჩვენ საფლავებზე მოდიოდნენ. მაგრამ მომსვლელებიც ჩვენს გვერდით ჩანვნიენ და სასაფლაოებზეც ბალახი ამოვიდა. ■

always been disobedient and did everything for breaking my heart. Every time you ran away from home with a machinegun I would think it was the last time, but once you returned I was proud of having such a son. When there was news in Tskhinvali about somebody killed and you weren't at home, I would run like a crazy to find out the name of the deceased. Finally I had enough, I got tired and my heart froze. I don't even have tears left to cry for you, ma khiabul (my son). Wish you would at least marry someone. Remember I even chose a good girl for you? You didn't like her for some reason. The girl that you loved left from here. You still wanted to win her heart by being heroic. You were a hero but her parents hated you. They would never let you marry her. They are rich and who are you? They said so much bad about you, ma khiabul! They called you murderer and drug-addict, because you kept drinking medicines and many thought your bravery was not real. They would never think that you had heart problems. You kept those medicines in your pocket because you would need them during battles. Can I show them? Can you see this?

On the second day mother told me that I smelled very badly and it would be better if they would nail down the lid of the coffin that I lay in. Khriak didn't even want to listen to it, but after spending whole night with me and the boys in one room he agreed to it. They buried me in the yard of the School #5. The tired guys put up their machineguns and fired whole rounds.

### Epilogue

The cemetery where my bones were buried grew bigger. Especially during the war, when our conflict reached its apogee. Number of those saluting in the memory of the dead decreased from day to day and the number of tombstones increased. Of course they brought coffins from Abkhazia and North Ossetia too, but not that many. The God of War had mercy on us there. Fighters wanted to be buried at the given cemetery of the school, as it was an honor and all the guys around were friends. The deceased crowded the school and there was no place left for new graves, so the Zguderi cemetery "reopened" again. They used to come to visit our graves at first, but later they also laid beside us and the grass grew on our graves... ■





# ცოცონო გაზეციძე

*Tsitsino Babutsidze*

ყველაფერი  
შეიძლება იყოს მეორადი,  
სამშობლოს გარდა!

*Everything can be second-hand,  
Except of your homeland!*

## სამშობლო

წუხელის ლექსზე ვიმშობიარე!..  
ვერ ვარქვი დავით...  
და ვერც თამარი,  
რადგანაც ლექსი იყო უბადლო  
და ის არ ჰგავდა  
ქვეყნად არავის...  
ჩემი სამშობლო! —  
დავარქვი ამ ლექსს,  
წარმოსათქმელად  
თბილი, ადვილი...  
ჩემი სამშობლო,  
ახლა წიგნით უნდა ვატარო,  
რადგან ამქვეყნად, არ დატოვეს  
მისთვის ადგილი!

## Homeland

*I gave birth to a poem last night!...  
Couldn't name it David or Tamar,  
As the poem was one of its kind,  
Not looking like anyone else...  
My Homeland!  
That's how I have named it,  
So easy and warm to say it out loud...  
Now I carry my homeland in book,  
As they haven't left place for it otherwise!*

ფერადი  
სიზმრებით  
ვცხოვრობ...  
ვარსებობ —  
შავ-თეთრი  
დღით!

*I live in colorful  
dreams...  
But exists in black-  
and-white day!*

ზოგს გული ვაჩუქე,  
ზოგს - თირკმელი,  
ზოგს - სული...  
თავად კი,  
გაძარცვული,  
ნასახლარად ქცეულ სხეულში,  
მდგმურივით ვცხოვრობ...

*I have given out my heart to some,  
My kidney to some,  
My soul to some...  
And now I live in my own body,  
Like a lodger or some...*

ხანდახან,  
როგორ  
მენატრება  
შადამიანო  
მინა!...

*Sometimes, I  
miss the earth  
Without  
HUMANS!...*

## არ მიმატოვა ლექსმა

ყველა მივატოვე, ყველამ მიმატოვა,  
ლალატი გვექცა წესად,  
მაგრამ მადლი უფალს,  
მაგრამ, მადლი, უფალს,  
რომ არ მიმატოვა ლექსმა!

## Poem hasn't left me

Everyone left me, everyone left me,  
Betrayal has become our habit,  
But thanks to the Lord,  
But thanks to the Lord,  
The poem hasn't left me!



ფორუმი

[www.cforum.org](http://www.cforum.org)



ISSN 2449-2477

